სანდრო გაფილია

# ლექსები

## და

## პუბლიცისტური

## ნაწერები

თ ბ ი ლ ი ს ი

2004

მკითხველთა სამსჯავროზე წარმოდგენილია ავტორის მეორე წიგნი „რაიონდულო საქართველოვ, აღდექ!“ რომელიც ფაქტობრივად ს. გადილიას ლექსთა პირველი კრებულის („კოლხის სულის ნაჟური“) ლოგიკური გაგრძელებაა.

კრებულში (ლექსებში, საგაზეთო წერილებში, პუბლიცისტურ სტატიებში...) ჩაქსოვილია ჭეშმარიტი პედაგოგისა და გაბედული (მოუსყიდველი და პირუთვნელი) პოეტის ნაღვლიანი ფიქრები სათაყვანებელ სამშობლოსა და ერის მძიმე წარსულზე, აგრეთვე, იმედი უკეთეს მომავალზე. ავტორის განცდილსა და ნაზრევში ძალუმად იგრძნობა წარსული თუ თანამედროვე ცხოვრების რეალობა და მის მიერ სწორად აღქმისა და საღი პოეტური განსჯის უნარი. ბ-ნი სანდრო შეიძლება ითქვას, ავლენს საოცარ ძალას, რათა სულითა და გულით განგვაცდევინოს ის, რაზედაც წერს და, რაც მთავარია, სათანადო გადაწყვეტილება მიგვაღებინოს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, სამშობლოსა და ერის სამსახურში ჩაგვაყენოს.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ წიგნი დაეხმარება არა მარტო პოეზიის მოყვარულთ, არამედ, აგრეთვე, ეთიკის საკითხებით დაინტერესებულ პირებს: მოსწავლეებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, პედაგოგებს, მკითხველთა ფართო წრეს...


რ ე დ ა ქ ტ ო რ ი **ჟორა სორდია,**
მეცნ. კანდიდატი, დოცენტი,
დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: **ნაპოლეონ ლომონჯავა,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

**ინდირა გადილია,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# სანდრო გადილია – 65



**ს**ანდრო გადილია დაიბადა გეგეჭკორის (ამჟამად მარტვილის) რაიონის სოფ. კიწიაში 1939 წელს. 1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1962-1992 წწ. მუშაობდა სოხუმის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლის ისტორიასამართალმცოდნეობის მასწავლებლად, ხოლო 1993 წლიდან მოღვაწეობს ქ. სენაკში, აფხაზეთიდან დევნილთა საშუალო სკოლაში.

1978 წელს სანდრო გადილიამ, როგორც მკვლევარ-მაძიებელმა, ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები (საქართველოს ისტორიის სპეციალობით) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. დაწერა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. „სახალხო განათლების ისტორია საქართველოში 1921-1931 წწ.".

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ს. გადილიას 1982 წელს მიენიჭა „მასწავლებელ-მეთოდისტის" წოდება, 1990 წელს—აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, 1998 წ. კი—უმაღლესი საკვალიფიკაციო კატეგორია. 42 წელია იგი, რაც უანგაროდ და უმწიკლოდ ემსახურება მოზარდი თაობის აღზრდის სამვილშვილო საქმეს. დაჯილდოებულია უმაღლესი მთავრობის მედლით „ყამირის ათვისებისათვის" (1958 წ.).

ცენტრალურ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა ბ-ნ სანდროს წერილები ისტორიის სწავლების აქტუალურ საკითხებზე. მისი მეცნიერული სტატიების ნაწილი ბოლო წლებში დაიბეჭდა სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში.

ბ-ნი სანდრო არის შესანიშნავი ლექსების ავტორი. 2002 წელს გამოიცა მისი ლექსთა პირველი კრებული „კოლხის სულის ნაჟური" (მთ. რედაქტორი *ბ. ბერულავა*, რედაქტორი *ჟ. ხორდია*). ამჟამად იბეჭდება პოეტის ლექსთა მეორე კრებული „რაინდულო საქართველოვ, აღდექ!" (რედაქტორი *ჟორა ხორდია*).

დაე იგი ყოფილიყოს ფენიქსებრ აღმდგარი ძლიერი საქართველოსადმი მიძღვნილი სადიდებელი ჰიმნი.

# ვ უ ძ ღ ვ ნ ი

ღვთისმშობლის წილხვდომილი

ქვეყნის სასიქადულო შვილების

–საქართველოს პირველი კანონიერი პრეზიდენტის,

ბ-ნ ზვიად გამსახურდიას,

საქართველოს ეროვნული გმირის,

ბ-ნ მერაბ კოსტავასა

და

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში

გმირულად დაღუპულ მამაცურად შეურაცხყოფილ –

ნათელსა და დაუვიწყარ ხსოვნას

ა ვ ტ ო რ ი

# წინათქმა

ამ სტრიქონების ავტორი არცთუ დიდი ხნის წინათ ერთ-ერთ საგაზეთო წერილში (შემდეგ ბროშურაშიც) წერდა: „გულგრილი დამოკიდებულება შემოქმედისადმი გვესახება ხან ლეთაში ჩაძირვად, ხან პილატესავით ხელის დაბანად, ხან კი თვისებად ისეთი ადამიანისა, რომელსაც, ვითარცა ფუტლარის კაცისა, საკუთარი აჩრდილისა ეშინია და წნორის ფურცელივით ცახცახებს. მართლის (და არა ზოილისებრი) თქმა, რანაირად და ვის მიმართაც არ უნდა იყოს იგი, არ მიგვაჩნდა და არც მიგვაჩნია დითირამბად. მთავარია, შეუფერადებლად ეთქვათ ის, რაც უნდა ეთქვა სხვას.

შეიძლება ქართული ეროვნული პოეტური სიტყვის ანთოლოგიაში ვერ მოხვდეს მავანთა და მავანთა სულის ნაჟური, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათზე სიტყვა არ გავიმეტოთ.“

მართალია, „ლექსების წერა ჯერ კიდევ არ ნიშნავს პოეტობას...“ (ბ. ბელინსკი), თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, არცთუ იშვიათად არიან ისეთები, რომლებიც თავიანთს ნაფიქრ-ნაჯზრევს გამოხატავენ ღრმა ცეცხლოვანი განცდებით დაწერილი, მაგრამ დაუბეჭდავი სიტყვებით, რითაც ისინი ოლიმპიურ სიმშვიდეს ეძლევიან და თავს ასეთი შეგონებით იმხნევებენ: „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვნეთ სულნი თქვენნი..“ ამიტომ ითმენენ და ითმენენ ისინი, ჯერ კიდევ სათანადოდ აღუზევებელნი და მიღწეულით უკმაყოფილონი, თორემ, მსგავსად მავანთა და მავანთა, მათაც სათანადო ძალისხმევით შეეძლოთ კრებულები გამოეცათ და ამით თავიანთი პოეტური თვალსაწიერი დღის სინათლეზე გამოეტანათ. მაგრამ არა, არა და არა! ისინი ცხოვრების დულილის ორომტრიალში უხმაუროდ და მოკრძალებით წერენ და აკეთებენ იმას, რაც უნდა ეწერა და ეკეთებინა ყოველ ჭეშმარიტ მამულიშვილს. ერთი სიტყვით, მათ იციან, მხატვრული განსახიერების უშუალო ობიექტზე რა უნდა წერონ და როგორ უნდა წერონ.- ასეთ გაუხმაურებელ შემოქმედად გვესახება ბ-ნი სანდრო გადილია, რომელიც თავისი ცხოვრებით, აზროვნებითა და პოეტური წვით

ჭეშმარიტი მამულიშვილი ბრძანდება. მას ფანატიკურად უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი... არის განსახიერება სიწმინდისა და პატიოსნებისა. ცხოვრების გზას იგი უმწიკვლოდ მიჰყვება იმის მიუხედავად, რომ მას მრავალგზის შეხვედრია წინააღმდეგობა და უსიამოვნება, მაგრამ სულიერი წონასწორობა არასოდეს დაუკარგავს—გარეგნულ სიმშვიდეს ყოველთვის ინარჩუნებდა, რაც საოცარი იყო, რამეთუ ეოლოსის ქნარივით მეტად მგრძნობიარე ბრძანდებოდა და ბრძანდება. ერთი სიტყვით, სხივმოფენილი ცხოვრების გზა მას არ გაუვლია, რაც არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგანაც „დიდი ადამიანების ხვედრი ყოველთვის მძიმეა, ისინი ცუდად ცხოვრობენ და ადრე კვდებიან“ (გ. ჰეგელი), მაგრამ ჩვენი ერთადერთი სურვილია, რომ ბ-ნმა სანდრომ ბიბლიურ ასაკს გადააბიჯოს.

ახლა კი ზოგადად და მწირად მის ლექსებზე:

სანდრო გადილიას შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია, რამეთუ მისი მღელვარე და დაუოკებელი გრძნობების გამომწვევი მიზეზები არაერთგვარია. რაც მთავარია, მას, როგორც შემოქმედს, აქვს მოვლენათა სიღრმეში წვდომის პოეტური ინტუიცია და განსაცდელის საოცარი ფსიქოლოგიური სიმძაფრით შეჯერება-ანალიზისა და თავისი შინაგანი სამყაროს—განცდების, სურვილის, მიზან-სწრაფვების, აღტაცების, სევდის, სიხარულის—შესანიშნავად გამოხატვის უნარი.

ლექსებში ნათლად ჩანს, რომ შემოქმედს პატრიოტული გრძნობა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. იგრძნობა გრძნობის უშუალობა. იგი, შეიძლება ითქვას, ავლენს საოცარ ძალას, რათა სულითა და გულით განგვაცდევინოს ის, რაზედაც წერს და, რაც მთავარია, სათანადო გადაწყვეტილება მიგვაღებინოს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამშობლოს სამსახურში ჩაგვაყენოს. ვგრძნობთ, რომ ბ-ნი სანდრო, როგორც ერის მოჭირნახულე, ემოციების ოკეანეში ტრიალებს, სამშობლოს სიყვარულით უსაზღვროდ გულანთებულია და რაინდული შემართებით თავის კეთილ სურვილებს გვაფრქვევს.

არც სატრფიალო ლირიკაში დარჩენილა ბ-ნი სანდრო გადილია „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, რადგანაც ამ ციკლის ლექსებში მან ისე გამოხატა სიყვარულის ობიექტით აღტაცება, ანუ ქალის სიახლოვისა და თანაგრძნობის სურვილი, რომ იგი ამ გრძნობის დიდების მღაღადებლად გვესახება. მას ძალუძს საყვარელი ქალის სული სიხარულისა და სიკეთის შუქით გაანათოს. ამიტომ ერთმნიშვნელოვნად ვიტყვით, რომ ქალის სულის სიდიადესა და სიფაქიზეს შეუძლია ბ-ნ სანდროს ლექსებში ჰპოვოს სრულყოფილი დაფასება.

თავის ლექსებში ბ-ნმა სანდრომ ღრმა სიმართლითა და დიდი მამხილებელი ძალით გამოხატა კორუმპირებული საზოგადოების ის მახინჯი მხარეები, რომელთა ამოძირკვა თითოეული ჩვენგანის წმიდათაწმიდა ვალი იყო. მისი გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიტყვების მიღმა ნათლად ჩანს მძიმე და მიუღებელი სინამდვილე, მაგრამ, რაც მთავარია, პოეტი მხოლოდ მომავლის უბრალო მოლოდინით კი არ ქადაგებს, არამედ პრაქტიკულად: საზოგადოებას სიფხიზლისაკენ უბიძგებს, სამართლიანად მოითხოვს ყოველივე უმართებულოს დათრგუნვას და გამოაქვს თავისებური მსჯავრი ცხოვრებასა და საზოგადოებაზე. ამასთანავე, პოეტი ცდილობს საზოგადოებას უჩვენოს ჭეშმარიტების გზა. იგი იმ ტკივილებზე გველაპარაკება, რომლებიც ყველას აწუხებს. ასე რომ, მისი ტკივილი საზოგადოების ტკივილია, მისი სევდა-ნაღველი—მოყვასის სევდა-ნაღველია, მისი მისწრაფ- ება—ყოველი ჩვენგანის მისწრაფებაა...

სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბრძოლას ზვარაკად შეწირულ ჭეშმარიტ მამულიშვილს, ზვიად გამსახურდიას, სანდრო გადილიამ სიყვარულით სავსე სიტყვები უძღვნა ლექს „ქართველ პრომეთეოსში“. იგი საოცარი სიძლიერითა და დიდი შთამაგონებელი ძალით გვიღვივებს ქვეყნის სიყვარულის წმიდათაწმიდა გრძნობას და, გარდა ამისა, მტკიცედ გვინერგავს ეროვნულ თვითშეგნებას. ჩვენი აზრით, პოეტს სურს თქმა იმისა,

რომ ზვიადმა ამაზრზენ სიკვდილში ჰპოვა სიცოცხლე და თვით გახდა უკვდავება, იგი ზეციური საქართველოდან პატრონობას არ მოაკლებს თავის მოყვასს, ანუ მიწიერ ქართველთ. სანდრო გადილიას ასეთი წარმოსახვა განცვიფრებისათვის საფუძველს არ გვაძლევს, რამეთუ იგი სამშობლოს, თავისი ერის სიყვარულის მუხლჩაუხრელი და სწორუპოვარი მღაღადებელი ბრძანდება. სწორედ ამ გადასახედიდან ისე უმღერის იგი თამარს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, მერაბ კოსტავას... რომ მათს სახეებს, ჟამთასვლა ვერაფერს დააკლებს—ვერც დანისლავს და ვერც გაცრეცს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუკუნეების ქარტეხილთა შემოტევებს გაუძლებს.

შესაშურ ქმნილებებად გვეჩვენება „მიშამ იტვირთა მაცხოვრის ჯვარი“ და „სამართალმა პური ჭამა“, რადგანაც მათში ბრწყინვალედაა წარმოჩენილი მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟის ჭეშმარიტი მამულიშვილი—ბ-ნი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც არაკჩეევისეული რეჟიმით ჩვენი ქვეყნის მართვას ბოლო მოუღო და დაგვარწმუნა, რომ „divide et impera! დაქსაქსე და იბატონე!“ სრასოდეს შეაწუხებს ნებისმიერ ქართველს, და საერთოდ, არც განდიდების მანიით შეპყრობილთა, ბოჰემური ცხოვრებით მცხოვრებთა ზეწოლა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უხეში ძალისა და განუკითხავად თვითნებობის ბატონობა, რომლებიც ეგვიპტურ (თუ ტანტალოსის) ტანჯვათა ტოლფასად გვესახება. ამიერიდან ვეღარ იპარპაშებენ ბოროტი, დაუნდობელი გლადიატორებივით გულქვა ვანდალები და ამ თორმეტიოდე წლის მანძილზე ეკლის გვირგვინდადგმული ხალხი სულ მალე გადაივიწყებს ასეთ ამაზრზენ გამონათქვამს: „ამაოება ამაო და ყოველივე ამაო არს“ (სოლომონ ბრძენი).

ვფიქრობთ, ეკივოკურ თქმად არ ჩაგვითვლიან, თუ ვიტყვით, რომ ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს ძალუძს ერთმნიშვნელოვნად გაიმეოროს იულიუს კეისრის ასეთი გამონათქვამი: „veni, vidi, vici! მოვედი,

ენახე, დავამარცხე!" რამეთუ სულ ორ თუ სამ კვირაში შეძლო მან „გორდიასის ნასკვის" გაჭრა და ყველას დაანახა, რომ ერთი მერცხლის ჭიკჭიკსაც კი შეძლებია გაზაფხულის მოყვანა.

ჩვენ, როგორც ნოემბრის მიტინგების მონაწილენი , სიხარულს ვერ ვმალავთ იმის გამო, რომ ბ-ნი მიშა არაერთგზის გონების პლანში წარმოგვესახა ღვთიური ნათლის ძალის აღზევებად, უმაღლესი ნებელობითი პოტენციის ზეკაცად, სულიერი და ფიზიკური გმირის სინთეზად, ქრისტეს მეორედ მოსვლის წინამორბედად, დაგლეჯილ-დაფლეთილი ღვთისმშობლის წილხვდომილ ქრისტიან-გეორგიანთა ქვეყნის გამაერთიანებელ-აღმდგენლად, თეთრ რაშზე ამხედრებული უძლეველი წმ. გიორგის განსახიერებად, ხალხის სულიერ მზედ, სახელმწიფოებრივ-ღვთაებრივ საქმეთა სულის ჩამდგმელად, ზოგადსაკაცობრიო სიბრძნის მესაიდუმლედ, მომავალში ქრისტიანული სახელმწიფოს ისტორიულ განმრიგედ. ამდენად, არცაა გასაკვირი, რომ მას ჯადოსნურმა გონების ძალამ და ადამიანურ-ღვთაებრივმა სიბრძნემ ქალღმერთ ნინოსთან და კაცღმერთ ზურაბთან ერთად სასწაული შეაძლებინა—საზარელ ძალებზე ბრწყინვალედ გაამარჯვებინა.

საოცარი კი მაინც ისაა, რომ ბ-ნმა მიხეილმა პანდორას ყულაბადქცეულ ქვეყანაში ქიმერასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომი თავის თანამოაზრეებთან—ქ-ნ ნინო ბურჯანაძესთან და ბ-ნ ზურაბ ჟვანიასთან—ერთად უსისხლოდ მოიგო, ანუ ნოემბრის ვარდების რევოლუციით მსოფლიოს აუწყა, რომ დრომოჭმული ხელისუფლება, როგორც პოლიტიკური ლეში, აღიგავა პირისაგან მიწისა და ქართველები იწყებენ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს შენებას, რისთვისაც და, საერთოდ, ჩვენს სინამდვილეში შექმნილ სოციალურ-სამართლებრივ, იდეოლოგიურ, ეკონომიკურ-პოლიტიკურ და საგანმანათლებლო პრობლემათა გადასაჭრელად (რედაქტორისა და ავტორის აზრით) აუცილებელია:

1. იერარქიული კიბის ყველა საფეხურზე დემოკრატიული მმართველობის სისტემის შემოღება-განმტკიცება ეროვნული ტრადიციებისა და თავისებურებების მკაცრი გათვალისწინებით.

2. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რაც სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული მეობის შენარჩუნების საწინდარია.

ჩვენთვის წარმოუდგენელია ქართულ მიწა-წყალზე სახელმწიფოები სახელმწიფოს შიგნით.

ვთქვით, ეროვნული მეობაო, რამეთუ იგი ის ჩირაღდანია, რომელიც თითოეულ ჩვენგანს მხნეობასა და რწმენას რწმენისას, ურთიერთპატივისცემასა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, სიფაქიზესა და სილამაზეს, სიკეთესა და შემართებას გვმატებდა და გვმატებს.

3. ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური, სოციალურ-სამართლებრივი და საგანმანათლებლო ინტერესების დაცვა.

4. რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კომერციული სტრუქტურების თავისუფალი საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილ ფორმებში.

5. ამოძირკვა კოსმოპოლიტიზმის ყოველგვარი გამოვლენისა.

6. სასტიკი ბრძოლა სეპარატულ-კორუმპირებული და კრიმინალური საძმოს ყველანაირ ფორმას.

7. ქვეყნის ეკონომიკის ეტაპობრივად აღორძინება სახალხო მეურნეობის დარგების—სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის—განვითარების კანონზომიერებათა საფუძველზე ეროვნული (და არა საერთაშორისო!) სპეციფიკათა მკაცრი გათვალისწინებით.

8. მოქალაქეთათვის საყოფაცხოვრებო პირობების მაქსიმალურად გაუმჯობესება ცხოვრებისათვის საჭირო მინიმალური დონის გათვალისწინებით.

9. განათლების სისტემის, როგორც ერის მომავლის ქვაკუთხედის, რეფორმა-პროგრესი, რამეთუ, სხვას რომ თავი გავანებოთ, ამ პრობლემასთან დაკავშირებით გვახსენდება ციცერონის ბრძნული გამონათქვამი: „მთელი სახელმწიფოს დედაბოძია ახალგაზრდობის სწორად აღზრდა.“ ჩვენ კი მოკრძალებით ასე

ვიტყვით: სახელმწიფოს ძლიერების ქვაკუთხედია მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, კულტურისა და თეოლოგიის განვითარება და, რაც მთავარია, ახალგაზრდობის სწორად აღზრდა, რამეთუ ახალგაზრდები და მხოლოდ ახალგაზრდები—21-ე საუკუნის მესაჭეებად, ტექნიკისა და პროგრესის შემოქმედად რომ გვესახებიან—იხსნიან სამყაროს კრიზისისაგან.

ქვეყნად შექმნილ პრობლემათა გადაჭრა მხოლოდ იმ რჩეულთაგან რჩეულს ძალუძს, ვინც: ჯერ ერთი, არ იტყვის ერთს, არ გააკეთებს მეორეს, არ იფიქრებს მესამეს, არ დაწერს მეოთხეს და საქვეყნო საქმეების ბრწყინვალედ დაგვირგვინებისაკენ მიმავალ წინააღმდეგობებით აღურწყავ რთულსა და ბარდ-ეკლებით დასერილ გრძელ გზაზე გულითა მართლითა, გონებითა ნათლითა, პირითა წმინდითა და შეურცხვენელად წინასწარ გაითავისებს ალექსანდრე მაკედონელის საეტაპო გამონათქვამს: „მეფის ხვედრია კარგის ქმნისთვის ავი ისმინოს."

მეორეც, საზოგადოებრივს ასპარეზზე არავის და არაფერს არ შეუშინდება: არც საკუთარი სიცოცხლის აღგვას პირისაგან მიწისა, არც გარშემო შექმნილ უმწვავეს კონფლიქტებს და კიდევ ვინ იცის, რასა და რას. ერთი სიტყვით, მისი თავდაციწყებამდე კაცთმოყვარე ამაყი სული ერის წყლულს მტკიცედ გაითავისებს და მრავალგზის ფენიქსებრ მკვდრეთით აღმდგარ სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრს სამუდამჟამოდ შეისისხლხორცებს.

მესამეც, თავის სასარგებლოდ რომც დასჭირდეს ზოგიერთებივით არ შეუძლია წითელზე შავიაო თქვას, შავზე—წითელი, უწიგნურზე—წიგნიერი, წიგნიერზე—უწიგნური, ბოროტზე—კეთილი, კეთილზე—ბოროტი და, რაც მთავარია, თავის ცხოვრებისეულ კრედოდ არ გაიხდის ასეთ ამაზრზენ ქმედებებს: „ჩაიდინე ბოროტება და სხვას გადააბრალე," „არ დაინდო-გაანადგურე, რათა თვითონ არ განადგურდე..."

ამ განსაცდელის (ყოფნა-არყოფნის) ჟამს... ასეთ ზნეობრივად ამაღლებულ, საშური სულის პიროვნებად, საქართველოს ცისქვეშეთის რჩეულთაგან რჩეულად მამაზეციერმა მოგვიელინა

ფარნავაზ მეფის, ვახტანგ გორგასლისა და ფარსმან ქველის, გიორგი ბრწყინვალისა და დავით აღმაშენებლის, აიეტის, ქუჯისა და გუბაზის, თამარ მეფისა და დემეტრე თავდადებულის, მღვდელი თევდორესა და ცოტნე დადიანის, გიორგი სააკაძისა და მეფე ერეკლეს, სოლომონ პირველისა და სხვა ჩვენი დიდი წინაპრების ღირსეული შთამომავალი, ბ-ნი მიხეილ სააკაშვილი—საქართველოს პრეზიდენტი, რომლისაგან ხალხი მოუთმენლად მოელის ქვეყნის გადარჩენასა და გაბრწყინებას.

ამიტომ (და სხვა გარემოებათა გამოც!) ძალგვიძს ვთქვათ, რომ ბ-ნი მიხეილი ბრძანდება ჭეშმარიტი ქართველი და უბრწყინვალესი მამულიშვილი, ერუდიტი, ერის ჭირ-ვარამის გამწილადებელი, „ხავერდოვანი რევოლუციის," ანუ, ჩვენი აზრით, სამყაროს მერვე საოცრების, ლეგენდარულ შემოქმედთა მესვეური და, რაც მთავარია, ახალგაზრდა პრეზიდენტი.

ბ-ნი მიხეილი აცისკროვნებს იმ გრძელ გზას, რომელსაც ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში მამულის კერაზე სიცოცხლის ცეცხლის აგიზგიზების, ანუ სრულიად საქართველოს, ერთხორც-ერთსულ- ერთფერქცეული სამშობლოს, აღზევება-გამარჯ ვების უსასრულო გზა ჰქვია.

გვჯერა, რომ ცივილიზებული სამყაროს ოქროს საგანძურში ბ-ნ პრეზიდენტის უჭკნობი შარავანდედით შემკული სახელი საუკუნეების შემდეგაც დიდებულად და ამაყად გაიჟღერებს.

ის ამაზრზენი ფაქტი, რომელიც ბ-ნმა სანდრომ, როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა და გამოცდილმა პედაგოგმა განზოგადებულად წარმოგვიდგინა „ორღობის ინსტიტუტებში", ჩვენში განცვიფრებას მაინცდამაინც არ იწვევს, რადგანაც ბაბილონის ოდლის მშენებლობის პრეცედენტადქცეულ ჯვარცმულ ქვეყანაში არცთუ იშვიათად გეხვდება ზოგიერთი ისეთი მობოგინე კომერციული ინსტიტუტი, სადაც სწავლა-აღზრდის საქმე მიხუთშაბათებულია.

ჩვენი აზრით, ნებისმიერი უმაღლესი კომერციული სასწავლებელი სწავლების თვალსაზრისით ნებისმიერი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის დონეზე დაბლა არ უნდა იდგეს. სხვანაირად კომერციულ სასწავლებელს არავინ გაეკარება. ვის

რად უნდა უხარისხო ლექციების მოსმენა? სტუდენტი სწავლის ქირას იხდის იმისათვის, რომ მოისმინოს მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა ლექციები, რათა ცოდნა შეიძინოს. მაგრამ, როგორც ბ-ნი სანდროც აღნიშნავს, ზოგ ინსტიტუტში არცთუ იშვიათად ბობოქრობენ არასპეციალისტები; სპეციალისტებს კი არასპეციალისტები და მათი გუნდრუკის მკმეველი გაელენიანი ფავორიტები და იანუსები ვერ იტანენ და იეზუიტური (თუ პროკრუსტესეული ველური) მეთოდებითა და კაენური შემართებით დევნიან. ამიტომ სწავლამოწყურებულნი ასეთ უმაღლეს სასწავლებლებს არ ეკარებიან, რის გამოც მავანნი და მავანნი აბსოლუტურად არ ითვალისწინებენ, აბიტურიენტთა ცოდნის მიხედვით, ფაკულტეტების დაკომპლექტებას. ასეთი (და სხვა) გარემოება, სამწუხაროდ, ერს დაღუპვისაკენ გამუდმებით მიაქანებს, რამეთუ რამდენიმე წლის შემდეგ არ გვეყოლება ღირსეული ცვლა ახალგაზრდა სპეციალისტების სახით: გვეყოლება დიპლომიანი, მაგრამ არასათანადო მომზადების ინჟინერი, პედაგოგი, ექიმი... ეს კი იერემიასებრ გოდებას იწვევს თითოეულ ჩვენგანში, რაც ფსიქიკურად სკილასა და ქარიბდას შუა ყოფნაზე უარესად გვესახება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ სენსაციურ პრობლემას პილატესავით ხელდაბანილი, „მამა აბრამის ბატკანივით უცოდველი" და ჰეროდესებრ გულქვა ზოგიერთი რეგიონის მესვეურები ოლიმპიური სიმშვიდით უყურებენ, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, საზოგადოების თვალში ნაცრის შეყრის მეთოდებით მოქმედებენ, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამგვარი „მოღვაწეობით" დითირამბული ვნებით შეპყრობილნი და ბალტასარისებრ ლხინს მიჩვეულნი, ფონს ვერ გავლენ, რადგანაც „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით."

წარმოსახვით ველით ასეთ კითხვას: არის კიდევ საჭირო კომერციული უმაღლესი სასწავლებლები?

ჩვენს სინამდვილეში უნდა დამკვიდრდეს და რაოდენობრივად გაიზარდოს ისეთი კომერციული უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერი სახელმწიფო სასწავლებლის დონეს გაუთანაბრდება.

კომერციული უმაღლესი სასწავლებლების აუცილებლობა განსაკუთრებით იმით (და სხვა გარემოებებითაც!) აიხსნება, რომ რეგიონებში არიან სწავლამოწყურებულნი, მაგრამ, ეკონომიკური სივიწროვის გამო, მათ არ შეუძლიათ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ცოდნის შეძენა.

ვფიქრობთ, ჩვენი და ბ-ნ სანდრო გადილიას გულისტკივილი ჭეშმარიტ მამულიშვილთათვის არ იქნება „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა," რადგანაც სხვანაირად ამ ველური ბიზნესმენობისა და საბაზრო-საგანმანათლებლო სისტემის აღზევების ჟამს ახალგაზრდობას ვერ აღვუძრავთ ინტელექტის პატივისცემის გრძნობას, რაც ამ ბოლო დროს რატომღაც წარმოუდგენლად ძლიერ გაგვინელდა.

იქნებ ზოილისებრმა კრიტიკანებმა ენობრივი დარღვევები, რომლებიც არცთუ ხშირად შეინიშნება ლექსებში, ლინგვისტიკურ ცთომილებად ჩაგვითვალონ, ამიტომ მოკლედ აღვნიშნავთ:

წიგნის რედაქტორი შორს არ არის იმ აზრისაგან, რომ მეტყველება (მით უმეტეს, წერითი!) უნდა იყოს აზრიანი და ლაკონიური, სუფთა, სწორი და ზუსტი, სადა და შთამაგონებელი (დამაჯერებელი), ნათელი და წმინდა, მწყობრი და სახოვანი, ემოციური და ჟღერადი. ერთი სიტყვით, ცივილიზებული ადამიანის მეტყველება (წერითი და ზეპირი) სალიტერატურო ენის კანონებს მკაცრად უნდა დაექვემდებაროს. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ლექსში დასაშვებია (და აუცილებელიც!) ე. წ. პოეტური თვითნებობა, რაც გულისხმობს პოეტურ ენას, განსხვავებულს არაპოეტური ენისაგან (შდრ. ლინგვისტიკური სტილისტიკა და პოეტიკური სტილისტიკა). პოეტური თვითნებობა შეგნებულად ითვალისწინებს ენობრივ ნორმათა მნიშვნელოვანწილად დარღვევებს, გამოწვეულთ ლექსის

სპეციფიკათა საჭიროებით. ამას რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს გარითმვა, დინამიკური თხრობა, მაღალი კეთილხმოვნება (ჟღერადობა, მუსიკალობა), აზრის (ნებისმიერი შთაბეჭდილების) ინტენსივობა, ემოციურობის გაძლიერება და, საერთოდ, სტილიზაცია.

დავასკვნით: ლინგვისტიკური დარღვევები გამოწვეულია (და აუცილებელიც!) პოეტური თვითნებობით.

წიგნის მოცულობა გვზღუდავს, რის გამოც სანდრო გადილიას მრავალწახნაგოვანი პოეტური ჩანაფიქრის სკრუპულოზურ განხილვას ვერ ვახერხებთ, მაგრამ ამჯერად ასეთი მწირი ინტერპრეტაციითაც ვკმაყოფილდებით, რამეთუ ბრძენს უთქვამს: მზე ზღვაში და წვეთში ერთნაირად აირეკლებაო. ამიტომ, ვფიქრობთ, მისი პოეტური მემკვიდრეობის ღირებულება რამდენადმე მაინც ავსახეთ.

განსჯა იმისა, თუ რამდენად უპასუხებს „რაინდულო სატართველოვ, აღდექ" პოეტური ნაშრომისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, ჩვენც და ავტორსაც მიგვინდვია გულწრფელ პროფესიონალთათვის, რომელნიც სათანადო შენიშვნებით დაგვეხმარებიან წიგნის შემდგომ გაუმჯობესება-სრულყოფაზე მუშაობაში.

ჟორა სორდია

# ცრემლი

ზულს ხალისი მოჰკლებია,
ეკლესიას თვისი მრევლი,
ურწმუნოთა ბრბო ხარხარებს,
მოეძალა თვალებს ცრემლი.

დანგრეულა ქვეყნის ზღუდე,
დაქცეულა „ჯიხპ"-კრემლი,
დაფანტულა ცოტნეს მოდგმა,
უნუგეშოდ ჟონავს ცრემლი.

ხმალიც აღარ იჭედება,
დაჟანგულა მჭედლის გრდემლი,
არსაიდან „ქუდზე კაცი"...
არ შორდება თვალებს ცრემლი.

ტირანს ერის მოსასხეპად
ხელთ უპყრია ბასრი ცელი,
დახოცილთა ისმის კვნესა,
სისხლნარევი წვეთს კვლავ ცრემლი.

მარიამის წილხვედრ მამულს
დასდგომია წარღვნის წელი,
ძაძით მოსილ ქართველ დედებს
დაებედათ ცხარე ცრემლი.

*5 ივლისი, 2003 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# მონატრება ძმისა

ვუძღვნი
*წუთისოფლიდან ნაადრევად*
*წასული ძმის, ბაგრატის,*
*სათუთსა და ნათელ ხსოვნას*

ულზე მაწვება ლოდივით
შენი უიღბლო წარსული...
ამ საწუთროდან შენა ხარ
გულდათუთქულად წასული.

გთვლიდნენ სანუკვარ ოჯახში
სპეტაკ, ღირსეულ მამადა,
კოლხების ჯილაგს შვენოდი,
ვითარც უბადლო თამადა.

ყველგან მიაჩნდით ვაჟკაცად,
გამკობდა კოლხის ზრდილობა,
დაკოდილ გულზე მაჩნიხარ,
ვით მოურჩენი ჭრილობა.

9 აპრილი, 2003 წ.,
ქ. თბილისი.

# ულვთოა სიკვდილი შენი

*ვუძღვნი*
*ლაშა გაფრილიას—ჩემი ნათესავის,*
*წუთისოფლიდან ნაადრევად წასულის,*
*22 წლის ჭაბუკის—ნათელსა და*
*დაუვიწყარ ხსოვნას*



ირდილოეთით მიგიწევდა იმ დღეს გული,
გაცილებდა მშობლიური ცრემლი... ხვევნა...
მიდიოდი ოცდაორი წლის ჭაბუკი,
თან სიკვდილი ძუ მგელივით აგედევნა.

იქ, მოსკოვში, დაემკვიდრე მცირე დროით,
სადაც ყველას ულმობლობა თავზე აწვიმს,
სიკვდილიც ხომ ძილში ულვთოდ მოგეწია,
ჩემი გვარის სასახელო, სათნო ყმაწვილს.

ეს იღბალი არის მძიმე ტრაგედია,
გული ძალუმ დამიკორტნეს ამ ფიქრებმა...
თუკი ასე დაგვეღუპნენ შენი ტოლნი,
ქართველების ხსენებაც კი არ იქნება.

ქართველთათვის რუსეთია ვით ცერბერი:
ემტერება მეფეა თუ ვიღაც ფაშა.
შენ ფიქრობდი, გულში თბილად ჩამიკრავსო
ვით ირწმუნე ეს ზღაპარი, ჩემო ლაშა?!

მიკვირს, რატომ აგერია ერთმანეთში
რუსის მიწა და მშობელი „იბერია“,
რუსი თავად საკუთარ შვილს არც პატრონობს,
ურჩხულს მოჰგავს ბოროტების იმპერია.

მძიმე სევდით დაგტირიან დღეს კოლხები,
ციდან ღმერთი სევდიანი იყურება,
ჩემი ცრემლიც ჭირისუფალთ ცრემლებს ერთვის
და საფლავი ცხარე ცრემლით იპკურება.

მზეჭაბუკი გახდი უკვდავთ ბინადარი,
მოგიგონებთ, სანამ შენთან მივალთ ვიდრე...
შენს სპეტაკ სულს მაცხოვარი შეიწყალებს,
რომ ცხონებით სასუფეველს დაემკვიდრე.

*30 აგვისტო, 2003 წ.,*
*ქ. ხენაკი.*

# ღ ა ლ ა ტ ი

*„ყოველგვარი ღალატი, მეგობრის მიმართ იქნება იგი, თუ მამულისა, გინდა რწმენისა და ზნეობის მიმართ, პირველად ჩადენისას არის ძნელი, თორემ თუ ერთხელ მაინც შესძლებს უღალატოს რაიმეს, წმიდათაწმიდად მიჩნეულს მას იოლად შეუძლია იგი დღეში ხამჯერ გაიმეოროს“*

*(ჯ. გამსახურდია)*

ვინც უწმინდეს ბატონ ზვიადს
ქვეყნის მართვა არ აცალა,
არსებობა მის ერს დიადს,
ვით ყივჩალმა წააცალა...

გაიმეტა ამ შავ დღისთვის
ჯვარს გაკრული ერი მისი;
სახრჩობელა რა არს მისთვის?
ის ჩაქოლვის არის ღირსი.

*11 მარტი, 2003 წ.,*
*ქ. ხენაკი.*

# სინანული

*„მრავალ არიან უფალი მტერნი...“*
(ნ. ბარათაშვილი)

ოიქრიან წლები ავი ზმანებით,
უკუღმა ბრუნავს ბედის ბორბალი,
მომრაველდნენ ერში შადიმანები...
ყალბი გრძნობებით ნამეგობრალნი.

ვცდილობ გავცილდე მაცდურ საწუთროს,
ბრბოს, მოძმის სისხლში ყ ელამდე მოთხვრილს,
ვიდრე სატანა, ქვეყნის დამქცევი,
როგორც გრიგალი ბოლომდე მოგვთხრის.

*10 სექტემბერი, 2003 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# ბოროტება ღვთის გმობაა



ამშობლომ სცადა დადგომა ფეხზე,
მაგრამ სატანამ აღარ აცალა...
იუდამ ქრისტე გაყიდა ვერცხლზე,
ედომ მამული ტახტზე გაცვალა.

ჟამმა წარხვეტა ყველა მტარვალი:
არაბი—მურვან, სპარსი—ოროდი...
თუმცა ღალატი არს წარმავალი,
ღმერთო, წარწყმიდე ყველა ბოროტი.

*24.09.2004 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# უმეცარ სჯულმდებელს

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი“
(ილია ჭავჭავაძე)

Ცარ მოსამართლე უგვანო,
ფარისეველი, ფლიდი,
გინდა სუყველას უგანო...
მოყვასთ დოლარზე ჰყიდი.

კაენის მსგავსად თავში
გიქრის აზრები ავი...
ზიხარ მექრთამის „ნავში“
ქოფაკის მსგავსი თავით.

შენთვის უცხოა ღმერთთან
მორიდება და შიში,
ლაფში ისვრება შენით
კოლხთა ძირძველი ჯიში.

თუმც თავს ასაღებ გმირად,
შემომწყრალი გყავს ღმერთი;
ერსა და მამულს ჭირად
შერჩი მუტრუკი ერთი.

*P.S. წარღვნა მოსულა „ლინტუ“,*
*ლხენა გადავა ჭირში...*
*და აღმოჩნდები მალე*
*სანაგვე ყუთის ძირში.*

*15 ივლისი, 2003 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# გასაუბრება დიოგენესთან

*„ერთხელ დიოგენეს დაუყვირია—„ჰეი, ადამიანებო!“ მაგრამ როცა ადამიანები მიეიდნენ და მას კეტები დასცხეს, უთქვამს: „მე ადამიანებს ვეძახდი და არა არამზადებსო“*

—ვ ის დაეძებ, დიოგენე,
დღისით ფარნით, თანაც „მთლიანს?“
—რუდუნებით ვეძებ, ვეძებ...
ყოვლად სრულქმნილ ადამიანს.
—მებრალები, დიოგენე,
დასდგომიხარ გზას ეკლიანს...
საწუთროში ვეღარ ჰპოვებ
იდეალურ ადამიანს.

*23 ივლისი, 2003 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# ანტიქრისტე ტახტზე

*„ასე არს ჟამი ჩვენი და ხელმწიფებაჲ ბნელისაჲ“*
*(ლუკა, 22, 53)*

ვყავს ანტიქრისტე ტანჯულ მამულში,
ჯალათი, ხარბი, ბოროტი სულით,
ვინც სამშობლოში, ცრემლით ნამულში,
გათიშა ერი ღვარძლით და შურით.

გარს მოიკრიბა დასტა მლიქვნელთა,
ავაზაკნი და სულით ღატაკნი;
გოშიად ვინც არ გარდაიქმნება,
მისი ხვედრია ზურგზე მათრახი.

მოძმეთა სისხლით შელება თერგი...
წარყვნა სამშობლო თვისი სიბეცით,
ჩინგიზ ყაენი და თემურ ლენგი
ვერ შეედრება ველურ სიმხეცით.

ძმათამკვლელ ომშიც მოჭრა მედალი,
გვერდით ეხვია ჯალათთა რიგი...
ძაძით შემოსა ქართველთ დედანი
და გარდაიქცა კაენად იგი.

ღვარად სდიოდა მოძმეთა სისხლი,
კვლავ მძვინვარებდა სული გაქნილი,
ჟამმა წარხოცა კვამლი და ნისლი,
შეგვრჩა სამშობლო იავარქმნილი.

„ღეაწლი“ მისი არს ამაოება,

მასთან თამარიც ველარ თამარობს,
„მამული ენა, სარწმუნოებაᲘ“
სურს უცხოს ხიშტით დაასამაროს.

ქართველს უმრავლებს ათას სათხოვარს...
მურვან ყრუსავით გულქვა და ავი,
ელაციცება ენით მაცხოვარს,
რომ მოაჩვენოს წმინდანად თავი.

ერს ემუქრება წალეკვით, კვდომით,
ვითარც მთებიდან მომწყდარი ზვავი,
იუდას რჩევით და თანადგომით
წმინდა გიორგად შერაცხა თავი (?!)

ზურგზე ჰკიდია მძიმე ცოდვები,
მაცხოვრის მხრიდან მიუტეველი,
ბოლოს დასჩემდა რაღაც ბოდვები...
ნიღაბქვეშ ბორგავს იუდეველი.

დგას სატანურად „ერის მმართველი,“
ხელში უპყრია ქვეყნის საჭენი,
ვით მათხოვარი, დადის ქართველი,
ვიღაცის მონა, სხვისი სარჩენი.

წარსულში მსგავსი აღარ გვქონია,
ღმერთო, კრულ იყოს მისი გამჩენი!
ეს ქართველია?!—არა მგონია,
თავი სადღა აქვს გამოსაჩენი?!

ბუუტავს წყვდიადში ერის სანთელი,
კვლავ სახეზეა ჭირთა მრავლობა...
მხოლოდ უფლისთვის არის ნათელი,
რით დასჯის კაენს შთამომავლობა!

*19 სექტემბერი, 2003 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე...“

*„საქართველო აზროვნებდა*
*ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“*
*(ზ. გამსახურდია)*
*„ქართველ ერს ისეთი თვისებები აქვს,*
*რომ მისი დროებით დამორჩილება*
*შეიძლება, მაგრამ დამონება —*
*არასოდეს!“*
*(ვ. ფონ ფრაიგანგსი)*

ეე „ოდაბადე“ წარმტაცეს მტრებმა,
სურთ დამავიწყონ შოთა, თამარი...
გულში იმედი უღმერთოდ ქრება,
სულში ბობოქრობს აზრი მთავარი.

გაყიდული არს „ოცდაათ ვერცხლად,“
ურცხვად ქირქილებს უცხო „წითური“,
შემოგვჯარვია მეხად და ცეცხლად
ჟღალწვერა რუსი—ძალა სკვითური.

კავკასიონთან დგას „თეთრი დათვი“,
სატანურ ძალით კვლავ გვერკინება,
ოსეთს, აფხაზეთს დაადო თათი
და ბინძურ ზრახვით ეპოტინება.

ჟამთა ქარტეხილს მოსდევს კირთება,
ქორონიკონი რომც ვერ დაითვლის,
წარღვნას რომ ვძლიოთ ახლა გვჭირდება,
ძალა გორგასლის, ნიჭი დავითის...

წინაპართ სული ზეციდან გვიცავს,
ვით „ქუდზე კაცი", ბრძოლის მინდორი...
ღვთისმშობლის წილხვედრ ქართლოსის მიწას
წინ ელოდება ისევ დიდგორი.

მძიმე ფიქრები, ტკივილის მჩენი,
დაფლეთილ გულზე შხამად გადამდის,
სადღაა ვრცელი სამშობლო ჩემი—
„ნიკოფსიითგან დარუბანდამდის.?!"

*26 მაისი, 2003 წ.,*
*ქ. თბილისი.*

# ვაი, ჩემო საქართველოვ!

*„უმჯობესია ცუდი მეფე იყოს, მაგრამ კანონიერი, ვიდრე უკანონო. ეს უკანასკნელი მას უეჭველად გააფუჭებს და ქვეყანას არევს“*

*(ლ. გოთუა)*



ინათ იყავ, ვითარც ლომი;
ივარქმნილს როცა გზედავ,
თვალს მინამავს ცხარე ცრემლი,
ჩემო სათაყვანო დედავ!

ზის სატანა ტახტზე ურცხვად,
საქმეს ხლართავს ერის მძრახველს:
საბუთშიაც ვერ იხილავ
ეროვნებას, მამის სახელს.

დანგრეულა ის ზღუდენი,
დავითმა რომ შემოგავლო,
დღეს უკუღმა ილეწება
ხოდაბუნზე შენი კალო.

კვლავ გჭირდება „ქუდზე კაცი“,
ბასიანი თუ დიდგორი...
ვინძლო ფერფლად დაიშლები,
ცაში როგორც მეტეორი.

უმჯობეს არს, რომ კაენმა
სამარე თვით გაითხაროს,
ვინძლო მტერმა მოსისხარმა
შენს ფუძეზე გაიხაროს.

ვაი, ჩემო სათაყვანო,
ღვიძლ შვილიეით სანატრელო,
ბოროტ შვილთა „ნამოღვაწრით,“
დაფლეთილო საქართველო!

*26 მაისი. 2003 წ.,*
*ქ. თბილისი.*

# ქამი წარღვნისა

*„სამშობლო ტაძარია სალოცავი,*
*მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთ-*
*ხველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა*
*იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე,*
*ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ“*

*(ნ. დუმბაძე)*

საქართველო ედემია,
მარგალიტი, სუფთა, წრფელი,
ამ საუნჯის წასაბილწად
აღუმართავს უცხოს ხელი.

ერი, სტუმართმოვრული წესით,
ეფერება მკვიდრს თუ ხიზანს,
მაგრამ უცხო უმადური
არ ეშვება მზაკვრულ მიზანს...

და ბედკრული საქართველო,
სანთელივით ნელა ქრება,
ერის წმინდა სალოცავებს,
წარღვნის ჟამი ემუქრება.

არ გეშორდება ჩრდილოელი
„უფროსი ძმის“ სახის შექმნით,
სურთ სამშობლო წაგვიბილწონ
„თეთრი დათვის“ ტლანქი ჩექმით.

სანამ ერთი ქართველია,
ხმალიც აღარ დამოკლდება
და ღვთისმშობლის საქართველო
მტრის ჯინაზე არ მოკვდება!

„ქუდზე კაცის“ ადათ-წესით,
ერი კვლავაც დაწყვილდება...
იბერია-ნატვრის თვალი
ქრისტეს მადლით გაბრწინდება!

*20 ივლისი, 2003 წ.,*
*ქ. ხენაკი.*

# ცოდვის კალო

## ანუ

## „მგლების ხორუმი“

*ეძღვნება*
*დასავლეთ საქართველოში,*
*სამეგრელოში, ძმათამკვლელი*
*ომის დროს მხედრიონელთა*
*განუკითხავი ჯარპაშის*
*ავადმოსაგონარ დღეთა*
*გახსენებას*

ამულს ჩაუცვამს ძაძები,
გლოვობს კოლხების დედა:
„ვითარც მურვან ყრუ უძღები,
ვინღა დაგვსხმია ნეტავ?!“

ეგრს შეპსევიან ველურნი,
ძარცვავენ ყოველ ალაგს...
მათი აზრია ველური—
დაეპატრონონ ალაფს.

წალეკვა ელის მხეცთაგან
ცოტნეს მშობლიურ დაბას,
ყალყზე შემდგარან ჯალათნი,
ფეხქვეშ ერთხმიან ჯაბას.

ასპიტის სისინს მიაგავს
„სარდლის“ ბრძანება ავი:
„გაძარცვეთ, ნურვის დაინდობთ,
გინდ წააცალეთ თავი!“

ვაი, ბედშავო „ქართველო,“
ბოროტ საქმეს რად ბედავ?!
თქვენ შეგვიწყალეთ, მარიამ,
ქრისტეს მშობელო დედავ.

მოძმეთა ქიშპი დასრულდა,
პასუხს ვეძიებ მთავარს:
რა პირით მივეახლებით,
დავითს და დედა თამარს?

ვისღა მოვსთხოვოთ პასუხი?
(ლოდინი გასტანს დიდხანს),
ჩალით დახურულ მამულში,
სატანა ქეჩოს იფხანს.

*27 სექტემბერი, 1993 წ.,*
*ქ. სოხუმი.*

# რ ო დ ე მ დ ი ს?!

*(ვალაკტიონის „ქარი ქრის“-ს მოტივზე)*
*„ვიწროა გზა ხსნისა*
*და ფართოა გზა წარწყმედისა“*
*(ზ. გამსახურდია)*

ქარი ქრის,
აშარი ქარი ქრის,
ვეხლებით ერთმანეთს მხარდამხარ,
ტირანი ულმობლად თვალებს გვთხრის,
ნაცარსაც ზედ გვაყრის ხანდახან.

ქარი ქრის,
ბოროტი ქარი ქრის,
ჩვენ ვეძებთ კაცთა მხსნელს კარდაკარ.
ქრისტეე!
ზნეობავ!
სიმართლეე!
სადა ხარ!
სადა ხარ!
სადა ხარ!
ოჰ, ქარო ბოროტო, აშარო!
ალბათ, გსურს, რ ომ სრულად დაგეშალო...

*7 სექტემბერი, 2003 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# „ბანცალას“ ნამოლვაწარი

ემოიპარა ბინაში
ორი ხელმრუდე „ბანცალა“
და ორი ბოცა ღვინოდ
სხვის ქოხში წააცანცალა.

იხმეს საღრეოდ „ბიჩები“,
ბახუსის განაწირები,
დათვრნენ, იატაკს ეყარნენ,
ვითარც ქიზის ვირები.

ჯერ ვერვის დაუდგენია,
არიან ვისი „გორისა“?!
ერთი კი ნათელი არის,
ჩვევა ჰქონიათ ღორისა.

*2 იანვარი, 2003 წ.,*
*ქ. სენაკი, (სამხედრო ქალაქი).*

# აჰავაი, ჩქინი მინჯეს!

*„გახსოვდეს! სამშობლოში*
*უცხო ძალა ყოველთვის ჭირია“*
*(ლ. გოთუა)*

ჭანიაქ საქმე აკობანძღ
აფხაზა დო ქორთუ შქას,
ჯიმაქ ჯიმა გეშაჭყვიდ,
რუსიქ ქიდოსქიდ ძგას.

ცოდა მონკა ნაქიმინა
მინვაბრალით არძო შხვას...
„ბაბუქ“ თიზმა „იჩალიჩ“—
ქონმოქოსეს უჩა დღას.

ჩქინ ჩილამური მიშახოლ
ფსოუს დო უჩა ზღვას,
ამდღა გილურთ უმინჯურო
ჭითა ხინჯ დო ინგირ შქას.

აფხაზეფი დო მარგალეფი
გიფხვანცალთ ართი ტაფას,
მუს ვუტენთ მოთალენს,
ჩქინი რინა ჯანდაბას.

კიბირს ვუძგიძგინუანთ
შამბას დო არძინბას;
მუს მოთხინქ „ჩე მელას“
რუსიში ბურდღათ ნაძგიბას.

ქიმკვოშურდით ვითი წანას,
ღულა საქმეში თინუას;
თოფით ნაღელ ქიანას
ნინათ მი დოირთინუანს?!

ჩქინი დორთინას უშველენს
აფხაზეფწკმა ჰამო ნინა...
ნათესობაში გოშინა დო
ართიმაჟიაში ელარინა.

*13 ნოემბერი, 2002 წ.,*
*ქ. ხენაკი.*

# ორლობის ინსტიტუტები

*„ასე არს ყამი ჩვენი და ხელმწიფეაი ბნელისაჲ“*
*(ლუკა 22, 53)*

*ვ უ ძ ღ ვ ნ ი*
*ზოგიერთი უმაღლესი კომერციული სასწავლებლის მესვეურთ*

ართალს შეგკადრებთ, „რექტორნო“,
(გთხოვთ ნულარ გამებუტებით),
ფეხმძიმედ გახდა ქვეყანა
ორლობის ინსტიტუტებით.

ცოდნას დაეხშო გზა ფართო,
აი, სადამდე მიეედით!...
ლომებს ვუზრდიდით სამშობლოს,
დავრჩით კნუტების იმედით..

გზისპირზე „თემო“ ჩასაფრდა,
თავლის გვერდით კი—„ბუაძე,“
ტუფტა დიპლომის მსურველნი,
ნეტავ თუ მოვლენ ჭკუაზე!

ჩიხში ლომკაცობს „კოჩაჲ“
გზისპირს პატრულობს „ჟანიკ“;
უნდა ასწავლონ უწიგნურთ,
ქართული „ანი-ბანიკ“...



ერთურთს სტაცებენ „კლიენტებს“
(სხვაგვარად ან ვით მოხდება?)
„ბუაძეს“ ვინც დაუძვრება,
„თემოს“ ბადეში მოხვდება.

თუკი ორივეს დაუსხლტა,
სხვის „დასაბმელი“ გახდება,
„კოჩა-ჟანიას“ „ფაცერში“,
ვით ღლავი აფართხალდება.

ჰყავთ ლექტორებად „მავანნი“...
დაუდგენელი პროცენტი,
ვინც ძლივს „მასწობდა“ სკოლაში,
აქ გახდა „სუპერდოცენტი.“

ბნელში უგვანო ჩალიჩით,
რეგვენთ ფრთები აქვთ გაშლილი;
საფლავშიც არ მოასვენეს
სულმნათი გოგებაშვილი.

ცოდნა აქ უცხო ხილია,
გაქრა რწმენა თუ ნუგეში...
და „აწაპნილი“ დოლარი
ჩადის მავანთა უბეში.

წყალწყალა დიპლომს გასცემენ...
(ეს მზაკვართ განაზრახია!),
ზოგი ინახავს სკივრებში,
ზოგმაც თავლაში დახია.

გონების ასე დახშობა,
მწამს, უვიცთათვის ახია!
(ძაღლის თავს ეძებთ?—გასწავლით:
დედაქალაქში მარხია).

ტრიალებს ბედის ბორბალი,
კვლავ „ილეწება“ ეს „ყანა“,
დაკნინდა მთელი თაობა,
სულს ღაფავს ჩემი ქვეყანა.

კაცს გული გაეთანგება,
თუა გონებით მზირალი,
არავინ უწყის, შემხვედრი
კეთილია თუ „ფირალი“...

ღვთისმშობლის წილხვედრ მამულში
მომრავლდა დასატირალი...
მასხრად აგდება ერისა
არს ფრიად გასაკვირალი.

*P.S. ღვთით მომადლებულ გონებას*
*რად ვბოჭავთ რკინის ხუნდებით?!*
*მწამს, თუკი ამ გზით ვიარეთ,*
*„ქვის ხანას“ დავუბრუნდებით.*

*21.05.2003 წ.,*
*ქ. თბილისი.*

## ვაი, სირცხვილო!

*„ოდეს ტურფა გაიაფდეს,*
*აღარ ღირდეს არცა ჩირად“*
*(შ. რუსთაველი)*

ჟსაქმურ ბრბოთი გავსილა ქუჩა,
წაღმა-უკუღმა ვხედავ დინებას,
ისმის ხორხოცი, ბილწსიტყვაობა
და უცნაური მშობელთ გინება...

გულამღვრეული მივყვები ქუჩას,
ამაბრზენია ჭმუნვა თუ სევდა,
ვიღაც „თახსირი“ ურცხვად ქაქანებს:
„მე შენი მამა...“ „ოჰ, ჩემი დედა...“

გამოწკეპილან ჯინსის სამოსში
სოფლის გომბიო, „წიწკვი“ ტიპები,
მკერდმოშვლეპილებს, თმებშეღებილებს
ევასნაირი უჩანთ ჭიპები...

შევყურებ ბრაზით, გული მიკვდება,
თვალნი მწუხარე ცრემლით ივსება,
რომ უმოწყალოდ დღეს იბღალება:
რიდი, სიმორცხვე—ქალის ღირსება!

მოდების გიჟნი, „ლადავისტები“,
ევრაზიელთა „ჰიპებს“ ბაძავენ,
სხეულის გრეხვით, „ევას სამოსით“,
„შებათქაშებულ“ თვალებს პრაწავენ.

ასე ჰგონიათ, ტანის სიშიშვლით
წინაპართ სახელს დაამშვენებენ...
გთხოვთ მიპასუხოთ, ეს „ევას დები“
როგორ ქვეყანას ააშენებენ.

კვლავ უნუგეშოდ მიქრიან წლები...
და კაცი ბრძენი, ჭკუათმყოფელი,
ცრემლნარევ სევდით ცხადად შეიცნობს,
ვის რჩება ხელში წუთისოფელი.

*21 ივლისი, 2003 წ.,*
*ქ. თბილისი.*

## მსუსხავი სტრიქონები პოლიტიკანებს!

### *ვახტანგ რჩეულიშვილს!*

ალბერებულხარ ვახო,
გაგთეთრებია ქოჩორი,
თბილისში ვირად გიცნობდნენ,
ბათუმს ეახლე ჩოჩორი.

### *კაკო ასათიანს!*

მაყობს დედა სამშობლო
ვაჟა, ილია, გოგლათი...
შენ ცოცხალ-მკვდრებში წერიხარ
ტვინგამომშრალი „გოგრათი“.

### *ირინა სარიშვილს!*

ენგანაა დღეს ედპ
ურიცხვ ბილწთა სანავარდო,
მასმედიის წინ კეკლუცობ,
თითქოს იყო ბრიჯიტ ბარდო.

საქმე შენით „ნამოღვაწი“
არეულა ვითარც ქაშა,
ვერ გიშველის აწ „კაკოდ“
„ვახოდ“ და „ასლან-ფაშა“.

## ასლან აბაშიძეს!

ერ ეკარები პარლამენტს,
გაურბი თბილისს ჩამოსვლას...
არ ერიდები ქართველთა
სახელის ლაფში ამოსვრას.
ვერ ეღირსები მზაკვრობით
ცაზე შენი „მზის“ ამოსვლას.

## ჯემალ გოგიტიძეს

ერ იბოგინა თბილისში
ასლანის „ყოჩმა“ ჯემალმა;
„შვილიშვილს მოსჭრა კბილები
ბაბუს ნაჭამმა ტყემალმა.“

## კობა ნარჩემაშვილს!

ერ მოიშალე მზაკვრობა,
შური, ღვარძლი და მტრობაჲ,
ფეხზე გეკიდა უტიფრად,
ქართველთ ნაქები ძმობაჲ.

კაენს ედექი მსახურად,
დაკარგე ქართველთ ნდობაჲ,
დღეს გახდი ხელმოცარული,
ნაქოფაკარი კობაჲ.

*აგრეა, ჩემო კობაჲ,*
*ტეინის ჭყლეტა და ბჭობაჲ,*
*ასე სრულდება ყველასთვის*
*ედო „ბაბუსთან“ ძმობაჲ.*

*4 იანვარი, 2004 წ.,*
*ქ. თბილისი.*

# თუკი

*„წიგნი კეთილი მღვდელივით უნდა*
*იყოს, თუ მრევლი არ მივიდა,*
*თავად უნდა მივიდეს მასთან“*
*(ლ. გოთუა)*

ეს კრებული თუნდაც წამით
ცრემლებს მოჰგვრის მკვიდრს თუ ხიზანს,
ვიტყვი, ჩემმა სულის რწმენამ
მიაღწია თავის მიზანს.

თუკი ვნახავ, რომ მკითხველი
მას სიამით ეტანება,
ეს იქნება მგოსნის სულის
სამოთხე და ნეტარება.

*17 ივლისი, 2003 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# მკითხველისადმი

*„მე თუ მოვკვდები, რვეულო,*
*შენ ხომ დარჩები ამიერ,*
*მე, მიწას მიწად ვიქცევი,*
*შენ ივლი დღე და ღამიერ“*
*(ალ. ყაზბეგი)*

ელტვი სიმართლეს მაცხოვრის ბრძნობით,
ვარ „მაფშალიკ“—ნაზი ფრთოსანი,
თაყვანისცემით, სათუთი გრძნობით
თქვენკენ მივილტვი ერთი მგოსანი.

მომავლის რწმენა გახდა ნათელი,
ცამდე მაღალი, მტრისთვის საშური;
მეც განვაცხადე ლექსში სათქმელი...
გულის სიღრმიდან ამონაჟური.

*3 ივლისი, 2003 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# „ქრისტე არს ჩვენთან!“

*„სარწმუნოების აღორძინება*
*იხსნის საქართველოს“*
*(ზ. გამსახურდია)*

ჩვენ ზარები სიონის,
სვეტიცხოველის და ბოდბის;
რომ მოაქციოს წარმართნი,
ნინო ქართლისკენ მოდის.

მიწას ერთხმიან წარმართნი
მისატევებლად ცოდვის,
ლოცვას აღაესენს წმინდანი,
ისმის სიტყვები ხოტბის.

ზეცისკენ ხელაპყრობილი
წმინდა ქალწული მოდის,
მიწას კოცნიან წარმართნი,
გულსაც ეჭვები კორტნის.

განგაშის ზარი მრისხანებს
წარმართთა ძველი მოდგმის...
დგას „მოქცევა ქართლისა“,
თუმც აღსრულდება როდის?

ჟამი უდგათ განკითხვის,
ადრე ჩადენილ ცოდვის...
ძილი განიფრთხეთ, ქართველნო,
იესო თქვენკენ მოდის!

აღსაესის კარი იხსნება,
ზეცით უფალი მოდის,
ქრისტე არს ჩვენთან ქართველნო!
ბოლო ეღება ლოდინს.

*25.12. (7.01.) 2003 წ.,*
*ქ. ხონეკი.*

# ა ღ დ ე ქ!

Ლავარქმნეს საქართველო,
გახდა ახლადსაშენი,
მკერდშელეწილ ვაჟას „არწივს“
არვინა ჰყავს მაშველი.

იფლითება ნაკუწ-ნაკუწ,
ქრება ერი დიადი,
ნათლის ნაცვლად „ოდაბადეს“
დასდგომია წყვდიადი.

დამსხვრეულა ქართველთ რწმენა
ბილწთა აკი ზმანებით,
ავსებულა ივერთ მიწა
სადუნ... შადიმანებით...

დაჟანგული ხმალი ტირის
უმოქმედო ქარქაშში,
მარიამის წილხვედრ მამულს
ჯიჯგნის ბილწთა პარპაში.

მეფის კარის ფარისეველთ
ეს ქაოსი ახარებს,
ქართველთ ციხის ქონგურებზე
კვლავ იუდა ხარხარებს.

მკერდშენგრეულ ციხე-კოშკებს
ცეცხლის ალი ედებათ,
ჩემო ზვიად, საქართველოს
თქვენი ეიმედება!

უკეთურნი ჩვენ ულმობლად
სანამ ტყვიებს გვიშენენ,
აღდექ! შენი სისპეტაკით
და ქველობით გვიშველე!

თაობებმა, ვით წმინდანი,
ქებით რომ მოგიგონოს,
გელოდება ერი შენი,
მკერდში რომ ჩაგიკონოს.

ვიდრე ბედკრულ ქართველობას
ძალუძს ტანჯვის ატანა,
აღდექ, ვიდრე საქართველოს
მთლად დაგვიქცევს სატანა.

*31.03. 1999 წ.,*
*ქ. თბილისი.*

# უფალო, გვიხსენ!

ეს ორნი მიქრიან, ვით ბედაურნი,
ჩანჩქერს ედრება ახრთა დინება,
ვიგონებ წარსულს, უწმინდეს ზვიადს,
რომ სურდა ქვეყნის აღორძინება.

სიმართლეს სძინავს, ფიქრები რბიან,
კვლავ ვრჩებით ბნელში გზაჩაკეტილი,
ვეღარ გაარჩევ ამ საწუთროში,
ვინ ბოროტია და ვინ კეთილი.

არავინ რჩება მოძმეთა შორის,
„ჩატეხილ ხიდის“ კვლავაც გამდები;
წარღვნა მოგველის?—უფალო გვიხსენ!
რამეთუ, შენ ხარ რწმენის თავმდები.

*22 ნოემბერი, 2003 წ.,*
*ქ. თბილისი.*

# ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲚᲡ

*„ღმერთებო! ჩვენთანაც*
*აიღერეთ უპატრონო ჩანგები“*
*(ლ. გოთუა)*

ღმერთო, დაამხე ტირანი—
ქვეყნის დამქცევი სატანა,
გვაშორე დასატირალი,
მოგვმადლე მოძმის გატანა!

გვაცილე გულის ნაღველი,
თვალები, ცრემლით ნამული,
მოგვფინე სულის ნათელი,
გაგვიმთლიანე მამული!

გაფანტე სევდა, წუხილი
და ჭმუნვა დამძიმებული!
გთხოვ: ჩემი დედა სამშობლო
ქნა ლოცვით გაბრწყინებული.

*23 ნოემბერი, 2003 წ.,*
*ქ. თბილისი.*

# მიშამ იტვირთა მაცხოვრის ჯვარი...

*(სინამდვილე, ანუ ჭეშმარიტება, სამი ფორმით: ბნელეთი, აღმოცისკრება, ნათელი)*

I

ერემლში დაგეშეს „ბაბუ"-ჯალათი,
რომ გაეხადა ხალხი მონებად,
ტანზე მოირგო ცეკას ხალათი,
ერის და ქვეყნის დასამონებლად.

მუხანათურად დაგვესხა ჯარით,
ლომის კლანჭებით ფაფარაყრილი,
რუსულ ტანკებით, ბასრი ბარებით,
სისხლით შეღება ის 9 აპრილი.

მოძმეთა მკვლელი, იგივ კაენი,
ტახტზე დასკუპდა მირონუცხები,
ვით ატილა და ჩინგიზ ყაენი,
ქართველი ერის სისხლით უძღები.

ბოროტს დასჩემდა ზმანება ავი...
(მისი ლაყბობა როგორ გვჯეროდეს?!),
ჯალათთა ხროვამ მოწამის თავი
ლანგრით მიართვა ქართველ ჰეროდეს.

ხალხს დაავიწყა რწმენა მაცხოვრის,
ერის სინდისი კვლავ იყიდება,
ერს დაუწესა ბედი მათხოვრის,
კორუმპირებულთ—გმირის დიდება.

ავაზაკებს და ქვეყნის მძარცველებს
სისხლიან ხელით ფარაეს სატანა,
კორუფციის გზით აშთობს ქართველებს,
რომ შეძლოს ბნელში „ლელოს გატანა“

ვით „განტევების ვაცი“ ცოდვილი,
ქართველი საზღვრებს განდევნილია,
ეგ „ჩვენი თავი ჩვენად გვეყუდნეს!“—
მაშ რად გვმოძღვრავდა ბრძენი ილია?!

დგას ავაზაკი სისხლში მოსვრილი
ჩვენს მოსასხეპად ალესილ ცელით,
საქართველო კი, ძაძით მოსილი,
ლუკმის საოხოვრად გაშვერილ ხელით.

II

„მორჩა, გათავდა!“—მრისხანებს ერი,
ციდან განგაშის გრგვინავს ზარები,
„ქაჯეთს“ შემოსდგნენ ერი და ბერი,
რომ შეულეწონ ბნელეთს კარები.

აზვირთებულებს არ უჩანთ ბოლო...
დროშების ზღვაა ირგვლივ გაშლილი,
ხელში უპყრიათ ვარდები მხოლოდ,
წინ უძღვით მიშა სააკაშვილი.

ხალხს მოუწოდებს: „ძმანო, შევერთდეთ!
ერთ მუშტად შეკვრა ტანჯვისგან გვიხსნის,
ტირანს მივუხტეთ მხოლოდ ვარდებით,
გამოირიცხოს ტყვია და სისხლი!“

სათნოება და დანდობა სრული...
უფალს ქართველისთვის კვლავ მოუცია;

აი, რას ნიშნავს ქართული სული,
თანაც „ვარდების რევოლუცია.“

მიშას იდეით ვძლიეთ კაენი...
აღზევდა ერი, ჯვარზე ვნებული,
და დიქტატორი, „ედო ყაენი“,
იქნა ტახტიდან გაძევებული.

კვლავ აბრიალდა ჩამქრალი კვარი,
ხოლო სამშობლო—ნათლის ბრწყინებად,
მიშამ იტვირთა მაცხოვრის ჯვარი
კვლავ იბერიის გასაბრწყინებლად!

III

მიშას იდეა არყევს მთა-გორებს,
ვულკანის ძალით, არსით მთლიანი,
თავად სიქველით დავითს მაგონებს
უმწიკვლო, ბრძენი ადამიანი.

რამეთუ მხსნელად ეგულვის წინმხვედრს,
ღმერთკაცია და ერის მშვენება,
მწამს, საქართველოს, ღვთისმშობლის წილხვედრს
არ უწერია გადაშენება.

დე გიხაროდენ!.. დე გიხაროდენ!..
რადგან უფალმა თავად ინება:
მიშას სიქველით, რაინდულ რწმენით,
ილიას კრედოს აღორძინება.

*23 ნოემბერი, 2003 წ.,*
*ქ. თბილისი.*

# „სამართალმა პური ჭამა“

ეუციფერმა დაავიწყა
ქართველს „ქართველის“ გატანა,
მარიამის წილხვედრ მამულს
გულს კორტნიდა სატანა.

ჯალათისთვის სიმართლის თქმის
არვის ჰქონდა უფლება,
სულშიც ურცხვად გვაფურთხებდა
„ქაჯთა“ ხელისუფლება.

ზნეობაც კი წაგვიბილწეს,
მარტო მიწა კი არა;
დარბევების მძლავრმა ტალღამ,
მეხად გადაგვიარა.

მოყვასო შორის ხოცვა-ჟლეტამ,
ვით კოცონმა, იალა,
ერი აღდგა, რომ აღეესო
მოთმინების ფიალა.

P.S. *„ტაიფუნი“ მხნედ ეკვეთა*
*მეფის კარის მასხარებს,*
*დაილეწა „ქაჯთა“ ციხე,*
*სატანა ვერ ხარხარებს...*

ხუთჯერიანი ქვეყნის დროშა
თვითონ მიშამ აღმართა.

მორჩა! გაქრა ის კირთება,
რაც წარსულმა დაგვმართა.

დღევანდლამდე ნაბიჯ-ნაბიჯ
წამების გზით მივედით,
„სამართალმა პური ჭამა“
მიშას ურყევ იმედით.

მაცხოვარი თვალებს უხელს
ჭკუით მთვლემარ ბრუციანს,
ხალხიც რწმენით ადულაბებს
„ეარდის რევოლუციას“.

ბოროტება ფარ-ხმალს არ ყრის,
გაშლილი აქვს მინდორი,
წინ ახალი ბრძოლებია...
ისეთი, ვით „დიდგორი“.

სამშობლო რომ გამთლიანდეს,
გვმართებს დიდი მცდელობა;
ღმერთო, მიშას დაანათლე
დაეით მეფის ქველობა.

„ჩატეხილი ხიდი“ მხოლოდ
მაშინ კვლავ გაიდება
და აღდგება იბერიის
„ოქროს ხანის“ დიდება.

*14 დეკემბერი, 2003 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# წრფელი გულით

ექსპრომტად

*სიყრმის მეგობარს,*

*მუშნი ეზუგაიას*

ეუთისოფელს თუ შეიცნობ,
თვით ცხოვრებაც ადვილია;
მეგობრისთვის თავს გასწირავ?
მაშინ ძმობაც ნამდვილია.

ღმერთმა მუშნი მიდღეგრძელოს,
სპეტაკ სულის წადილია;
ყანწით ვიღებ სადღეგრძელოს,
ძმად შეფიცვის სადილია.

ქვეყნად ძნელად მეგულება
თქვენებრ სათნოდ გაზრდილია,
თაყვანსა გცემს წრფელი გულით
შენი სანდრო გადილია.

*9 აპრილი, 2003 წ.,*

*ქ. თბილისი.*

# გილოცავ

*ექსპრომტად*
*ჩემს ჭკვიანსა და კეთილ ძმისშვილს,*
*ინდირა გადილიას,*
*საკანდიდატო დისერტაციის დაცვასთან*
*დაკავშირებით*

ლმერთია დიდი მოწამე,
გითქვამს სიტყვები ნამდვილი.
თანაც საოცრად გამშვენებს
კოლხელი ქალის მანდილი.

სპეტაკი სულით გიზრდია
შვილნი, მამულის ფუძენი,
თან ქართულ მეცნიერებას
ალალი შრომაც უძღვენი.

დღეს გამარჯვებულს, პირნათელს,
გმირის ბეგთარი გაცვია,
ჭეშმარიტ ჯზრით ნაძერწი
ჰქუხს შენი დისერტაცია

ლადოს ლექსებში აღგიქვამს
ზღვა სევდა, განუკურნელი,
შვილივით, რომ ეფერები,
გამკობს სიკეთის სურნელი.

დემონურ ძალის მქონეა
პოეტურ სიტყვის აისი...
მომილოცნია, ძმისშვილო,
მეცნიერების ხარისხი.

ხარ პოეზიის მეხოტბე
(ვინაც იკვლია, იძია),
ჩემო ჭკვიანი ინდირა,
შენ შემოგევლოს ბიძია.

## რაინდულო საქართველოვ, ალდექ!

*„ქართველი ერის გზა—ქრისტეს*
*გზაა, ეკლიანი გზა ჯვარცმისა*
*და გარდუვალი აღდგომისა“*
*(ზ. გამსახურდია)*

ეს რა ხდება, მაცხოვარო?
ცა მრისხანებს, მიწა იძერის,
ცეცხლის ენა ლოკავს ოსეთს,
ჩემი აფხაზეთიც იწვის...

კავკასს გაღმა ჩანს ჩეჩნეთი,
სად იმედით გვიცქერიან,
ცეცხლის ალში იწვის გროზნო,
რუს დათვს ებრძვის იჩქერია.

„უფროსი ძმა“ კვლავ მზაკვრულად
აცუნდრუკებს ოსს და აფხაზს,
ასე ვხდებით მტერთ საჯიჯგნი,
შური მართავს კრემლის ნახაზს.

სხვა ურცხვებიც, ვით ველურნი,
ეტმასნიან შავბნელ სიას,
რომ ბნელ ზრახვით დაეუფლონ,
შავ ზღვასა და კავკასიას.

ასე გვიდგას ცოდვის კალო,
რატომ? რისთვის?—ყველამ იცის!
აქ რაც ხდება კაენურად,
შედეგია მზაკვრულ ფიცის.

გვდის უმანკო სისხლი ღვარად,
ბნელში ჯვარცმა დელგმად ღელავს,
ნუთუ „თეთრი დათვის“ ურდო
ბინძურ ჩექმით გადაგვთელავს?!

თუმცა ქართველს, ლომებრ მებრძოლს,
შიში ვერ ძლევს სამარისა,
ვის ძარღვებში სისხლი უდუღს
დავითის და თამარისა...

აღდექ, ჩემო საქართველოვ!
რომ ეწიო მართლაც ქებას,
ვფიცავ, მტერი ვერ იხილავს
ქართველთ მუხლზე დაჩოქებას!

კვლავ აღდგები ფენიქსისებრ,
მზედ ენთება ნათლის კვარი,
ვინძლო მამულს ჰყავს მფარველად
მაცხოვრის და ნინოს ჯვარი!

*19. 07. 2004 წ.,*
*ქ. ხენაკი.*

# სამადლობელი

*დაბადების 65-ე წლისთავზე*

ასკუნჯის დარად გაფრინდა წლები...
სამოცდახუთი ცოტა არ არის;
რაც კი მებადა მამულს ეუძღვენი:
გული-კეთილი, შრომა-ალალი.

რაც სამშობლოსთვის ეზარდე თაობა,
უსათუოესი განძი რამ არის;
მათში მეგულვის: დავითის სიბრძნე,
ცოტნეს გმირობა, ძალა თამარის...

ეს ძალა მამულს გაამთლიანებს,
გზა უმძიმესი გვრჩება საკალიც,
თაობის ბრძოლა, ცოდნა და ნიჭი-
აი, სად არის გამოსაკალი!

კვლავ თაობები მოდის იმედად,
ერის სიწმინდეს რომ დაიცავენ;
აღარ მიმყვება იმ ქვეყნად ჯავრი,
სად წინაპრები ვერ გამკიცხავენ.

დრონი მიქრიან, ვით ბედაურნი...
მეც ხომ საცაა გავნაპირდები,
ერო მშობელო, გთხოვ მაპატიო,
მცირე ამაგით ნუ გაკვირდები!

თუკი შეეიცან, რომ წუთისოფელს
დამშერალი უკვე აღარც ვჭირდები,
ნუ გაიკვირვებ, კვლავ შენს კალთაში
ობოლ ბალღივით თუ ავტირდები.

თქვენით ვიწამე, რაც ძვირფასია:
სიყვარულის თუ სიცოცხლის გემო...
მადლობელი ვარ, ქრისტეე ჯვარცმულო,
და სათაყვანო მამულო ჩემო!

*2. 04. 2004 წ.,*
*ქ. სენაკი.*

# ღვთით მოვლენილი ჭეშმარიტი რაინდი

*(საქართველოს პრეზიდენტის, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას, დაბადების მე-60 წლისთავის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა ქ. სენაკში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, 1999 წ., 5 მაისს)*

ვირფასო და ღრმად პატივცემულო საზოგადოებავ! ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ამ დარბაზში ვხედავ ჩვენი მრავალჭირნახული საქრთველოს გმირული წარსულის მქონე ხალხის შთამომავლობას, შეკრებილს ქვეყნის ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას, დაბადების მე-60 წლისთავის იუბილეზე.

60 წლის წინ საქართველოს მხატვრული სიტყვის დიდოსტატისა და უებრო მამულიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ოჯახში იშვა ყრმა, რომელსაც შემდგომ, განგების ნებით, უნდა გაეგრძელებინა დიდი ილიას გზა—ეხსნა მამული ურჩხულის კლანჭებისაგან, ხორცი შეესხა ქართველთა საუკუნო იდეებისათვის, ბოლოს კი იუდასა და კაენის ცოდვებთან წილნაყარ თანამოძმეთა ღალატით გულგათანგულს საკუთარი სიცოცხლე უდრტვინველად მიეტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე.

ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის სიტყვა „ზვიადი" ფარნავაზისა და ქუჯის, ვახტანგ გორგასლისა და დაეით აღმაშენებლის, ცოტნე დადიანისა და დემეტრე თავდადებულის, თეოდორე ბერისა და სამასი არაგველის და მათი გასაოცარი მოდგმის—ილია ჭავჭავაძისა და კონსტანტინე გამსახურდიას და სხვა ღირსეულ წინაპართა—ტოლფასი სახელია.

არის გარკვეული კანონზომიერება იმ მხრივ, რომ ამ უმძიმეს ჟამს ქართველი ერი მიეახლება თავისი სახელოვანი შვილის აჩრდილს, შეეხარის მის უკვდავ სულსა და მის უპრეცენდენტო პიროვნებას, რათა ერთხელ კიდევ გაისიგრძეგანოს ღვაწლი კაცისა, რომლის მოწამებრივი, წმინდა ცხოვრება უდიდესი ზნეობრივი მაგალითია შთამომავლობისათვის.

უდავოა, რომ ბ-ნ ზვიად გამსახურდიას ფენომენის კვლევას ქართველთა არაერთი თაობა მიუბრუნდება მომავალშიც.

ილაპარაკო ბ-ნ ზვიადზე, ნიშნავს ილაპარაკო ბრწყინვალე მეცნიერზე, პოლიტიკურ მოღვაწეზე, წმინდანზე, ქართველ პრომეთეოსზე, ახალი ქართული თავისუფალი სახელმწიფოს მესაძირკვლესა და „საერთო კავკასიური სახლის" გენიალური იდეის მქადაგებელზე.

ფრიად განსაცვიფრებელია მისი მოქმედების დიაპაზონი, ღვაწლი კი ოკეანესავით ვრცელი და უნაპიროა. მისი ნაღვაწ-ნააზრევი ჩვენი ეროვნული საუნჯის ოქროს ფონდს განეკუთვნება, ხოლო სახელი მარგალიტის თვალივით ამშვენებს მე-20 საუკუნის დასასრულის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მატიანეს. ამ განსაკუთრებულ სახელ „ზვიადში" განივთებულია ერის უსაზღვრო ტკივილი და ვარამი, ელდა და სიხარული, რწმენა და იმედი.

ბ-ნ ზვიადის უკვდავი სახელი სამარადისოდ დაამშვენებს საქართველოს მატიანეს, ლეგენდასავით გადავა მომავალ თაობებში, როგორც უგანათლებულესი მეჭევრმეტყველი, მეცნიერი, პოეტი და მთარგმნელი, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი, მიმტევებელი, საბჭოთა იმპერიის კლანჭებიდან მამულის განმათავისუფლებელი.

წარმოგიდგენთ მწირ მონაცემებს ბ-ნ ზვიადის ფასდაუდებელ მოღვაწეობაზე ორი პარამეტრით: „ზვიადი, როგორც მეცნიერი და როგორც პოლიტიკოსი“:

ბ-ნი ზვიადი იყო ევროპული მასშტაბის პოლიტიკოსი, მწერალი, მთარგმნელი, პოეტი, ესეისტი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე.

ზვიად გამსახურდიამ 1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი..

1966 წლიდან კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში. ამავე წელს იგი გახდა მწერალთა კავშირის წევრი.

1973 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“.

1976 წლიდან ბ-ნი ზვიადი მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. ბ-ნი ზვიადის 12 წლის მუშაობის შედეგია „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“.

1991 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ბ-ნ ზვიადს მიანიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (Honoris Causa) წიგნისათვის „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“.

რუსთველოლოგიაში ფართოდაა ცნობილი ასეთი მკვლევარების სახელები: ალექსანდრე ბარამიძე, სარგის ცაიშვილი და სხვები, მაგრამ არცერთ მათგანს ისეთ სიმაღლეზე არ აუყვანია რუსთველოლოგიური კვლევა, როგორც ბ-ნმა ზ. გამსახურდიამ.

ბ-ნ ზ. გამსახურდიას ფართო მეცნიერულ დიაპაზონზე ღაღადებს მისი მეცნიერული ნაშრომები, გამოკვლევები, ლექსები, თარგმანები, იგავები და ზღაპრები. აი, მათი არასრული სიაც:

1. სამეცნიერო გამოკვლევა „რუსთაველი და ანტონ პირველი“ (გამომც. „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1984, №1, 3, 4).

2. ფილოლოგიური გამოკვლევა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ (ცისკარი, 1987, №3).

3. მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“ („მეცნიერება, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1984).

4. „ღარიბი ადამიანები გოგოლის შემოქმედებაში“ (რუსულ ენაზე, 1967, გამოუქვეყნებელი არქივი).

5. „გოეთეს მსოფლმხედველობა“ (ცისკარი, 1987, №3).

6. „ლიტერატურული წერილები“, ქართულ ენაზე, (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976).

7. „იგავები და ზღაპრები“ (ნაკადული, 1987 წ., თბ.).

8. ლექსთა კრებული „მთვარის ნიშნობა“ („მერანი“, 1989, თბ.).

9. „საქართველოს სულიერი მისია“ (1990, თბ.).

10. წიგნი „წერილები, ესსეები“ (1991 თბ.).

11.„კაცობრიობა დილემის წინაშე“ (1993 წ., თბ.).

12. წიგნი „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ (გამომცემლობა „მერანი“, 1991, თბ.).

## თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი:

13. ამერიკელი პოეტების ანთოლოგია (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971, თბ.).

14. ნიკოლოზ გოგოლის „საშინელი შურისგება“ („საუნჯე“ 1983, №3).

15. ლეონარდ კოტრელის „ანტიკურობის საოცრებანი“ (გამომცემლობა „განათლება“ 1972, თბ.).

16. „მე-20 საუკუნის ამერიკული პოეზია“ (გამომცემლობა „განათლება“ 1972, თბ.).

17. ზ. გამსახურდია, ავტობიოგრაფია, „დამოუკიდებელი საქართველოსათვის“ რუსულ ენაზე (გამოიცა 1996 წ., ქ. მოსკოვი).

ამის გარდა, ზ. გამსახურდია ავტორია მრავალი პოლიტიკური თუ ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილებისა, რომლებიც გაფანტულია სხვადასხვა დისიდენტურ გამოცემაში („ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“ და სხვ.), აგრეთვე, ემიგრანტულ პრესაში.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში კომუნისტური დიქტატურის უმკაცრესმა სისხლიანმა პერიოდმა გაანადგურა ადამიანის სულიერი სამყარო. საზოგადოება იყო სულიერად გაძარცული, ზნეობაშერყეული, უღვთო, ჰყვაოდა ეგოიზმი, შური, ორპირობა, გაუტანლობა და გულგრილობა „ამა ქვეყნის ძლიერთა". ასეთ საზოგადოებას მოევლინნენ ჭირისუფლებად სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულები: ბ-ნი ზვიად გამსახურდია და ბ-ნი მერაბ კოსტავა.

ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა ღვთიური ძალით იყვნენ დამუხტულნი და მრავალ ადამიანს აუხილეს თვალი. წინათ ადამიანები, რომლებიც ღვთის გზით უძღვებოდნენ ხალხს და ჭეშმარიტებისკენ მიმავალ ბილიკებს უჩვენებდნენ, წინასწარმეტყველებად იწოდებოდნენ. ჭეშმარიტებაა, რომ ეს ორი სულიერი ძმა წინასწარმეტყველი იყო. ისინი მოგვიევლინა ღმერთმა, რათა „ბნელში მოსიარულე ხალხს ნათელი ეხილა", როგორც ზვიადი იტყოდა ხოლმე:

„ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი".

ჩვენი ქვეყნის ძველსა და ახალ ისტორიაში ორი მაგალითია იმისა, რომ დიდი პიროვნებები—დავით აღმაშენებელი და გიორგი ჭყონდიდელი, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა—ერთად ირჯებოდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს.

უსათუოდ დიდია ლიდერის მოთხოვნილება თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებში, როცა გამოსაღვიძებელია ხალხი, როცა აღსადგენია ცნობიერება.

გასაოცარი უნარი აქვს ქართველ ერს, შვას დიდი პიროვნებანი ზუსტად საჭირო დროს წამებულად: როცა ქვეყნის გამოღვიძებაა საჭირო, გმირად კი—როცა სამშობლოს დაცვა სჭირდება. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ კი არ ვუფრთხილდებით, არამედ ეუპირისპირდებით კიდეც.

„დიდოსტატის მარჯვენაში" ბატონი კ. გამსახურდია ბრძანებს: „ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს

მივსტირიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები."

ცივილიზაციისაკენ მიმავალ ერს ყველაზე მეტად სჭირდება სულიერი მოძღვარი. მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში ასეთ პიროვნებად ილია ჭავჭავაძე გვყავდა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში კი—ზვიად გამსახურდია.

ილია ჭავჭავაძესა და ზვიად გამსახურდიას განგებამ ერთნაირი ხვედრი განუწესა. ამის გახსენებისას ცნობიერებაში უმალ წამოტივტივდება დავით გურამიშვილის ასეთი ბრძნულად ნათქვამი სიტყვები მაცხოვრის მიმართ:

*„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!*

*ავაზაკზედა გაგცვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო;*

*ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს გაგათრიესო,*

*დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!"*

ბ-ნი ზვიადი სამარის კარამდე ღირსეულად ატარებდა ერის უმძიმეს ჯაპანს და კალმით თუ პრაქტიკული ღვაწლით სულმნათ მერაბ კოსტავასთან ერთად მუხლჩაუხრელად იღწვოდა ქართველთა ეროვნული ცნობიერების აღსადგენად. ცხადია, ბ-ნ ზვიადს მთელი სიღრმით ჰქონდა გააზრებულ-შეცნობილი ის კოლოსალური მისია, რაც მას დააკისრა არსთა გამრიგემ მრავალჭირნახული ქართველი ხალხის სამომავლო ბედ-იღბლის წარსამართავად. მას მოაზრებულ-გაანალიზებული ჰქონდა ხალხის გულისტკივილი და ხმალჩაუგებლად ებრძოდა ბოროტებას, უკეთურობასა და ყოველგვარ ფარისეელობას. იყო მოუსყიდველი და უანგარო, შინა და გარეშე მტრებთან ბრძოლაში—უკომპრომისო.

ზ. გამსახურდია იმის საჩინო მაგალითია, თუ რანაირი უნდა იყოს ჭეშმარიტი პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

როცა ერს მოძღვარი ჰყავს, ბედნიერებაა; როცა ერს მოძღვარი თავდავიწყებით უყვარს—ორჯერ ბედნიერება.

წიწამურთან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ კოლხური კოშკი იქცა მთავარ ბასტიონად, სადაც გადანახულ იქნა ღველფი ეროვნული ცნობიერების ღვთაებრივი ცეცხლისა, რომელიც შემდეგ ერის მანათობელ ლამპრად უნდა ანთებულიყო და მას დარქმეოდა ერის სულად სახელდებული ზვიად გამსახურდიას უკვდავი სახელი. კოლხურ კოშკში—ქართველთა წმინდა ტაძარში—სახარებისა და ბიბლიის შუქსა და მხურვალე ლოცვებში გაღვივდა თესლი კეთილი, რამეთუ აქ ხელახლა აღორძინდა ქართველთა უკვდავი მიძინებული სული. იმპერიულ ურჩხულთან საბრძოლველად იძერწებოდა ნამდვილი ერისკაცის შეუვალი სიმტკიცე, ქედუხრელობა და შეუდრეკლობა.

კოლხურ კოშკში ხელახლა დაირწა აკვანი ეროვნული მოძრაობისა, რომელსაც მთელ ქვეყანაზე განსაცვიფრებელი სახელი თავისუფლება ჰქვია.

თავისუფლებისაკენ სწრაფვა ყოველ ნორმალურად მოაზროვნე ქართველს სისხლში აქვს გამჯდარი და ამ გზაზე მას სრ სჩვევია კომპრომისი. თავისუფლებისადმი ამგვარი მიმართების ნიმუშია 1989 წლის 9 აპრილს დახოცილთა გმირული ძალისხმევა. დიდებულად უთქვამს ბრძენ წინაპარს: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“...

საქართველოს ისტორიის აწმყოშიც და წარსულშიც იყვნენ და იქნებიან ხალხისათვის მაგალითის მიმცემი მამულიშვილები, „კაი ყმები“: ვიდრე ცოცხალია ტრადიცია, კულტურა და ენა, ერიც ცოცხალია. დღესაც ცოცხალია დავით აღმაშენებელი, თამარი, ქეთევანი, ილია, კონსტანტინე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა რადგანაც მათი მოღვაწეობის თითოეული დღე ერზე და მამულზე ფიქრითაა გამსჭვალული.

ბ-ნი ზვიადი სამშობლოს თავისუფლებასთან ერთად ელტ-ოდა „მთელი კავკასის“ თავისუფლებას, რაც იქნებოდა გარანტი საქართველოს თავისუფლებისაც. ამიტომ მისასალმებელია მისი უაღრესად ბრძნული კონცეფცია ერთიანი იბერიულ-კავკასიური სახლის შექმნის თაობაზე.

საქართველო კავკასიის კალთებზე მიჯაჭვული პრომეთეა, რომლის სისხლით სუნთქავს ჩვენი პატარა მამული. მართალია, საბჭოთა იმპერიის მსახურები შეეცადნენ მის მიძინებასა და დაბანგვას, მაგრამ სული ცოცხლობს, სული იბრძვის, სული ყურს უგდებს კავკასიის ხმაურსა და გუგუნს.

ჩვენმა სამშობლომ „კავკასიის სახლსა“ და კავკასიის დიდი კედლის აშენებას ზვარაკად შესწირა უსაყვარლესი და უძვირფასესი არსება, თავისუფლებისათვის მებრძოლი პრეზიდენტი. ქართველი ერი უხმოდ და მოთმინებით ავიდა გოლგოთაზე და ჯ ვარზე გასაკვრელად მიუტანა თავისი დაქანცული სხეული ბოროტების იმპერიას.

იბერიულ-კავკასიური ერთობა თავისუფლებისათვის ერთიან ბრძოლას ნიშნავს. ამ ერთობას განსაკთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, ამ ერთობისთვის იბრძოდნენ ჩვენი ეროვნული გმირები, ამ ერთობას ქადაგებდა ბ-ნი ზვიადი.

ბ-ნმა ზვიადმა შესაშური გამძლეობით, მოთმინებითა და მუხლჩაუხრელი მოღვაწეობით გაუძლო ყოველგვარ გამოცდას და 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებით ღირსეულად დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი საქართველოს ისტორიაში.

ამ თვალსაწიერითა და გონებრივი განჭვრეტით, თავად ზვიადია თავისუფლების სიმბოლო და სინონიმი.

1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მათს აღიარებულ ლიდერს, ზ. გამსახურდიას. პარლამენტის პირველ სხდომაზე ის ერთხმად აირჩიეს უზენაესი საბჭოს თავმჯ დომარედ.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ხმა მისცა მოსახლეობის 90%-მა, რომლის საფუძველზეც 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. 14 აპრილს

უზენაესმა საბჭომ ზ. გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, დამნაშავეთა სამყარო სამარცხვინოდ დაუპირისპირდა ბ-ნ ზვიადის იდეებს, ტალახში მოისროლა სამფეროვანი დროშა და ორთაეიან არწივს უხმო საქართველოს დასაპყრობად.

იმ უხსენებელი 1991-1992 წლებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვის ტელევიზიამ აფანასიევის პირით გადმოსცა, რომ პუტჩის მოსაწყობად საქართველოში გადმოსროლილ იქნა 68 მილიონი მანეთი. ისიც ითქვა, თუ ვინ გააკეთა ამის ორგანიზება და სხვ.

1991-1992 წლების სამხედრო კრიმინალური გადატრიალების შედეგად შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა მოახდინა სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ფეხქვეშ გათელა 1990 წლის 28 ოქტომბრის საყოველთაო, მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამოხატული საქართველოს მოსახლეობის ნება; ჩაიდინა უპრეცენდენტო დანაშაული: განდევნა და შემდგომ ფიზიკურად გაანადგურა ამომრჩევლის 87%-ის მიერ არჩეული პრეზიდენტი. განდევნა რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა.

საქართველოს მოსახლეობამ ნახა კეთილისა და ბოროტის დაპირისპირების კლასიკური ნიმუში. ადამიანთა ნაწილში დამალულმა ბოღმამ, შურმა და ღალატმა ძალუმად ამოხეთქა მაშინ და საქართველოს ბედკრულ ისტორიაში მეორე, 1991-1992 წწ. ბაზალეთი განმეორდა. ეს იყო საქართველოს მატიანის სამგლოვიარო სამანი.

ვფიქრობ არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ |საქართველოს გარეშე მტერი ვერას უზამდა, თუ არა ეს დაუძ-ლეველი გრძნობა ერთურთის გაუტანლობისა, რაც მუდამ იყო ჩვენთვის ე.წ. „აქილევსის ქუსლი."

შეიძლება ვაჭარბებდე, მაგრამ მაინც უნდა გაჩვაცხადო: ჩვენს ერს ხშირად დასდგომია მძიმე ჟამი, მაგრამ ასეთი, დღეს რომ უდგას, ეგონებ, არასდროს ქქონია. ამის მიზეზი ჩვენშიეა საძიებელი.

კაცობრიობის ისტორიამ იცის ხალხის მიერ ჯვარცმული არაერთი მოძღვარი. ებრაელებმა ხომ იესო ქრისტეს აქციეს ზურგი და აკაზაკი ბარაბა არჩიეს მას, რითაც განუზომელი ტანჯვა განუმზადეს საკუთარ თავს.

ვინც ლომის წილი დაიდო საქართველოში დატრიალებულ უბედურებაში, ეჭვსგარეშეა იყვნენ სერგო ორჯონიკიძისა და გიგლა ბერიჭაშვილის სულიერი მემკვიდრენი.

კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში" ასე გვმოძღვრავს: „ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს—ჩვენი და სხვისი, საკუთარი თავის, თავისი ხალხის მოღალატენი... როცა ხალხს ამდენი მოღალატენი შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას."

ჩვენდა სამწუხაროდ, ღალატი და ორგულობა ჩვენი მარადიული თვისებაა.

„სირცხვილი, სირცხვილი, სირცხვილი—ესაა ადამიანთა ისტორია"—წერდა ერთ დროს ფრიდრიხ ნიცშე.

ბ-ნი ზვიად გამსახურდია ტრაგიკული და მსხვერპლადქცეული ფიგურაა სამშობლოს მატიანეში. მისი პრეზიდენტობის ისტორია—ესაა აღმართი გოლგოთისაკენ. პრეზიდენტ-დისიდენტი, როგორც მას ზოგჯერ უწოდებდნენ, იქცა პრეზიდენტ-წამებულად. მან იცოდა, რაც სჭირდებოდა ბედკრულ საქართველოს და ეს არ აპატიეს.

აქ უნებლიედ გვახსენდება მე-20 საუკუნის წამებული პატრიარქის, ამბროსი ხელაიას, სიტყვები, რომლებითაც მან მიმართა ჯალათებს: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული—ჩემს სამშობლოს—საქართველოს, ხოლო გვამი გრჩებათ თქვენ—ჯალათებო!" ბატონმა ზვიადმა, ღვთის განგებით, სწორედ ასეთივე ბედი გაიზიარა.

განა ჭეშმარიტების ქადაგებისთვის არ დაიფერფლა ჯორდანო ბრუნო? განა ჭეშმარიტებისათვის ჯვარს არ გააკრეს იესო ქრისტე? მაგრამ, ბრუნო ბრუნოდ დარჩა ისტორიაში, იესო რისტე კი—ღმერთად.

ვაგლახ, რომ საქართველო არ აღმოჩნდა ღირსი, .განათლებული, ღვთისმოსავი და ზნეკეთილი წინამძღოლისა.

უნებლიედ გვახსენდება სიტყვები პოეტ დილარ ივარდავას ლექსის „ზვიად გამსახურდიას სამი საფლავის" ერთი სტროფი:

„თავისუფლების რჩები სიმბოლოდ,
რვალო, ფოლადო, არ გამრუდდები
და ვით წმინდანი ბოლოსდაბოლოს
შენს საქართველოს დაუბრუნდები!"

ქართული გენისა და სამშობლოს გადარჩენისათვის ნაწამებო, შემწყნარებელო და სულმაღალო პრეზიდენტო, ბატონო ზვიად! ეროვნული იდეალების ერთგული ქართველი ხალხი შენი დაბადების მე-60 წლისთავზე მოწიწებით თავს ხრის ხსოვნის წინაშე და მოუთმენლად ელოდება იმ დღეს, როცა საქართველო ღირსი გახდება გულში ჩაგიკრას და თავის წიაღში მიიღოს შენი მრავალტანჯული სხეული.

მე-20 საუკუნე უდიდესი სასჯელი აღმოჩნდა ქართველი ერისათვის. მისი მომავალი დღეს კვდომისა და განადგურების გზაზეა: გასხვისებული და დროებით წართმეულია აფხაზეთი და სამაჩაბლო. დევნილია 300 ათასამდე ადამიანი, მატერიალური და სულიერი დეგრადაციის საშიშროება სავალალო რეალობად იქცა. კაენთა აღზევება ძვირად დაუჯდა ქართველ ერს.

ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში წარმატებით არ უნდა განხორციელდეს „ჩრდილოელი ძმის" ოდინდელი ოცნება „საქართველო უქართველებოდ!" საქართველოს ბედი საქართველოს ფარგლებს გარეთ არ უნდა წყდებოდეს.

ბიბლიაში ნათქვამია, რომ აყვავებული ბაბილონი დაემხო იმის გამო, რომ გახდა „ეშმაკთა სამკვიდრო და ყოველი არაწმიდა სულის თავშესაფარი"—(გამოცხადება 182).

მამულიშვილნო! საჭიროა უკომპრომისოდ ვიბრძოლოთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სამართლიანობის აღსადგენად. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამართლიანობა მანამდე არ აღდგება, სანამ პოლიტიკური შეფასება არ მიეცემა 991-1992 წლების სამხედრო კრიმინალურ გადატრიალებას და გამოძიებული არ იქნება ბ-ნ ზ. გამსახურდიას მკვლელობის საქმე, ასევე, თუ არ იქნება აღდგენილი კანონიერი ხელისუფლება საქართველოში. ამის მიღწევა კი ნიშნავს საქართველოს ხსნას სამარცხვინო კირთებისაგან.

წლები წლებს მიჰყვებიან და გრძელდება ბრძოლა სამშობლოს გადასარჩენად. ესაა მოწოდება დაკარგული

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად, ქრისტიანული რწმენის აღსადგენად და დასაცავად. დღესავით ნათელია, რომ ეროვნული ხსნა თავისით არ მოვა, ის ხალხმა უნდა გამოჭედოს. იგი თავისუფლების გზაზე ტანჯვაზე, წამებაზე და გმირთა სისხლზე გადის.

ზეციდან კვლავაც ვერცხლის საყვირის ხმად მოგვესმის ბ-ნ ზვიადის ომახიანი ხმა „ქართლოსიანნო, ძმანო და დანო! ჩემი მწუხარე სული გიხმობთ ამაღლებისათვის! ნუ გახდებით მონები კაცთა!"

ეს მოწოდება შეაძლებინებს საქართველოსა და ცრემლ-გამშრალ ერს კვლავაც წამოიმართოს და ისევ დაადგეს უფლისკენ მიმავალ გზას. გვჯერა, ჩვენ ვიცხოვრებთ იმ სამყაროში, სადაც სიცოცხლე იბატონებს სიკვდილზე, სიკეთე—ბოროტებაზე, სიმართლე—სიცრუეზე, თავისუფლება-ძალადობაზე, რამეთუ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს გაქრობა არ უწერია. იბერია კვლავ გაბრწყინდება უფლის ნებით.

ღმერთო, შენ უშველე ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ერის გადარჩენისათვის ბრძოლაში!..

ერთ ფრიად შთამბეჭდავ მომენტს გავუსვამ ხაზს: 31 მარტს (1999 წ.), ბ-ნ ზვიადის დაბადების დღეს, ერთხელ კიდევ ვინახულე კოლხური კოშკი, აწ დანახშირებული და ოდესღაც სიზმრად ზმანებული... მის ჩაშავებულ კედლებს რომ შევყურებდი, უზომო სევდამ შემიპყრო და წარმოსახვაში ვაყალიბებდი მათს უგვანო სახეებს, ვინც ოდესღაც არსაკიძეს მოპკვეთა მარჯვენა და ახლა კი დიდოსტატის სავანე მისცა ცეცხლს... კედლებზე შესრულებულ უამრავ წარწერას შორის განსაკუთრებულია ცარცით მიწერილი **სიყვარული, რწმენა და მოლოდინი**: „საქართველო გელის, ბატონო ზვიად!" ეს ის ზვიადია, ვინც, დიდი ილიას მსგავსად, თავის სათაყვანებელ ხალხს გაუღვიძა ეროვნული თვითშეგნება, მაუღვიძა რწმენა, თავისუფლების მზე გაუნათა და სანთელივით დაიფერფლა მამულის, ენისა და სარწმუნოების სიყვარულში.

კოლხური კოშკის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩავწერე გულისტკივილი და დავტოვე საკუთარი ლექსი „ქართველ

პრომეთეოსს", ზვიადისადმი მიძღვნილი. შემდგომ დავესწარი ბ-ნ ზვიადის დაბადების მე-60 წლის იუბილეს, რომელიც გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში. ის, რაც აქ ვნახე და აღვიქვი, ყოველგვარ მოლოდინზე ზეაღმატებულია... მე ვნახე ადამიანები სრულიად საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან, ადამიანები სულით მაღალნი, ადამიანები ზნეობით წმინდა, რწმენით მტკიცენი, ადამიანები, რომელთაც სჯერათ მომავალში სიმართლის გამარჯვებისა, ადამიანები, რომელნიც მხოლოდ მაღალ ღმერთს ეჩოქებიან და კიდევ... ერთი უწმინდესი ერისკაცის, ბატონ ზვიადის, მაღალ იდეებს. ეს ადამიანები „ჩემო კარგო ქვეყანას" მღეროდნენ. ეს ზვიადისა და მერაბის საქართველო იყო, წმინდა, ძლიერი, დაუმარცხებელი და ბობოქარი სულის საქართველო! დავითის, თამარის, შოთას და ილიას საქართველო! მჯერა, საქართველო არ დაიჩოქებს და იბერია კვლავ გაბრწყინდება!

ჩვენი მოკრძალებული სურვილია:

1. ქ. სენაკის აეროპორტ „კოლხას", სადაც ბ-ნმა ზვიადმა მუხლები მოიყარა და ჩვეული სიყვარულით ემთხვია მშობლიურ მიწას, ეწოდოს „ზვიად გამსახურდიას სახელობის აეროპორტი".

2. მშვიდობის თავგამოდებული მქადაგებლის, ბ-ნ ზვიადის, საპატივცემოდ ქ. სენაკის ერთ-ერთ ქუჩას, კერძოდ „მშვიდობის ქუჩას", ეწოდოს „ზვიად გამსახურდიას სახელობის ქუჩა".

3 ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, როგორც დიდი ილიას სახელი მონათლა „წმინდა ილია მართლის" სახელით, ისე ბ-ნ ზვიად გამსახურდიას სახელი შერაცხოს წმინდანად, რამეთუ ბატონმა ზვიადმა იარა ქრისტესმიერი გზით, ზვარაკად შეეწირა მამულისა და ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლას.

# ჩვენი სამოქმედო ორიენტირი

*(1999 წლის 16 ივლისს კოლხურ კოშკში მიმდინარე მოშიმშილეთა აქციაზე წარმოთქმული სიტყვა)*

თანამემამულენო!

წილად მხვდა უდიდესი პატივი, მოგმართოთ სიტყვით კოლხურ კოშკში, სადაც ერთ თვეზე მეტია მიმდინარეობს სრულიად საქართველოს მასშტაბის მოშიმშილეთა საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეც გახლავართ აფხაზეთიდან.

უკვე 10 წელი გავიდა იმ დღიდან, როცა აფხაზმა სეპარატისტებმა 1989 წლის 15 ივლისს ქართველებზე განახორციელეს იმპერიული ძალების მიერ ინსპირირებული პროვოკაციული თავდასხმა, რომელსაც ემსხვერპლა არაერთი უდანაშაულო ადამიანი, აგრეთვე, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აფხაზეთში—ვოვა ვეკუა. ჩვენ უდიდეს პატივს მივაგებთ მის და ყველა იმ ადამიანის ხსოვნას, ვინც რუსეთის საოკუპაციო აგრესიის დროს აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე ძმათამკვლელ ომში საკუთარი მკერდით იცავდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით დადასტურებულ სრულიად საქართველოს დიად არჩევანს—თავისუფლებას!

მოწიწების გრძნობით თავს ვხრით მათი ხსოვნის წინაშე. დიდება მათს უკვდავ, გმირულ სულს!

თვალის ერთი გადავლებით მთელი ტრაგიკული ისტორია ასე წარმოგვიდგება: საქართველოდან აფხაზეთის მოწყვეტას ცარიზმი ახორციელებდა მე-19 საუკუნიდან, შემდგომ იგი გააგრძელეს ბოლშევიკებმა და სამარცხვინოდ დაასრულეს კომუნისტებმა მე-20 საუკუნის ბოლოს.

აფხაზ ეროვნებას გარკვეული პრივილეგიები მიენიჭა პერმანენტულად მე-20 საუკუნის 20-30-იან, 50-იან და 70-80-იან წლებში. ეს პრივილეგიები მუდამ ხდებოდა ქართველთა

შეეიწროების ხარჯზე. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ე. შევარდნაძე. აფხაზეთში იხსნებოდა აფხაზური და რუსული სკოლები, იშლებოდა ქართულენოვანი წარწერები და ქართული ტოპონიმები იცვლებოდა აფხაზურითა და რუსულით. პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ ძირითადად აფხაზი ეროვნების მოქალაქენი, თუმცა აფხაზების პროცენტული რაოდენობა მთელი მოსახლეობის 17,1% იყო.

კრემლის მითითებით, ფსევდოეროვნული ძალები შეეცადნენ მოეწყოთ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული აქცია ქ. თბილისში 1989 წლის 4 აპრილს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების მოთხოვნით, მაგრამ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ძალისხმევით ეს პროვოკაცია ჩაიშალა და მან საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის ხასიათი მიიღო.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად საქართველოში მოვიდა ეროვნული ხელისუფლება, რომლის წინააღმდეგ კრემლმა მაშინათვე აამოქმედა საქართველოში ჩადებული ნაღმი—სამაჩაბლო და აფხაზეთი. კრემლს ამ საქმეში ხელს უწყობდა იმპერიის ერთგული ჯალათი ე. შევარდნაძე, რომელიც ყოველთვის წინააღმდეგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბჭოთა იმპერიის დაშლისა. მას სიტყვა „თავისუფლებ“ არასოდეს დასცდენია.

1991-1992 წწ., დეკემბერ-იანვარში კრემლმა მესამედ განახორციელა საქართველოს ოკუპაცია. მან ეს აგრესია შენიღბა და „სახალხო-დემოკრატიულ რევოლუციად“ მონათლა ამ დაპყრობითი პოლიტიკის ერთ-ერთი სიუჟეტია ვითომ „ქართულ-აფხაზური“ (სინამდვილეში რუსულ-ქართული, გამოუცხადებელი-ს.ბ.) ომი, რომელმაც შეიწირა ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილი. დაუძინებელმა მტრებმა (გარეშე თუ

შინაურებმა) მახვილი ჩასცეს საქართველოს დამოუკიდებლობას. ჯვარს ეცვა ქართული სული. ძომრავლდნენ ძაძით მოსილი დედები.

კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენადან" უნებლიედ მახსენდება სიტყვები: „ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს—ჩვენი და სხვისა, საკუთარი თავის, თავისი ხალხის მოღალატენი... როცა ხალხს ამდენი მოღალატენი შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას".

1994 წლის 3 აპრილს · ვ. არძინბასთან შეხვედრაზე ცრუპოლიტიკოსმა ე. შევარდნაძემ მოიხადა ნიღაბი—დაგომისისა (1992 წლის 24 ივნისი) და სოჭის (1992 წ. 3 სექტემბერი) შეხვედრის საფუძველზე სცნო ე.წ. „აფხაზეთის სუვერენული რესპუბლიკა" და მისი დამოუკიდებლობა. ეს მომენტი დაედო საფუძვლად აფხაზეთში ე. წ. „არჩევნებისა" და „ახალი კონსტიტუციის" მიღებას. ეს გახდა მიზეზი ქართველი და აფხაზი ერის ტრაგედიისა, რომელიც დღესაც გრძელდება.

საქართველოში დატრიალებული ტრაგედია არის შედეგი იმისა, რომ იგი არის ნამდვილად მარიონეტული ქვეყანა, სადაც თვითმარქვია, უკანონო ხელისუფლება შევარდნაძისა დაუსჯელად მოქმედებს და იმონებს მრავალტანჯულ ქართველ ერს. ეს პოლიტიკა გახლავთ ჭეშმარიტად ანტიეროვნული, ხოლო თავად იგი გვეელინება მაფიოზურ-კრიმინალური შეთქმულების ინიციატორად და დასაყრდენად კავკასიაში. მისი „გენიალური ნამოღვაწის" შედეგია საქართველოს მესამე ოკუპაცია და მისი ტერიტორიების გასხვისება (ცხუმ-აფხაზეთი, სამაჩაბლო). ცხუმ-აფხაზეთში პირწმინდად აღგვილია ქართული კულტურისა და ყოფის ნაკვალევი. იგი გახდა უცხოთა (რუსი, თურქი, კაზაკი, სირიელი) სამკვიდრებელი.

სოჭის (1993 წ. 27 ივლისი) მოღალატური გარიგების შემდეგ კაენმა ედუარდმა გასცა ბრძანება, რომ აფხაზეთიდან გახიზნული მშვიდობიანი მოსახლეობა 15 სექტემბრამდე დაბრუნებოდა საკუთარ სახლ-კარს, თუ არადა ყველას ემუქრებოდა ბინების გასხვისებით, სამსახურიდან მოხსნით, სასწავლებლებიდან

გარიცხვით და ა. შ. მათ ჰპირდებოდა, რომ არ დააღალატებდა. მოხდა კი პირიქით, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე მასთან: 1993 წლის 16 სექტემბრის შემოტევის შემდეგ, ჯალათი „მთავარსარდალი" ლაჩრულად გამოიქცა აფხაზეთიდან და უტიფრად ამცნო ყველას, რომ „სოხუმი დაეცა" მისგან ბედის ანაბარად მიტოვებული მამულიშვილები კი თავგანწირვით იბრძოდნენ უთანასწორო ომში და გმირულად ეცემოდნენ. ვინაიდან „მთავარსარდალმა" და ჯარმა მოსახლეობა უმწეოდ მიატოვა, ისინი გაწამებით შეუდგნენ საკენ-ჭუბერის გზას—გოლგოთის ჯვარცმას, სადაც ისინი მარადიორებმა უმოწყალოდ დააყაჩაღეს.

დავასკვნით: ძალიან დიდი ცოდვა აწევს კისერზე თვითმარქვია ედუარდ შევარდნაძეს, ანუ ცრუ გიორგის, რადგანაც:

1. მისი ლენინური „ეროვნული" პოლიტიკის გატარება აფხაზეთში ნამდვილად იყო ქართველთა კანონგარეშე გამოცხადება აფხაზეთის ამ ძირძველ მიწაზე.

2. იგი არის თანამედროვე „მსოფლიო წესრიგის" დასაყრდენი კავკასიაში.

3. საქართველოს მესამე ოკუპაციის (1992 წ. 6 იანვარი—ს.ბ.) არქიტექტორი და განმახორციელებელი, ანუ ჯალათი.

4. იგი დემაგოგიითა და ვერაგობით ცდილობს ქართულ სულში ჩაკლას ეროვნული თვითშეგნება და წაჰგვაროს მათ ბინადარი ცხოვრება.

5. იგი დღესაც ჩვეული სიჯიუტით ახორციელებს ძალადობას ქართველი ერის, განსაკუთრებით ეროვნული მოძრაობის მესვეურთა, მიმართ, ანუ ასრულებს იუდას, კაენისა და ჯალათის სავალალო, საბედისწერო როლებს.

აი, მიზანი საოკუპაციო რეჟიმისა: „საქართველო უქართველებოდ!" საოკუპაციო რეჟიმის ჯალათები მხეცურად უსწორდებიან იმათ, ვინც გაბედავს ან უკმაყოფილების გამოვლენას ან სიმართლის თქმას.

ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ, რომ დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნება და საქართველოს გამთლიანება, ერის აღზევება

სულიერად და ქვეყნის ამ ტრაგედიიდან გამოყვანა არ ძალუძს თვითმარქვია, უკანონო ხელისუფლებას. ამიტომ ამ გზაზე ჩვენ ვერ დავუშვებთ ვერავითარ კომპრომისს საქართველოში არსებულ საოკუპაციო რეჟიმთან და აფხაზეთში მოკალათებულ ვლადისლავ არძინბას ხროვასთან.

ჩვენ გვჯერა ერთი ასეთი ურყევი და ჭეშმარიტი ჭრისა: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ქვეყნად სიმართლის დამკვიდრება და ლტოლვილთა დაბრუნება ცხუმ-აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა აღდგება ზ. გამსახურდიას მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული ხელისუფლება. ამიტომ დღეს სრულიად საქართველოს მოსახლეობა მუხლჩაუხრელად და ხმალჩაუგებლად უნდა შეებრძოლოს ერის ინტერესების გამყიდველ ე. შევარდნაძის ძირმომპალ ხელისუფლებასა და დამყაყებულ საოკუპაციო რეჟიმს. ამის თვალნათელი დადასტურებაა კოლხურ კოშკში მიმდინარე მოშიმშილეთა აქცია ასეთი მტკიცე მოთხოვნით: უპირობოდ გადადგეს უზურპატორი ე. შევარდნაძე და მისი ხუნტა!

ჩვენი ძალისხმევის პრინციპია არა დიდმპყრობელური ამბიცია, არამედ იბერიულ-კავკასიური ცნობიერებიდან გამომდინარე ქრისტიანული სათნოება, მაღალი პასუხისმგებლობა და მოვალეობის უდიდესი გრძნობა ერისა და მამულის წინაშე. ჩვენ ვერ ვიევლით ედუარდის მიერ ურცხვად გაშვერილი სალოკი თითის მიმართულებით, რამეთუ ესაა ბარაბას გზა. ჩვენი გზა გადის ბატონების—ზვიადისა და მერაბის—უკვდავ იდეაზე. ჩვენ ვგმობთ ყოველგვარ სისხლისღვრასა და რევანშისტული თარეშის აპოლოგიას. მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზა, რომლითაც მოვიდა ხელისუფლებაში ბ-ნი ზვიად გამსახურდია—აი, ჩვენი სამოქმედო ორიენტირი. ქართველი ხალხი არასოდეს არ შეეგუება და, საერთოდ, არ გაჰყვება გზას სატანისას, რომელსაც ქრისტეს გამყიდველ იუდა ისკარიოტელივით სისხლიან ხელებში ოცდაათი ვერცხლი უჭირავს.

კოლხური კოშკი, სადაც მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, ბ-ნი კონსტანტინე ჰქმნიდა ეროვნული მწერლობის მარგალიტებს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი, ბ-ნი ზვიად გამსახურდია, აყალიბებდა საერთო კავკასიური სახლის გენიალურ იდეას, მუდამ იქნება ჭეშმარიტ ეროვნულ ძალთა შემოკრების წმიდა ადგილი, რომელმაც უნდა იხსნას საქართველო და მრავალტანჯული ქართველი ერი საშინელი კირთებისაგან, დაცემისა და გაქრობისაგან.

ჩემს გამოსვლას დავასრულებ იმ იმედით, რომ უფლის შეწევნითა და წმინდა გიორგის თანადგომით ბოროტებას დავამარცხებთ, სიმართლე გაიმარჯვებს და ზვიადისა და მერაბის სათაყვანებელი იბერია კვლავ გაბრწყინდება.

# უსამართლობა–მოუშუშებელი იარა

*სრულიად საქართველოს ადამიანთა უფლებისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის მე-2 კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა ქ. თბილისში 2003 წლის 14 ოქტომბერს (სვეტიცხოველობა)*

*„რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება.“*

*ილია*

პატივცემულო საზოგადოებავ!

ნება მიბოძეთ, რომ ამ მაღალი ტრიბუნიდან მოგესალმოთ სრულიად საქართველოს ადამიანთა უფლებისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის მე-2 კონფერენციის მონაწილეებს და გისურვოთ მზეგრძელობა და ურიცხვი წარმატება ქვეყნად სამართლიანობის აღდგენისა და დამკვიდრებისათვის უკომპრომისო ბრძოლაში, რომელსაც უდიდესი რუდუნებითა და ძალისხმევით ეწევით თქვენ ერისა და სათაყვანებელი მამულის საკეთილდღეოდ.

ამ დიდ ფორუმზე მე გამოვდივარ სენაკის რაიონის ორგანიზაციის სახელით, რომელიც ორიოდე თვის წინ (2000 წ. 4. 09.) ჩამოყალიბდა.

ვსარგებლობ მარჯვე შემთხვევით და გულწრფელად ვიტყვი, რომ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია უდიდესი პატივისცემითა და გულწრფელი გრძნობით მადლობა მოვახსენო ყველა მათ, ვინც ხელი შეგვიწყო სენაკის რეგიონში ამ ორგანიზაციის დაფუძნებაში.

ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა უნდა ეფუძნებოდეს ქვეყანაში სიმართლისა და თავისუფლების დამკვიდრებას, მაგრამ იგი თავისთავად ვერ დამკვიდრდება და ვერც მოიპოვებს გარანტირებულ სტატუსს. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა ცივილიზებული საზოგადოების ძალისხმევა,

ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა, ვინაიდან ისინი არის ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და სიძლიერის ატრიბუტები. საქართველოში ამ ამოცანის განხორციელებას ემსახურება ზემოთ დასახელებული ორგანიზაცია, რომლის საერთო კრებაზე, გამგეობის გადაწყვეტილებით, 2000 წლის 4 სექტემბერს დაფუძნდა სრულიად საქართველოს ადამიანთა უფლებისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის სენაკის რაიონის ორგანიზაცია (თავმჯდომარედ მე დამნიშნეს). ჩამოყალიბდა ორგანიზაციის წესდება და სტრუქტურა შემდეგი სახით: ორგანიზაციის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საკოორდინაციო საბჭო, პრესცენტრი, ახალგაზრდული ორგანიზაცია, იურიდიული კომისია, პატიმართა კომისია, საერთო განყოფილება. დაფუძნების დღიდანვე შევუდექით საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასა და ორგანიზაციის სტრუქტურისათვის სათანადო კადრების შერჩევას. სენაკის რაიონის ორგანიზაციის სტრუქტურაში სამუშაოდ მოვიწვიეთ და შევარჩიეთ სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე ინიციატივიანი ახალგაზრდა კადრები: იურისტები, ეკონომისტები, პედაგოგები, ჟურნალისტები და ა. შ. ეს პროცესი მიმდინარეობდა ეტაპობრივად და, მოგახსენებთ იგი ერთობ ძნელი აღმოჩნდა, ვინაიდან კვალიფიციური კადრები ქ. სენაკში სანთლით საძებნია, რამეთუ აქ არსებული კომერციული უმაღლესი სასწავლებლები ამ ამოცანას ევროპული სტანდარტების დონეზე ჯერჯერობით ვერ წყვეტენ. მიუხედავად ასეთი დაბრკოლებისა, მაინც შევძელით სტრუქტურაში სამუშაოდ მოგვეზიდა ენთუზიასტი ახალგაზრდები. ჩვენი ორგანიზაცია თვითდაფინანსებაზეა, ანუ თვითანაზღაურების წესით მოქმედებს, რაც ნაწილობრივ გვაბრკოლებს, რამეთუ ჩვენთან მუშაობას აუნაზღაურებლად ყველა გაურბის. ვაცხადებ, რომ ეს მომენტი ჩვენს ორგანიზაციას სრულებითაც ვერ შეუშლის ხელს წარმატებით მუშაობაში, რამეთუ მატერიალურ დაინტერესებაზე უფრო მაღლა ცაყენებთ ადამიანის უფლებათა დაცვის საშვილიშვილო საქმეს. ადამიანის უფლებათა ტოტალური დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ღრმად ვარ დარწმუნებული,

რომ ახლო მომავალში ჩვენს ორგანიზაციას გამოუჩნდებიან ქველმოქმედნი და ხელს შეგვიწყობენ ნორმალურად მუშაობაში.

ჩემი ღრმა რწმენით, ყველა ნორმალურად მოაზროვნე პიროვნება თუ იურიდიული პირი, წარმოება-დაწესებულებანი თუ ორგანიზაციები ვალდებულნი არიან გაგებით მოეკიდონ და პატივი სცენ არასამთავრობო ორგანიზაციებს (კანონების და მორალის საფუძველზე), თუმცა ასეთი მიდგომა, სამწუხაროდ, როდი აქვს ყველას (არამცთუ სენაკში, არამედ სრულიად საქართველოშიც კი).

„ადამიანები როცა ვერ გრძნობენ, რომ მათი უფლება მოურიდებლად ილახება, ფეხით ითელება, მაშინ განსაცდელში ამ უფლებათა საგანი კი არ არის ჩავარდნილი, არამედ პიროვნება, რომელიც ასეთ მდგომარეობაში არ გრძნობს მოთხოვნილებას, დაიცვას თავისი თავი და თავისი უფლება, მისი საშველი არ ყოფილა და მე არ მსურს, ასეთ ადამიანს ვუქადაგო და მოვარჯულო,"—წერს იარიგინი (რ. ფ. იარიგინი „ბრძოლა უფლებისათვის" თბ. 2000 წ.), ბრძენი ილია კი ასე გვმოძღვრავდა: „ვაჟკაცი იგია, ვინც მართალს ეტყვის ქვეყანას მცთომსა" (ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 20).

დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების შემყურე უშემოსავლო კაცს მხოლოდ სუნთქვის უფლება შერჩა. სამწუხაროდ, სახელმწიფოებრივი სიკეთიდან შინა „დემოკრატ" მოძალადეთა მიერ გაძარცვული ქვეყანა ხალხს ღვიძლ შვილად არ თვლის და არც აინტერესებს სასომიხდილს რა მოუვა, სად ამოხდება სული... თითქმის ყველა უმუშევარი, პენსიონერი თუ მათხოვრულ ხელფასზე მყოფი სასოწარკვეთილი და თვალებში ნაღველჩაგუბებული პედაგოგი ხელისუფლების ამაოდ შემყურე პოტენციური მათხოვარია. უსახსრობამ და სიღატაკემ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, ხალხის ზღვა ნაკადი ნახირივით უპატრონოდ ქუჩაშია გამოყრილი და გაურკვეველი დუმილით ელოდება მილიონ სამუშაო ადგილს, რომლებსაც დიდი პომპეზურობით ჰპირდებოდა ქვეყანას იარაღის ძალით მოსული ხელისუფლება ფსევდოარჩევნების წინ.

საქართველო გაეაჭრუკანდა, უფრო სწორად, გასპეკულიანტდა.

საერთო სიღარიბეში ქართველთა ადამიანური ღირსება და ღირებულებები დაკნინებულია, შერყვნილია ზნეობა და რწმენა, ტოტალურად ირღვევა ყოველი ჩვენგანის უფლებები... პირადობის მოწმობაში არავის უწერია მამის სახელი და ეროვნება. ესაა სწორედ ქართველი ერის სულში ჩაფურთხება, აბუჩად აგდება და მიუტუვებელი მკრეხელობაც. საქართველოში დღეს სოლომონ მეჯღანუაშვილის სინდრომი ბატონობს.

უფსკრულის პირას მდგარ გაძვალტყავებულ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში ქაოსი და განუკითხაობა პატიოსან საზოგადოებას წუმპედ შემოსდგომია გარშემო... ამ უბედურებისა და გაუსაძლისობის ჟამს უსუსური ხელისუფლების (ცენტრალური და რეგიონალური!) დამქაშები უცხოური მარკის მანქანების ჯირითით, აგარაკების მშენებლობით, თავაწყვეტილი ქეიფითა და ღრეობით, ზემოდან დიდკაცური (ყინჩად) ყურებით ედიდგულებიან დაბეჩავებულ თანამემამულეებს და წამითაც არ ცდილობენ დახმარების ხელი გაუწოდონ, წყალწაღებულთ ხვედრი შეუმსუბუქონ და ხვალინდელი დღის რწმენა დაუბრუნონ.

აფერუმ მათს „ქართველობასა“ და „ვაჟკაცობას!“

საზოგადოება ჭეშმარიტად ვერ იტანს ასეთ ფარისეველებს, ხელისუფლების ცრუ მეხოტბეებსა და მლიქვნელებს, „მეფის“ კართან ატუზულ ტაკიმასხარებს.

არ არსებობს იმაზე მეტი უბედურება, ვიდრე ადამიანებმა დაკარგონ სიმართლე, საზოგადოებამ—ზნეობა, ხოლო ერმა—თავისუფლება და პასუხისმგებლობა აწმყოსა და მომავლის წინაშე.

მე-20 საუკუნეში ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე მამულის ბედზე მწარედ მოსთქვამდა: „იყიდება საქართველო“. რომ სასწაული მოხდეს და ბატონი ნიკო გაცოცხლდეს, ჩვენი უბედურების შემხედვარე თავში ხელებს წაიშენდა, მწარედ აქვითინდებოდა და ამოიკვნესებდა იმავეს: „იყიდება საქართველო!“

დიახ! დიდო წინაპარო... უკვე მერამდენედ!

რა დაგვემართა? რამ მიგვიყვანა ამ დღემდე? სად ვეძიოთ გამოსავალი? აი, კითხვები, რომლებიც აწვალებს ყოველ პატიოსან ქართველ კაცს. რწმენა გვაიმედებს, რომ მრავალტანჯულ ქართულ მიწაზე ჯერ კიდევ არ გამქრალან ენის, მამულისა და სარწმუნოებისადმი თავდადებული ადამიანები (როგორც იტყოდა ხოლმე ილია!), რომლებიც შეძლებენ აღადგინონ ერის შელახული ღირსება და თავისუფლება.

ჩვენი ორგანიზაციის უძირითადესი მიზანია საზოგადოებაში ავამაღლოთ ისეთი დემოკრატიული ღირებულებების შეგრძნება და დაცვა, რომელიც დაუპირისპირდება ყოველგვარ ჩაგვრასა და უსამართლობას, ტერორიზმსა და რასიზმს, რათა რეალურად დაცულ იქნეს უფლებრივი თანასწორობის პრინციპი სახელმწიფო დონეზე, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მუხლებისა და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

არასამთავრობო ორგანიზაციების ბრძოლას სამართლიანობის აღდგენისა თუ დამკვიდრებისათვის არცთუ დიდი მოწონებითა და აღტაცებით ხვდებიან ხელისუფლებისა და სამთავრობო ორგანოების წარმომადგენლები, რამეთუ ისინი მათს მოქმედებას აღიქვამენ, როგორც ოპოზიციას, ოპონენტს და ა.შ. ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა: ისინი ჩვენი (და არა მარტო ჩვენი!) ორგანიზაციის წინააღმდეგ ეწევიან ფარულ ომს (მხედველობაშია ჯაშუშების მოგზავნა, შანტაჟი, დეზინფორმაციის გავრცელება პრესის საშუალებით, პროვოკატორთა გაწევრების მცდელობა ჩვენს ორგანიზაციაში, დაბეზღება, ცინიზმი, მკრეხელობა და ა.შ.), რაც არის ჩვენი დისკრედიტაციის მცდელობა, რომელიც საბოლოოდ მიმართულია ორგანიზაციის დაშლისაკენ. ეს ყველაფერი ქმნის აუტანელ ატმოსფეროს ახალგაზრდა ორგანიზაციის მუშაობაში. ყოველივე ეს ქვეცნობიერ მიზანს ატარებს. ალბათ, ყველა დროში მოიძებნებოდნენ ხოლმე ბედკრულ საქართველოში ასეთი უმეცარი შემსრულებელნი მზაკვრული ჩანაფიქრისა... ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნების დღიდანვე გამოჩნდნენ ისინი არენაზე, რომელთაც ეჭვის თვალით შეხედეს ამ ორგანიზაციის დაფუძნებას. მერედა ვინ არიან ისინი?—პასუხი ერთმნიშვნელოვანია: თბილი კაბინეტების მდიდრულ სავარძლებში არხეინად გაფხორილი ნაქართველარები! ეს ბოროტი ფარისევლები ადრეც იჩემებდნენ ერის ელიტარული

ნაწილი ვართო. ვაი იმ ერს, რომელსაც ასეთი ნაწილი, საერთოდ, ყამოუჩნდება! მათ აშკარად ეტყობათ, რომ ვიღაცას (იქნებ უფრო საკუთარს!) ჭეშმარიტ ქართველობას უმტკიცებენ და თავიანთი „ღვაწლისა“ და „ჭეშმარიტი ქართველობის“ დასასაბუთებლად სოროდან ტალახს გვესვრიან. აქსიომური ჭეშმარიტებაა: „ყეყეჩს ბრძენი ეჯავრება, რადგანაც გრძნობს მის უპირატესობას“.

დიდი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას, თქმისა არ იყოს, აი, ისინი, ვინც ბევრი არაფერი იციან საკუთარ თავზე („შეიცან თავი შენი“—SOKRATE) და, მით უმეტეს, სამართლისა და სამართლიანობის დაცვის შესახებ. გონებადახშულთა და მოძალადეთათვის სიმართლის გარკვევა პანაცეა არასოდეს ყოფილა და არც იქნება!

რენეგატების გასაგონად ხმამაღლა ვიტყვი: ყოველგვარი ჯურის ნაძირალათაგან უსაზიზღრესია მოძალადე, ანუ ის კაცი, რომელიც თავის შესაძლებლობებს უსინდისოდ იყენებს თანამოძმეთა დასაჩაგრად.

დღევანდელ საქართველოში უმაღლესი თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი უსუსურად „ზრუნავენ“ მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე, ან, საერთოდ, არც ფიქრობენ ხალხზე. საზოგადოებასა და მათს შორის „ჩინური კედელია“ აღმართული. ამიტომაა, რომ ტოტალურად ირღვევა ადამიანის უფლებები: პიროვნული, პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონოლმიკური. ფართო მასშტაბები შეიძინა კორუფციამ, ნარკომანიამ და ნარკობიზნესმა, მეძავეობამ, უმუშევრობამ და კრიმინოგენურმა ვითარებამ. ქვეყანაში ფეხქვეშ ითელება ქართული ეროვნული ცნობიერება. ეს პროცესები მეტ-ნაკლებად იგრძნობა სენაკის რეგიონშიც. ადგილობრივი ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ადამიანის უფლებათა დარღვევებზე გაუმართლებლად სდუმან. ხშირად გაურბიან მათი გამომწვევი მიზეზების დადგენას და აზვირთებულ ხალხს ჩვეული დემაგოგიით აშოშმინებენ, თუმცა დროებით.

ჩვენი ორგანიზაციის მთავარ მიზანს მე ვხედავ ამ დარღვევების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში, რომელსაც ვეწევით

შესაძლებლობის ფარგლებში და მომავალშიც საამკარაოზე გამოვიტანთ ყოველგვარი გადახრის ფაქტს, რეაგირებას მივცემთ მას და კვლავაც ვიბრძოლებთ სამართლიანობის აღდგენისა და დამკვიდრებისათვის.

ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნებისა და მოღვაწეობის მცირე დროის მონაკვეთში ბევრის გაკეთება ვერ შევძელით სხვადასხვა მიზეზის გამო. ეს მიზეზები შემდეგია: სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრების უკმარისობა, სტრუქტურაში მომუშავე კადრების ხშირი დენადობა, ორგანიზაციის არსებობა თვითანაზღაურებაზე, ზოგიერთი თანამშრომლის უპასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, ადგილობრივი ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურებში მომუშავე ზოგიერთ პასუხისმგებელ პირთა მხრიდან ჩვენი ორგანიზაციის სრული იგნორირება და ა.შ.

ზემოთ დასახელებული მეხუთე მიზეზის დადასტურება იყო ადამიანთა უფლებისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის პრეზიდენტის, ბ-ნ გ. ლალიძის, პრესკონფერენცია, რომელიც გაიმართა 2000 წლის 27 დეკემბერს ქ. სენაკში. პრესკონფერენციაზე მოწვეული იყო ქ. სენაკის საზოგადოებრიობის ფართო სპექტრი: ადგილობრივი ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოების, კულტურისა და განათლების, მასმედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა, რამეთუ დაგვესწრო მოწვეულთაგან მხოლოდ შვიდი პიროვნება, დანარჩენები იყვნენ საზოგადოების წარმომადგენლები. ამით ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების ჩინოსნებმა ერთგვარი ბოიკოტი გამოუცხადეს და სრული იგნორირება გაუკეთეს ჩვენს ორგანიზაციას, რითაც მათ გამოხატეს თავიანთი კადნიერი დამოკიდებულება, საერთოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. ეს აქსიომაა, რომელსაც არავითარი გამართლება არ მოეძებნება.

განვმარტავ: კადნიერება დედაა ყოველგვარი ბოროტებისა, რომელიც ადამიანს სინდისზე ხელს აღებინებს. ბოროტების უპირველესი სათავე კი სხვათა ღირსების არცნობაა.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ, მომხდარი ვითარების გასარკვევად, სტუმრებთან ერთად ჩვენ ვეწვიეთ მათ სამუშაო ადგილებზე. ისინი თავთავიანთს თბილ კაბინეტებში „აღმოვაჩინეთ" და ყველანი მოლაპარაკებულივით თითქმის ერთსა და იმავე უსუსურ არგუმენტს იხმობდნენ: დრო ვერ გამოვნახეთ პრესკონფერენციაზე დასასწრებად, ისე ვიყავით საქმეებით დაკავებულიო.

ნამდვილად გასაოცარი და გასაოგნებელი კი ის გახლდათ, როცა ადგილობრივი ხელისუფლების ერთმა პასუხისმგებელმა ქალბატონმა დასმულ კითხვაზე—იცოდით თუ არა, რომ ქ. სენაკში დაარსდა ადამიანის უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია—უტიფრად გვიპასუხა: თუ მეხსიერება არ მღალატობს, სადღაც გაზეთში მსგავსი რამ წავიკითხეო.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ადამიანთა ბედის გადაწყვეტა ხშირად მინდობილი აქვთ სადიზმის სულისკვეთებით აღზრდილ ადამიანებს, რომლებიც თბილ სავარძლებში არხეინად მოკალათებულან, ხელმძღვანელის უბადრუკ მანტიაში გახვეულან და ადამიანთა უფლებების იგნორირებით უტიფრად შეურაცხყოფენ არამცთუ ადლამიანის, არამედ მთლიანად ერის ღირსებას. ისინი, ნაცვლად თანადგომისა, უბედურებასა და უმწეობაში ჩავარდნილ ადამიანებს უკარგავენ ხვალინდელი დღისადმი რწმენას. იქნებ ღირდეს ამაზე დაფიქრება; იქნებ დროა დავარისხოთ განგაშის ზარები, რომ ყველას მოეთხოვოს პასუხი წარსულში თუ ახალ დროში ჩადენილი ცოდვებისა და დანაშაულისათვის.

ვაცხადებ მთელი გულწრფელობითა და პასუხისმგებლობით: სენაკის რაიონის ორგანიზაცია უკომპრომისოდ, პრინციპულად და აქტიურად შეებრძოლება ადამიანის უფლებათა ყოველგვარ დარღვევას როგორც რეგიონში, ისე სრულიად საქართველოში, ამხელს და საამკარაოზე გამოიტანს ყველა ფაქტს და უმწიკვლოდ და უანგაროდ მოემსახურება თანამემამულეთა უფლებებისა და ღირსების დაცვას, ვინაიდან, მარტინ ლუთერისა არ იყოს: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!"

# ლირს ამაზე დაფიქრება!

*(სრულიად ქართველოს
დევნილთა მე-2 ყრილობაზე
წარმოთქმული სიტყვა
(ქ. თბილისი, 1998 წ., 23
სექტემბერი)*

ძვირფასო საზოგადოებავ!

ბულდასმით მოვისმინე ტრიბუნაზე გამოსული ორატორების ღრმაშინაარსიანი სიტყვები და გამიჩნდა სურვილი, გამომეთქვა ჩემი მოსაზრებანი დღეანდელ ყრილობაზე წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხებზე.

ვფიქრობ, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივა და ძალისხმევა სრულიად საქართველოს დევნილთა მე-2 ყრილობის მოწვევაზე საჭიროა და დროულიც.

აქ ძირითადად საუბარი იყო იმაზე, თუ ;რა სიტუაციაა საქართველოში. განსაკუთრებით ხაზი გაესვა ისეთ უარყოფითს შედეგებს, როგორიცაა: ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, სამოქალაქო ომით გამოწვეული მსხვერპლი და ნგრევა, ერის დაყოფა დაპირისპირებულ მხარეებად, ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, მოსახლეობის უმრავლესობის გაღატაკება, ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემა, კორუფციის აყვავება, კლანების, მაფიოზური ჯგუფების რეალური გაბატონება ეკონომიკასა და საზოგადოებაში, ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს მართვაში დაშვებული სერიოზული შეცდომები, საპარლამენტო და სამთავრობო კრიზისი, უსახლკაროდ დარჩენილ სამას ათასამდე დევნილის კრიტიკული მდგომარეობა და სხვა.

ეჭვგარეშეა და თანაც სამწუხარო, რომ ჩვენს დაკნინებულ, ორად გახლეჩილ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც, მართალია, კანონები

Იწერება, მაგრამ თვითონ კანონი აღარ მოქმედებს. მოსახლეობის 90%-ზე მეტი შიმშილის ზღვარზეა. ხომ ხედავთ, როგორ გაუბედურდა და როგორ გამათხოვრდა ერთ დროს შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე და ნიჭიერი ქართველი ხალხი. ხალხს არ სჯერა მთავრობის პოლიტიკისა, მთავრობას კი ბედის ანაბარად ჰყავს ის Ბიტოვებული. საქართველოში მასიურად ირღვევა ადამიანთა Თაყოველთაო უფლებები. უსაფუძვლოა ყოველგვარი ლაპარაკი, როცა ინვალიდი და მოხუცი ვერ ღებულობს პენსიას, ხოლო ინტელიგენცია —ხელფასს, მთლიანად ერი—სოციალურ შეღავათებს.

პირდაპირ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, დევნილ პირზე 11 ლარის დახმარების დაწესება. თითოეულ ჩვენგანში დაუფარავ გაოცებას იწვევს ყოველივე ეს. საინტერესოა, რაზეა გაანგარიშებული ეს მათხოვრული თანხა? უეჭველია, პატიმრის შენახვა სახელმწიფოს 10-ჯერ უფრო მეტი უჯდება, ვიდრე დევნილისა. ვგონებ, თვით რომსა და საბერძნეთში მონებიც არ იქნებოდნენ ისეთ გაუსაძლის მდგომარეობაში, როგორშიც დევნილები იმყოფებიან. ეს ნამდვილად სამარცხვინო და საძრახისი ვითარეებაა „დემოკრატიული საზოგადოების“ მშენებელი ქვეყნისათვის. ეს მიზერული თანხა ორი-სამი თვის დაგვიანებით ურიგდებათ ჩვენს დევნილებს სენაკის რეგიონში. ძალზე დიდი ხანია მოსახლეობას საერთოდ არ მიუღია არავითარი ჰუმანიტარული დახმარება, სხვა სოციალურ შეღავათებზე რომ არაფერი ვთქვათ.

სავალალო მდგომარეობაშია სანიტარული ვითარება მთლიანად რეგიონში, განსაკუთრებით ყოფილი სამხედრო ქალაქის დასახლებულ ტერიტორიაზე, სადაც არ წამლავენ მავნე მწერებს, რის გამოც მომრავლებულია კოღოები, რომელთაც ეპიდემიური ავადმყოფობის გავრცელებაც კი შეუძლიათ, მაგრამ გამკითხავი არავინ ჩანს, არავითარი პროფილაქტიკური ღონისძიება რეგიონში საერთოდ არ ტარდება.

დასახლების ტერიტორიაზე მოქმედებს დღისა და ღამის ცვლის საშუალო სკოლა, სადაც სწავლობს 600-მდე მოსწავლე, რომელთაც Ხმსახურება 50-მდე პედაგოგი. სკოლის შენობა კაპიტალურია, მაგრამ ისეა გაძარცვული, რომ არავითარი მატერიალური ბაზა მას არ

გააჩნია, რაც მნიშვნელოვნად ხელს უშლის მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდის საშეილიშვილო საქმეს. სკოლის ხელმძღვანელობამ არაერთხელ მიმართა სათანადო ორგანოებს დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ ეს დახმარება ჯერჯერობით არსაიდან არ ჩანს და თხოვნა დახმარების შესახებ რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინ“.

სკოლის მერხიდან მოდის ჩვენი მომავალი საქართველო. ქვეყნის მომავალზე ზრუნვა, ფიქრი და განსჯა ყველა პროფესიის ადამიანისათვის, და განსაკუთრებით პედაგოგებისათვის, წმიდათაწმიდა მოვალეობაა... მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა, მედლის მეორე მხარე ხომ პედაგოგებისათვის ყურადღების გამოჩენაა. ისმება ბუნებრივი კითხვა: როგორ ფასდება ეს შრომა სახელმწიფოს, მშობლისა და პედაგოგის მხრიდან? მე ვფიქრობ, რომ იგი მივიწყებულია და ძლიერი ქვეყნის მშენებლობასაც საფუძველი წინასწარ მორყეული აქვს. მიუტევებელია ის, რომ სკოლაში ხელფასები რიგდება მხოლოდ ხელისუფლებასთან პერმანენტული დავისა და ბრძოლის შემდეგ და ისიც 3-5 თვის დაგვიანებით. ეს კი ხელისუფლების უნიათობის შედეგია, რაც მტკიცებას არ საჭიროებს. არსად დედამიწის ზურგზე არ არსებულა და ამჟამადაც არ არსებობს ქვეყანა, გარდა საქართველოსი, სადაც პედაგოგის უანგარო შრომა და თავდადება ასე დაუფასებელი და აბუჩად აგდებული იყოს. მომავალში უსათუოდ საჭირო იქნება განათლების სამინისტრომ შეუნელებელი ყურადღება მიაქციოს პედაგოგთა შრომასა და ამაგს, რამეთუ ისინი (პედაგოგები) მყარ საძირკველს უყრიან მომავალი დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობასა და ძლიერებას, რადგანაც „ქვეყნად სარდალიც არა ყოფილა, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა.“

ჩვენი უმთავრესი საზრუნავი, გლობალური ხასიათის პრობლემებს შორის, მაინც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაა. სხვადასხვანაირია მათი დაბრუნების გზები: რუსეთთან დამოკიდებულება, „სამშვიდობო ძალებთან“ მიმართება და ა.შ. აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, თამაზ ნადარეიშვილის, აღიარებით, აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ ძალისმიერი გზითაა შესაძლებელი, ხოლო ქვეყნის უმაღლესი

ხელისუფლება პრობლემის მოგვარებას მოლაპარაკების გზით ცდილობს... ისმება კითხვები: ვინ უნდა იტვირთოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა? ან ერთი ხატოვანი გამოთქმისა არ იყოს „ვინ შეაბას კატას ეჟვანი?" ამ პრობლემის გარშემო მსჯელობა, ვნებათაღელვა და შეხვედრები სხვადასხვა დონეზე 6 წელია, უსაშველოდ რომ ჭიანურდება. ხომ არ მიაგავს ეს პროცესი ერთ ძველ ქართულ ანდაზას ორ ძიძას შორის დაკარგული ბავშვის შესახებ? ფაქტი კი ჯიუტ ფაქტად რჩება ხოლმე, შოთა ნიშნიანიძის ლექსის („აფხაზური კანტატა") ტაეპისა არ იყოს:

„ო, აფხაზეთო, მრავალ კარგი მოყმის გამზრდელო,
ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი, უსაქართველოდ."

მაგონდება ერთ დროს ცნობილი რუსული სიმღერის სიტყვები: „საიდან იწყება სამშობლო"... მართლაცდა საიდან იწყება ქართველთა სამშობლო? ესაა კითხვა, რომელიც ადამიანს, თუკი ის, რა თქმა უნდა, გონიერია,უნდა აწუხებდეს, თითის წვერიდან თმის უკანასკნელ ღერამდის უნდა ძრავდეს...

„როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედ", ასე ჩაგვაგონებდა რაფიელ ერისთავი ლექსში—„სამშობლო ხევსურისა". ამ მრავალჭირნახული და ბედკრული ერისათვის სწირავდა თავს მარადჟამს ჭეშმარიტი ქართველი, მეფე იყო იგი თუ უბრალო მეომარი. წარმოუდგენელია ჩემთვის იმის უბრალო გააზრებაც კი, რომ რუსთაველის ბრძნული აფორიზმი „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი"—გაითავისა ჩეჩენმა და ბალტიისპირელმა ხალხმა, მაგრამ ქართველებმა ვერ გავიცნობიერეთ, ჩვენდა საუბედუროდ.

ძვირფასო საზოგადოებავ!

სამშობლო დაკარგეთ ჩვენივე განცალკევებულობით, ხოლო გარეშე თუ შინაურ მტერთ კი სურთ იგი დაგვაკარგვინონ... დაეფიქრდეთ, რას ვუტოვებთ ჩვენს შთამომავლობას უფრო ძვირფასსა და სანუკვარს, ვიდრე მამული, ენა და სარწმუნოებაა... რა პირით მივუვალთ იქ ჩვენს სასიქადულო წინაპრებს: მეფე

ფარნავაზსა და ქუჯის, დავით აღმაშენებელსა და თამარს, ცოტნე დადიანს, დემეტრე თავდადებულსა თუ გიორგი ბრწყინვალეს...

ღირს ამაზე დაფიქრება!

ვისთვისაც ძვირფასია დღეს ბრძენი ილიას უკვდავი კრედო—„მამული, ენა, სარწმუნოება“—თავს ვალდებულად უნდა თვლიდეს, მოესათუთოს, მოესიყვარულოს მას და დაიცვას იგი პირწმინდად, როგორც ეს სჩვეოდათ ჩვენს სახელოვან წინაპრებს.

მამულიშვილნო! მოგიწოდებთ სალ კლდესავით აღვიმართოთ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში, მუხლჩაუხრელად ვიბრძოლოთ დროებით დაკარგული საქართველოს ძირძველი ტერიტორიების—აფხაზეთისა და სამაჩაბლოს—დასაბრუნებლად, საქართველოს გასამთლიანებლად და, საერთოდ, რაც მთავარია, შელახული ღირსების აღსადგენად!

# ᲛᲐᲓᲚᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲝ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲐ

*ანუ*

*შტრიხები არნ. ჩიქობავას ცხოვრებისა და სამეცნიე- რო-საზოგადოებრივს მოღვაწეობაზე*

*1999 წლის 26 მარტს სენაკის ა. ხორავას სახელობის თეატრში „არნოლდობის“ დაწესებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა*

ძვირფასო საზოგადლოებავ!

ᲐᲛ მაღალი ტრიბუნიდან დიდი პატივისცემით მოგესალმებით და ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ აქ ვხედავ ჩვენი მრავალჭირნახული საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, კოლხეთის (ეგრისის), გმირული წარსულის მქონე ხალხის შთამომავლობას, შეკრებილს ამ საყოველთაო ზეიმზე, რომელიც ეძღვნება აკადემიკოსის, ბ-ნი არნოლდ ჩიქობავას სახელის უკვდავყოფას, ანუ მისი ხსოვნის დღის—„არნოლდობის“—დაწესებას. ისევე, როგორც „ილიაობა“, „ვაჟაობა“... „არნოლდობის“ დღის დაწესება და მისი ყოველწლიურად აღნიშვნა სრულიად კანონზომიერ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რამეთუ მსოფლიოს მეცნიერთა ბრწყინვალე პლეადას ბ-ნი არნოლდის სახელი მარგალიტის თვალივით ამშვენებს. რაოდენ სასიხარულოა, რომ „არნოლდობის“ დღის დაწესების თაოსნობა ეკუთვნის ქ. სენაკში დაარსებულ სამეცნიერო ასოციაცია „ლაზიკას“, რომელიც ატარებს აკადემიკოს არნ. ჩიქობავას უკვდავ სახელს.

ილაპარაკო ბ-ნ არნოლდზე, როგორც პიროვნებაზე, საზოგადოდ, და როგორც ბრწყინვალე მეცნიერზე, ჩვენი ქვეყნის,

ერის, ენისა და კულტურის უდიდეს მოამაგეზე, ნიშნავს, ილაპარაკო, საერთოდ, გაუხუნარი ქართული ენის კოლორიტზე, ქართული სიტყვის ბალავარზე, მესაძირკვლესა და მეხოტბეზე. დამეთანხმებით, რომ ეს საქმე ფრიად სათუთი და საძნელოც კი გახლავთ, ვინაიდან სულმნათი ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს: „ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაცაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ბ-ნი არნოლდი წმინდა ხელებით, სპეტაკი სულითა და ბრწყინვალე ნიჭით პერკულესივით შეეჭიდა მშობლიური ენის უმძიმეს ტვირთს და მუხლჩაუხრელად ატარა ის სიკვდილამდე. ამიტომ ბ-ნ არნოლდის ფენომენი ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში განუსაზღვრელი წონადობის მატარებელია. განსაცვიფრებელია მისი მეცნიერული მოღვაწეობის დიაპაზონი, ხოლო ღვაწლი ზღვასავით ვრცელია და უნაპირო. მისი ნაღვაწ-ნაამრევი ჩვენი ეროვნული საუნჯის ოქროს ფონდს განეკუთვნება.

მადლიერმა შთამომავლობამ ერთხელ კიდევ სასოებით გადავავლოთ თვალი მის ცხოვრებასა და სამეცნიერო-საზოგადოებრივს მოღვაწეობას, როგორც ქართული ენათმეცნიერების ოქროს ფონდის ფასდაუდებელ განძს.

ვინც ბ-ნ არნოლდ ჩიქობავას ცხოვრების გზას დეტალურად გაეცნობა, ამ ღვთის მადლით მოსილი ადამიანის ნაჯაფ-ნაღვაწში უსათუოდ ნახავს უანგარო მამულიშვილის, ფართო სამეცნიერო წრეების მიერ აღიარებული პიროვნების შრომის სიკეთით სავსე საქმეს, მის ერისკაცობასა და ქრისტიანულ სიწმინდეს.

სენაკმა ბევრი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდა სამშობლოს. მთელს მსოფლიოში ფართოდაა აღიარებული ისეთი სახელები, როგორიცაა: თეოფანე დავითაია, კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ თოფურია, სიმონ ჯანაშია, ვალერიან გუნია და სხვ. ამ ბრწყინვალე კოჰორტაში გამორჩეულია არნოლდ ჩიქობავას სახელი. მას ანთეოსივით მშობლიურ წიაღში ღრმად აქვს გადგმული ფესვები, საიდანაც ისრუტავდა იგი მაცოცხლებელ ძალას. დიდი ვაჟას თქმისა არ იყოს: „თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ, ღალიან ბარაქიანი“.

ქართული ენის ყოველმა მოყვარულმა ზეპირად იცის მისი საინტერესო ცხოვრების გზა. უფრო მეტიც: ამ დარბაზში, ალბათ, ბრძანდება ზოგი იმათგანიც, ვისაც მოუსმენია მისი ლექციები და მართლაც კარგად ახსოვს მისი განსაკუთრებული იერით აღბეჭდილი სანდომიანი სახე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავა, დაიბადა ცხაკაიას (ამჟამად სენაკის) რაიონის სოფ. ძველ სენაკში 1898 წლის 14 (26 მარტს) გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ძველი სენაკის ორკლასიან სკოლაში, რომელიც 1909 წელს დაამთავრა. შემდგომ ჩააბარა საკონკურსო გამოცდები და ჩაირიცხა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მე-3 კლასში. (1911 წ.,) მაგრამ სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო გაირიცხა ერთი წლით. მომდევნო წელს კვლავ მიიღეს გიმნაზიაში გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

1918 წელს არნ. ჩიქობავა შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1922 წელს, იგი დატოვებულ იქნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად, პროფ. ა. შანიძის წარდგენით. მან ბრწყინვალედ ჩააბარა სადოქტორო გამოცდები 1924 წელს, ხოლო მანამდე, 1923 წელს, გამოაქვეყნა სამეცნიერო შრომა თემაზე:—„ვინის რეფლექსები ფერეიდნულში". 1929 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში". 1933-1960 წწ. იყო თსუ-ში მისი ინიციატივით დაარსებული კავკასიურ ენათა კათედრის გამგე, ხოლო 1960 წლიდან—ამ კათედრის პროფესორი. 1936 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თავისივე თაოსნობით ჩამოყალიბებულ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებას ჯერ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებათა ინსტიტუტში (1950-1955 წწ. იგი ბრძანდებოდა ამავე ინსტიტუტის დირექტორი). 1950-1963 წლებში იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, 1945-64 წლებში აკადემიასთან არსებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელი კომისიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების

წელიწდეულის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი (1974 წ-დან).

1941 წელს არნ. ჩიქობავა დაამტკიცეს მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის აკადემიკოსად. იგი ბრძანდებოდა საქართველოს სსრ (1946), დაღესტნის ასსრ (1968), ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ (1968), აფხაზეთის ასსრ (1978), ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ (1981) მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (1960), დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი (1968 წ.).

არნ. ჩიქობავა იკვლევდა ქართველურსა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს. გამოკვლევათა სერია ეძღვნება ქართული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის... ძირითადს პრობლემებს. მან არაერთი გამოკვლევა უძღვნა ძველსა და ახალ ქართულს, ფონეტიკის ძირითადს საკითხებს. მისი მეცნიერული შემოქმედება ყურადღებას იქცევს მაღალი პროფესიონალიზმით, ღრმა და კონკრეტული ანალიზის იშვიათი უნარით.

არნ. ჩიქობავას, როგორც ენათმეცნიერსა და, საერთოდ, კულტურის უანგარო მოღვაწეს, დიდი მისია დაეკისრა იმთავითვე და მას ოდნავადაც არ გადაუხვევია ერთხელ დასახული მიზნიდან. მას ისტორიულმა ვითარებამ დააკისრა ქართული ენის განახლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მესვეური ყოფილიყო. იგი ამ საშვილიშვილო საქმის სათავეში იდგა, როგორც პირველი მეკვლე, რომლის ძალისხმევის შედეგად ქართული მეცნიერება ერთბაშად აღზევდა იმ სიმაღლემდე, რასაც ინატრებდა ყველა მოწინავე კულტურის მქონე ქვეყანა.

წუთით თვალი გადავავლოთ სახელოვანი მეცნიერის ნაშრომებს: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“; „ჭანური ტექსტები“ (ნაკვეთი პირველი), „ხოფური კილოკავი“, „ზოგადი ენეათმეცნიერება“, „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“, „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი

ლექსიკონი“, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“, „ენათმეცნიერების შესავალი“ (ეს უკანასკნელი გამოვიდა ჩინურ, ბულგარულ, ჩეხურსა და სხვა ენებზე), „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“, „ბუნძური ენა“...

ეს ნაშრომები სრულ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო ავტორის მაღალმეცნიერულ განსწავლულობაზე, არამედ, რაც მთავარია, სიტყვათა მარაგის შემქმნელი ერის კულტურულ პროფილზე, ცივილიზაციის დონეზე.

ბ-ნმა არნოლდმა ღირსეულად გაასრულა საშვილიშვილო საქმე და თავის ხალხს უძვირფასესი საუნჯე უანდერძა. მისმა ენათმეცნიერულმა ქმნილებებმა დიდი ხანია გადალახეს საქართველოს საზღვრები და ნამდვილი აღიარება მოიპოვეს საზღვარგარეთაც და რაოდენ სასიხარულოა მისი ნიჭის თაყვანისმცემელთათვის ის, რომ ჩვენი სასიქადულო მეცნიერის სახელი ფართოდაა აღიარებული ევროპის ქვეყნების სამეცნიერო წრეებში. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ურყეი ჭეშმარიტებაა.

ერთი მეცნიერის სასახელოდ ისიც საკმარისია, რომ შეკრა ნიჭიერი კოლექტივი და შექმნა მშობლიური ენის ისეთი ლექსიკონი, რომელიც ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრის ძეგლია.

ბ-ნი არნოლდი იყო პრინციპიანი, მომთხოვნი საკუთარი; თავისა და სხვების მიმართ, ასევე უაღრესად გულისხმიერი და სამართლიანიც. არაერთი ახალგაზრდა ეზიარა მეცნიერების საფუძვლებს მისი თაოსნობით. მას ფრიად სიხარულს ანიჭებდა ახალგაზრდა მეცნიერთა თამამი ნაბიჯები მეცნიერებისაკენ. ის იყო მათი ჭირ-ვარამის მოზიარეც და თანამდგომიც. წარუმატებლობა და მარცხიც თან ახლდა ძიებათა ასეთ გზას, მაგრამ გულწრფელობა და თავგამოდება იყო მუდამ მის მოწაფეთა გამარჯვების საწინდარი.

არნ. ჩიქობავა იყო მკაცრი არა მარტო სხვათა საქციელის შეფასებისას, არამედ მომთხოვნი და კრიტიკული საკუთარი თავის მიმართაც, როგორც ეს დიდბნუებოვანთა წესია. იგი იყო პირველი

მოქართულე და თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მშობლიური ენის სწორუპოვარი დამცველი, ქართული ენათმეცნიერების ბაირახტარი, მეხოტბე მშობლიური ენისა, რომლის შესახებ იაკობ გოგებაშვილი ასე ბრძანებდა: „მხოლოდ დედაენა არის ენა გულისა, გრძნობისა, სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ დედაენაზე შეუძლია ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ". ბ-ნი არნოლდის მუხლჩაუხრელდი მოღვაწეობა გასხივოსნებულია მიზანთა ერთიანობით. იგი მეტყველი მაგალითია მამულისა და ერისათვის უანგარო სიყვარულისა და თავდადებისა. საკუთარი ხალხის უზომო სიყვარულთან ერთად გონიერება და სიბრძნე იყო მისი დიდი სიმდიდრის მანათობელი. ცხოვრებაში იგი მუდამ იყო გამორჩეული პიროვნება, თავმდაბალი, მოკრძალებული, მაგრამ როცა ვითარება ითხოვდა, ჯიუტი და შეუპოვარი მებრძოლი. ის ჰერკულესივით იგერიებდა მავანთა უსამართლო შემოტევებს და ამაში წარმოჩინდა სწორედ მისი ტალანტის უტეხი ძალა.

მიმდინარე წლის ნოემბერში 14 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ბ-ნი არნოლდი აღარაა ჩვენს შორის. სიკვდილმა მას 87 წლის ასაკში უწია, როცა დაასრულა თავისი მაღალნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება. ეს არც ისე დიდი დროა ისტორიისათვის. იგი ფაქტობრივად ჩვენი თანამედროვე იყო და თითქოს გუშინ წავიდა ჩვენგან...

ყველა, ვინც კი პირადად იცნობდა მას, უსათუოდ შეამჩნევდა მის წყნარ გამოხედვაში, როგორ თვლემდა დაოკებით გარდასულ ეპოქათა მინავლებული ცეცხლი. იგი თავად იყო მღელვარე მოვლენათა მომსწრე და მონაწილე. ჭირთა ძლევის საოცარი უნარი და სულიერი სიმტკიცე საოცარ მეტყველ ძალას ანიჭებდა მის გონივრულსა და დაფიქრებულ საუბარს.

მან გასაოცრად გაუძლო ათასგვარ ქარტეხილს, მაცთუნებელ წყალქვეშა დინებებს და, როგორც ეს საზოგადოდ რჩეულთ შეჰფერის, უმწიკვლოდ ატარა ჭეშმარიტი ენათმეცნიერისა და უანგარო მამულიშვილის მაღალი და პატივსადები სახელი.

უნივერსალურია ცხოვრების კანონი: ბრძოლა და მოქმედება ჰბადებს ჭეშმარიტ ადამიანს.

ყოველ ეპოქაში ხალხს ჰყავდა, უყვარდა და აფასებდა თავის ჯანგარო მსახურთ. ჩვენ ასეთად გვესახება ბ-ნი არნოლდ ჩიქობავა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ქართული მეცნიერების მსოფლიო პრესტიჟის ამაღლებას. ამიტომ იგი ისევე უკვდავია, როგორიც მისი წარმომშობი სამშობლო საქართველო.

ერისთვის ასეთი თავდადებული და სახელოვანი წინაპრის სახელს, უეჭველია, პატივი უნდა მივაგოთ. ამიტომ აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის სამეცნიერო ასოციაცია „ლაზიკის" სახელით შემომაქვს წინადადება ქალაქის ხელმძღვანელობისა და ფართო საზოგადოებრიობის წინაშე:

1. დაიდგას სახელოვანი მეცნიერის ბრინჯაოს ბიუსტი მისი სახელობის სკვერში (ქალაქის ელქსელების შენობის გვერდით, წმ. ნინოს ქ. №1).

2. დაწესდეს—„არნოლდობა", რომელიც აღინიშნება ყოველი წლის 26 მარტს, რომ ამით განხორციელდეს სანუკვარი ოცნება მისი ნიჭის თაყვანისმცემლებისა, ათასობით ადამიანებისა, ვისკენაც ყოველთვის ისწრაფვოდა ბ-ნი არნოლდი, რათა დიდი სიყვარული და მეცნიერული შთაგონება ისე უხვად გაენაწილებინა მასზე უზომოდ შეყვარებული მშობელი ხალხისათვის.

დიდმა გალაკტიონმა ნიკორწმინდას, კ. გამსახურდიამ საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს, სვეტიცხოვლის დიდ ტაძარს, ხელთუქმნელი ძეგლი უძღვნეს (პირველმა შექმნა „ქებათაქება ნიკორწმინდას", მეორემ—„დიდოსტატის მარჯვენა"), ხოლო ბ-ნმა არნ. ჩიქობავამ ქართულ ენათმეცნიერებას ახალი სიცოცხლე შთაბერა თავისი ლინგვისტიკური ნაშრომებით, ბრწყინვალე მარგალიტებით

დაველესსხები ქართული სიტყვიერების დიდოსტატს, ბატონ კ. გამსახურდიას: „ხელოვნება თავად უკვდავებაა... მხოლოდ ოსტატს

არ დაეწევა სიკვდილი. ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი" („დიდოსტატის მარჯვენა").

ეს სიტყვები მიესადაგება ჩვენს სახელოვან ენათმეცნიერსაც. ამიტომ დაე სვეტიცხოველივით უკვდავების თანაზიარი გახდეს სახელი და ღვაწლი სასიქადულო მამულიშვილისა ქართველი ხალხის ცნობიერებაში, რამეთუ ამ დიდ პატივს გადაუჭარბებლად იმსახურებს ქართული ენათმეცნიერების ჭეშმარიტი ქურუმი და სწორუპოვარი დიდოსტატი ბ-ნი არნოლდ ჩიქობავა.

# „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საკითხი და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის

(სტუდენტთა დასახმარებლად)

„ქართლის ცხოვრება“ (საქართველოს ისტორია) ძველი და შუასაუკუნოვანი ქართული ისტორიული აზროვნების მაღალი დონის დამადასტურებელი საისტორიო თხზულებათა კრებულია.

მ. ლორთქიფანიძე წერს: „ქართლის ცხოვრება“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი თხზულებათა კრებულია, ის დგებოდა ჟამითი-ჟამად და საუკუნეების მანძილზე ხდებოდა მისი შევსება-რედაქტირება“ (მ. ლორთქიფანიძე, „რა არის ქართლის ცხოვრება“, თბ., 1989 წ., გვ. 3).

არსებობს „ქართლის ცხოვრების“ ორი ციკლი: „ძველი ქართლის ცხოვრება“ და „ახალი ქართლის ცხოვრება“.

შუა საუკუნეების საქართველოში „ქართლის ცხოვრება“ ასრულებდა საკითხავი წიგნის დანიშნულებას და გამოიყენებოდა სახელმძღვანელოდ ეროვნულ ისტორიაში. მასში საყურადღებო ცნობები მოიპოვება სომხეთის (საერთოდ კავკასიის) ალბანეთის, თურქეთის, ირანის, ბიზანტიია და სხვა ქვეყნების ხალხთა შესახებ.

„ძველი „ქართლის ცხოვრება“ მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან მე-14 საუკუნემდე. ი. ჯავახიშვილმა თავისი მოსაზრებები გამოთქვა კრებულის შედგენის დროის, შედგენილობისა და თანდათან შევსების თაობაზე. „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნაწილში, მის მიერ შემოთავაზებული პირობითი სქემის მიხედვით, შემდეგი ნაწარმოებები შედის: ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ (უძველესი ხანიდან მე-5 საუკუნემდე),

ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“ (მე-5 მე-8 სს) ლეონტი მროველის „წამება წმიდისა და დიდებულისა არჩილისი“ მე-11 საუკუნის ანონიმი ავტორის „მატიანე ქართლისა“ (მე-8 მე-11 სს), მე-12 საუკუნის ანონიმი ავტორის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (უძველესი ხანიდან მე-11 საუკუნემდე), თამარის ორი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ბასილ ეზოსმოძღვარი).

ყველა მკვლევარი არ ეთანხმება „ქართლის ცხოვრების“ ასეთ შედგენილობას. ამ მხრივ განსხვავებული მოსაზრებისანი ბრძანდებიან: კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი და კ. გრიგოლია.

კრებულის ანალიზი მოწმობს, რომ „ქართლის ცხოვრება“ შედგენილი უნდა იყოს მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში (სხვა მოსაზრებით VII-VIII, VIII-IX, X, XI ს-ის მიწურულს), XI-XII ს-ის მიჯნაზე, XII ს-ის მეორე ნახევარში).

„ქართლის ცხოვრების“ ადრინდელი ხელნაწერები არ არის შემონახული. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს შორის ყველაზე ადრინდლად არის მიჩნეული ე. წ. ანასეული „ქართლის ცხოვრება“, რომელსაც ი. ჯავახიშვილი 1479-1495 წწ.-ით ათარიღებდა, ხოლო ს. კაკაბაძე, ნ. შოშიაშვილი და რ. პატარიძე მე-17 ს.-ის დამდეგით. ე.წ. მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ დაახლოებით 1634-1645 წლებშია გადაწერილი.

არსებობს მოსაზრება, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის დროს თხზულებებს დასაწყისსა და ბოლოს აცილებდნენ, რის გამოც დაიკარგა ამ ნაწარმოებთა ავტორების ვინაობა, შედგენის თარიღი და ზოგჯერ სათაურიც (სქე, ტ. 10, 1976, გვ. 470).

„ქართლის ცხოვრების“ ავტორთა კონცეფციას საფუძვლად უძევს ისტორიული პროცესის ქრისტიანული კონსტატაცია.

ავტორებს გამოყენებული აქვთ ზეპირი და წერილობითი წყაროები, თხზულებანი, წინარე ხანის ქართული თხზულებები და საბუთები, ბერძნული, სომხური და აღმოსავლური წყაროები.

მე-19 საუკუნის ისტორიკოსები ენდობოდნენ „ქართლის ცხოვრების“ ყოველ ცნობას, ი. ჯავახიშვილმა კი ქართულ ისტორიოგრაფიაში დანერგა ცალკეული საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომა.

ვახტანგ მეექვსემ ინტერესი გამოიჩინა „ქართლის ცხოვრებისადმი“. მან შეკრიბა თავისი დროის გამოჩენილი ისტორიკოსები, „მეცნიერნი კაცნი“ (სწავლულნი კაცნი), ბერი ეგნატაშვილის თაოსნობით, და დაავალა მე-14 და მე-17 სს-ის საქართველოს ისტორიის დაწერა და „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება. ასე შეიქმნა მე-18 საუკუნის 20-იან წლებში „ახალი ქართლის ცხოვრება“. ეს გამოთქმა, რომელიც იხმარება სამეცნიერო ლიტერატურაში არასწორია, თხზულებების ტექსტი შემონახულია„ქართლის ცხოვრების“ ჯანაშვილისეულსა და მაჩაბლისეულ ნუსხებში. თხზულება სამჯერ არის გამოცემული მ. ჯანაშვილის (1907), ი. ჯავახიშვილისა (1940) და ს. ყაუხჩიშვილის (1959) მიერ.

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ გაგრძელებად ითვლება ე. წ. „ცხოვრება საქართველოისა“ (პარიზის ქრონიკა).

ამგვარად „ქართლის ცხოვრების“ კრებულმა სხვადასხვა დროს მრავალი რედაქტორის ხელში გაიარა და ყველა რედაქციამ თავისი კვალი დატოვა მასში.მე-19 ს-ში რუსული და ევროპული ორიენტალისტიკის განვითარებასთან ერთად ფართოვდება ინტერესი საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხებისადმი. განსაკუთრებით საკუთრივ „ქართლის ცხოვრებისადმი“. ამ დროს ძველი ხელნაწერები დაკარგული იყო და მკვლევართა ხელში რჩებოდა მხოლოდ სწავლულ კაცთა ხელში გამოვლილი, რედაქტირებული და შემდეგდროინდელი ნუსხები. ეს ქმნიდა

სათანადო საფუძველს ნიპილისტური დამოკიდებულებისათვის ამ ეროვნული ისტორიისადმი. იქმნებოდა საფუძველი თვალსაზრისისათვის, რომ ჩვენში მე-18 საუკუნემდე საერთოდ არ არსებობდა საისტორიო მწერლობა. ასეთი თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრების“ შესახებ გამოთქვა მე-19 საუკუნეში ზოგიერთმა რუსმა მეცნიერმა (ო. სენკოვსკი, ქ. პატკინოვი). ისინი უარყოფდნენ „ქართლის ცხოვრების“ სიძველეს და ვახტანგ მეექვსეს მიაწერდნენ მის შედგენას.

მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ და ილია ჭავჭავაძემ არაობიექტურობაში ამხილეს „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკოსები და დასაბუთეს მათი მსჯელობის სრული უსაფუძვლობა.„ქართლის ცხოვრების“ შესახებ საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს: თ. ჟორდანიამ, ვ. თაყაიშვილმა, ს. კაკაბაძემ, პ. ინგოროყვამ, გ. მელიქიშვილმა, კ. გრიგოლიამ, რ. კიკნაძემ, ა. ბარამიძემ, შ. ხანთაძემ, ი. აბდალაძემ და სხვ.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ მეექვსის წინარე ხელნაწერებია: ანა დედოფლისეული, მარიამ დედოფლისეული, ჭალაშვილისეული, მაჩაბლისეული, მცხეთური. ვახტანგ მეექვსისა და მისი მომდევნო ხანის ხელნაწერებია: რუმიანცევისეული, ჯანაშვილისეული, სხვიტორული, თეიმურაზისეული, დადიანისეული...როგორც აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრება“ მდიდარი საისტორიო წყაროა საქართველოსა და მისი ახლობელი თუ შორეული მეზობლების ძველი და შუასაუკუნოვანი ისტორიის შესასწავლად. იგი ქართული შუასაუკუნოვანი ისტორიის ეროვნების განვითარების ეტაპებს ასახავს.

„ქართლის ცხოვრება“ დაწერილია მაღალი პატრიოტული სულისკვეთების პოზიციიდან. ამიტომ განუსაზღვრელია მისი მნიშვნელობა თაობათა პატრიოტული პათოსით აღზრდის ეროვნულ საქმეში.ნიშანდობლივია, რომ ქართველი ქალებისათვის მზითვად გატანებულ წიგნთა შორის „სახარება“ ერის რწმენის სიმტკიცეს

ემსახურება. შ. რუსთველის გენიალური ქმნილება ქართველი ერის უკვდავების სიმბოლოა, „ქართლის ცხოვრება“ კი ეროვნული ერთიანობისა და ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

**რედაქტორისაგან:** სწავლება ორმხრივი რთული (და შრომატევადი) პროცესია, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობს ლექტორსა და სტუდენტს შორის. სალექციო მასალის მომზადება, ან ლექციის წაკითხვა სათანადო დონეზე (და არა პაიპარად, როგორც ეს ზოგჯერ შეინიშნება ჩვენს სინამდვილეში) არცთუ იოლია დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტისთვისაც კი, რის გამოც ნებისმიერი ლექტორი (პროფესორ-მასწავლებელი) პერმანენტულად უნდა ემზადებოდეს ლექციებზზე შესასვლელად. ესარგებლობთ შემთხვევით და ამასთან დაკავშირებით წარმოვადგენთ ერთ საინტერესო ფაქტს: ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი თავის ერთ-ერთ წერილში აკად. ნიკო მარის მეუღლის, ჟუკოვსკაიას, ასეთ მოგონებას გვთავაზობს: ნიკო მარს სამ დღეს არ უძინია, როცა პარიზში მეოთხე დღეს უნდა წაეკითხა „ქართველი ერის კულტურული შუბლი“ უფრო მეტიც, ბ-ნ ნიკოს, რომელიც ერთ-ერთი პიროვნების სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი ბრძანდებოდა, 15 დღეს ნორმალურად არ ეძინა, როცა მეთექვსმეტე დღეს, დაცვის დღეს, უნდა გამობრძანებულიყო სიტყვით, როგორც ოფიციალური ოპონენტი.

სენაკს, ამ პერსპექტივიან ქალაქს, ადრე არ ემსახურებოდა არც უნივერსიტეტი და არც ჰუმანიტარული ინსტიტუტი. ამიტომ, ბუნებრივია სახელმძღვანელოებით ჩვენი სტუდენტები ვერ იქნებიან განებივრებული, რის გამოც ბ-ნ სანდროს წერილი, რომელიც შემოკლებით დაიბეჭდა, მათ სათანადოდ დაეხმარება.


რედაქტორი ჟ. სორდია,

„ლაზიკის ცისქვეშეთი“, არნ. ჩიქობავას
სახელობის სამეცნიერო ასოციაცია
„ლაზიკას“ საზოგადოებრივი,
სამეცნიერო-პედაგოგიკური და ლიტერა-
ტურული გაზეთი,


*8 დეკემბერი, 1998 წ., №1, გვ.3.*

## ფიქრები ახალგაზრდობის პროფორიენტაციასა და მის ნათელ მომავალზე

ახალგაზრდობის მომზადება ცხოვრებისათვის დიალექტიკურ ერთიანობაშია მათს იდეურ რწმენასთან, ზნეობრივს თვისებებსა და პროფესიულ ოსტატობასთან.

ა. ს. მაკარენკო აღნიშნავდა: „შრომა განათლების გარეშე ვერ მოიტანს სარგებლობას, დარჩება ნეიტრალურ პროცესად... შრომა, როგორც აღმზრდელობითი საშუალება, შეიძლება იყოს მხოლოდ ნაწილი აღზრდის სისტემისა“ (*ა. ს. მაკარენკო,* პედ. თხზ., ტ.5, 1958, გვ. 116, რუს. ენაზე).

მოზარდებში შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების აღზრდა ადრეული ასაკიდანვე იწყება ელემენტარული შრომითი ჩვევების გამომუშავებით ოჯახსა და სკოლამდელ დაწესებულებებში, რაც შემდგომ ვითარდება და ღრმავდება სკოლაში.

დიდი ილია ბრძანებდა: „რა უნდა მოეთხოვებოდეს სკოლას? ამის პასუხად ბევრს გამოუთქვამს აზრი და ეს აზრი, სხვადასხვაგვარად გამოთქმული—ერთს საფუძველზეა აგებული, ერთის სათავიდავნ წარმომდინარეობს. ეს საფუძველი, ეს სათავე ის არის, რომ სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთვნიდეს ყიდეც ბავშვს და ასწავლიდეს კიდეც. წვრთნა და სწავლა ხელიხელს გადაკიდებული უნდა ვიდოდეს სკოლაში“.

დღევანდელი სკოლის მოწოდებაა უზრუნველყოს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდა, რადგანაც ამაზეა (და მხოლოდ ამაზე!) დამოკიდებული ქვეყნის მომავალი და პიროვნების სულიერი პროგრესი. ამგვარი მიდგომა დაედო საფუძვლად სკოლის რეფორმას. მისი მთავარი მოთხოვნა ისაა, რომ სკოლამ მეცნიერების საფუძვლებს დააწაფოს მოზარდი, ჩამოუყალიბოს მას აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია და გამოძებნოს მის პიროვნებაში ყველა დადებითი ზნეობრივი თვისება.

ამგვარი აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

მასწავლებლებს ახალგაზრდობის შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის განსაკუთრებით მდიდარსა და მრავალფეროვან საზრდოს აწვდის ჰუმანიტარული სპეციალობები. მხატვრულად აღწერილი ჩვენი გმირული წარსული, ბედნიერი აწმყო და ნათელი მომავალი, სრულყოფილ და განმაზოგადებელ ტიპებად ქცეული წინაპრები შესაძლებლობას გვაძლევენ ახალგაზრდობას ჩამოვუყალიბოთ სწორი მსოფლმხედველობა, ჩაუნერგოთ მას სიკეთის, მეგობრობის, ურთიერთგაგების, ენისა და ქვეყნის სიყვარულის გრძნობა, მშვენიერების აღქმის უნარი, გამოუმუშაოთ მას აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია და შრომისადმი დადებითი დამოკიდებულება. ერთი სიტყვით, მოვამზადოთ ისინი ცხოვრებისათვის.

მასწავლებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, მისცეს მოსწავლეებს სწორი პროფორიენტაცია მათივე, როგორც პიროვნების, ინდივიდუალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, პროფორიენტაციისა კი დაეხმაროს ახალგაზრდას აირჩიოს თავისი უნარის, შესაძლებლობებისა და ინტერესებისათვის შესაფერისი პროფესია.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ეკითხულობთ: „სპეციალისტების დახმარებით შესაფერისი პროფესიის არჩევის უფლება ჩვენში კონსტიტუციურად არის გარანტირებული. ეს დახმარება განათლების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია და უმთავრესად ემყარება ანკეტურ მონაცემებს, დაკვირვებას, ახალგაზრდობასთან საუბარსა და მის პროფესიულ თემებზე შესრულებულ დავალებებს". (ქსე. ტ.8, 1984, გვ.217).

პროფორიენტაციის სწორად განხორციელების პირობაა სასწავლო პროცესსა და არასაგაკვეთილო დროის მონაკვეთში გაწეული მიზანმიმართული და სისტემატური მუშაობა.

დღევანდელ პირობებში მოსწავლეთა სწორ მეცნიერულ-პროფესიულ ორიენტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ეკონომიკური, არამედ მორალური თვალსაზრისითაც. საქმე ისაა, რომ ადამიანს ყველაზე დიდ მორალურ კმაყოფილებას პროფესიული წარმატება ანიჭებს. ეს კი, თავის მხრივ, ძირითადად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად აირჩია ახალგაზრდამ პროფესია. ჭეშმარიტებაა, რომ ახალგაზრდობის უნართა დიაგნოსტიკა და ზნეობრივი აღზრდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლებში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება მოსწავლეთა უნარისა და მიდრეკილებების კომპლექსურ შესწავლას. ბევრი ახალგაზრდა საშუალო სკოლას ისე ამთავრებს, რომ მასწავლებლებს მათს ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, შინაგან მოთხოვნილებებზე, ინტერესებზე, მისწრაფებებზე... ერთიანი აზრი არა აქვთ. ამიტომ აბიტურიენთა უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებსა თუ გასაუბრებებზე ვერ ამჟღავნებს ცოდნის მინიმუმსაც კი და, გარდა ამისა, ჩარიცხვიდან (თუ ჩაირიცხებიან!) გარკვეული დროის მონაკვეთის გავლის შემდეგ გულაცრუებულნი ტოვებენ სასწავლებლებს და, საერთოდ, თავს ეხებებენ როგორც სწავლას, ისე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასაც, რასაც სავალალო შედეგებამდე მიჰყავს ისინი.

მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილს ძალუძს თავის შესაძლებლობათა შესატყვისი პროფესიული მიმართულების დამოუკიდებლად არჩევა. გასათვალისწინებელია, რომ მავანთა

და მავანთა არაკომპეტენტურ დახმარებას (თუ რჩევას) სჯობს ახალგაზრდებმა თავად გაიკვლიონ გზა თავიანთი პროფესიული მოწოდებისაკენ. ამასთან დაკავშირებით მათ შევახსენებთ ა. ს. მაკარენკოს ფუძემდებლურ სიტყვებს: „შრომა მაშინ არის პიროვნების ნიჭის გამოვლენის ძირითადი ფორმა, როდესაც სხვა ჩვეებთან ერთად გაგვაჩნია ჩვეა, რომლის წყალობითაც არავითარი სამუშაო არ გვეჩვენება არასასიამოვნოდ, თუკი მას რაიმე აზრი აქვს." შრომა და მასთან დაკავშირებული მორალური ვალდებულებები (დისციპლინა, პასუხისმგებლობა, პატიოსნება, თავდადება, საკუთარი რწმენის შემუშავება და სხვ.) ისეთი ჰუმანური კატეგორიებია, რომლებიც ამაღლებენ პიროვნებას იმ მხრივ, რომ მას ცხოვრების ხალისსა და შინაარსს ჰმატებენ, უადვილებენ მიზნის მიღწევას.

მასწავლებელთა ძირითადი ამოცანაა სწავლა-აღზრდის პროცესის ისე წარმართვა, რომ მყარი ცოდნა მისცენ მოსწავლე-ახალგაზრდობას სასწავლო საგნებში, ჩამოუყალიბონ მას აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, დახვეწონ მისი ზნეობრივი სახე და ხელი შეუწყონ მის პროფესიულ ორიენტაციას ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.. მაგრამ, თუ არ გამოჩნდებიან ამ იდეით განმსჭვალული ჭეშმარიტი ადამიანები, მომავალი თაობის აღზრდის თავანკარა წყაროს ამღვრევის საშიშროება დაემუქრება.

იბადება კითხვა: ყველაფერს ვაკეთებთ კი იმისათვის, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობა ნათელი მომავლისათვის მოვამზადოთ?

ომის ქარცეცხლიან დღეებში იშვა ლოზუნგი: „ყველანი სამშობლოს დასაცავად!" დღეს კი აქტალურია ლოზუნგი: „ყველანი სკოლის დასახმარებლად!" რამეთუ ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული განვითარების ყელა პრობლემის

გადაჭრა სკოლის ბედზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით მასწავლებელზე, რომელიც უნდა იყოს კარგი ფსიქოლოგი და მრავალმხრივი განათლების მქონე, რომ აღზარდოს არა მარტო სათანადო ცოდნით შეიარაღებული და ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნება, არამედ შემოქმედებითი ჯროვნებითაც, რომელიც მოსწავლეს ჩაუნერგავს დაუოკებელ შრომისმოყვარეობას და შეამზადებს სისხლსავსე ცხოვრებისათვის.ქვეყნის მომავალი დღევანდელი ახალგაზრდობაა. მაგრამ როგორია იგი? ამაზე ერთმნიშვნელოვთანი პასუხი არ არსებობს: არიან კარგებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ გვერდით ბევრია სულიერად და ზნეობრივად გაძარცული და უსაქმურად მოხეტიალე. ამიტომ უნდა დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომ მძიმე სოციალური და მორალური სენისაგან ვიხსნათ ახალი ცხოვრების ასპარეზზე ახალგამოსული თაობა. მაგრამ როგორ მოვახერხოთ ეს? აი, ის ურთულესი პრობლემა, რომელიც მწვავედ დგას ჩვენ წინაშე და გონიერ გადაწყვეტას მოითხოვს, თუკი ერისა და მამულის გადარჩენა გვინდა.

ამ პრობლემაზე ამომწურავი პასუხის პრეტენზია არ გვაქვს (წერილის მოცულობის განსაზღვრულობის გამო), მაგრამ იმას კი აღვნიშნავთ, რომ აღზრდის სფეროში აუცილებელია შემობრუნება ზოგიერთი მივიწყებული ჭეშმარიტებისაკენ, რომლებიც გულისხმობს:

1. პატარაობიდანვე ფიზიკური და გონებრივი შრომის ბავშვის ცნობიერებაში ფიქსირება-განვითარებას.

2. აკვნიდან, საბავშვო ბაღიდან, პირველი კლასიდან ზნეობრივ ესთეტიკური იდეალებით ამაღლებული ხალხური მუსიკის გემოვნების აღზრდას.

3. მშობლიური ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე, სამშობლოს ისტორიის განსაკუთრებით მაღალ დონეზე სწავლებას, ურომლისოდაც ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდაზე ლაპარაკი წარმოუდგენელია.

4. იდეურად და ზნეობრივად მანკიერი კინო-ტელეფილმების ჩვენების კატეგორიულად აკრძალვას, რომლებიც დამღუპველად მოქმედებენ ჩვენი ახალგაზრდობის სულსა და გონებაზე. იგივე ითქმის მუსიკასა და სახვითი ხელოვნების ზოგიერთ პროდუქციაზე (პორნოგრაფიული სურათები და ნახატები). ერთი სიტყვით, ერთხელ და სამუდამოდ გასათვალისწინებელია, რომ არ შეიძლება ავავსოთ ქვეყანა უხამსი ერზაც-ხელოვნებით, რაც ზნეობრივად და ესთეტიკურად რყვნის ახალგაზრდობას და ამით საფუძველს უნგრევს ქართულ ეროვნულ სულსა და ცნობიერებას.

*რედაქციისაგან: ბ-ნ სანდრო გადილიას წერილში წამოჭრილი პრობლემები საჭირბოროტოა. ამ საკითხებზე მიზნობრივ კამათში გამოიკვეთება სწორი გზა, სწორად მოქმედებისა. ამიტომ მოუთმენლად ველით მკითხველთა, განსაკუთრებით სპეციალისტთა გამოხმაურებას, რომელთათვისაც ძვირფასია ქვეყნის მომავალი.*

მთავარი რედაქტორი: ჟ. სორდია

*„ლაზიკის ცისქვეშეთი", არნ. ჩიქობავას სახელობის სამეცნიერო ასოციაცია „ლაზიკას" საზოგადოებრივი, სამეცნიერო-პედაგოგიკური და ლიტერატურული გაზეთი, თებ., 1999 წ., №2. გვ.2.*

# საქართველოსა და ერის ხსნა ერთიანობასა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაშია

„ ოლხურ კოშკში“ მესამედ ვიმყოფები და ემონაწილეობ შიმშილობის იმ გრანდიოზული მასშტაბის აქციაში, რომელმაც მოიცვა სრულიად საქართველო და უკვე 85-ე დღეა, რაც მიმდინარეობს გარკვეული კატეგორიული მოთხოვნით: „გადადგეს ე. შევარდნაძე და მისი ხუნტა უპირობოდ!“

კოლხურ კოშკში თავი მოიყარა საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ჭეშმარიტად ამაღლებული ზნეობის მქონე ათასობით ადამიანმა (მათმა საერთო რიცხვმა 2500-ს გადააჭარბა), ვისთვისაც ძვირფასია: **თავისუფლება, მამული, ენა, სარწმუნოება.**

ჭეშმარიტად ბედნიერად ვრაცხ თავს, რამეთუ ჩემი ჭაბუკობის-დროინდელ სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა ახლოდან მაინც მეხილა ის კოლხური კოშკი, სადაც მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს დიდი ძალისხმევითა და რუდუნებით აჩუქურთმებდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის დიდოსტატი, ბ-ნი კონსტანტინე გამსახურდია, ხოლო საერთო იბერიულ-კავკასიური სახლის შექმნის გენიალურ იდეას კი აყალიბებდა სრულიად საქართველოს სახელოვანი მამულიშვილი ბ-ნი ზვიად გამსახურდია.

კოლხური კოშკი ისეთივე მნიშვნელობის წმიდათაწმიდა ადგილია ქართველი ერისათვის (და არა მარტო ქართველთათვის!) როგორიც მორწმუნე და მლოცველი მაჰმადიანებისათვის მექა, კათოლიკეთათვის კი—ვატიკანი (რომში).

იბადება კითხვა: ესოდენ რამ აღაშფოთა საქართველოს მოსახლეობა და რამ მიიყვანა იგი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ მოითხოვოს, უპირობოდ გადადგეს პრეზიდენტი და მისი ხუნტა?

ამ საჭირბოროტო და სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის მარტივად და ერთი ხელის მოსმით საფუძვლიანი ახსნა ჰატარა საგაზეთო წერილში ყოველად შეუძლებელია, მაგრამ მაინც შევეცდები ზოგადად წარმოვადგინო და ნათელი მოვფინო ამ რთულ საკითხს.

საქართველოსა და ქართველი ერის გარდაუვალ უბედურებას სწორედ მაშინ ეყრებოდა საფუძველი, როცა სლავური ეროვნების ნაშიერები საუკუნეების მანძილზე ველური სიჯიუტით ყოველი მიმართულებით მიილტვოდნენ, რომ ხელთ ეგდოთ და მიესაკუთრებინათ მეზობელთა მიწები. ეს იყო შეუქცევადი პროცესი, რომელიც განსაკუთრებით დამღუპველი აღმოჩნდა კავკასიელი ხალხებისათვის (განსაკუთრებით ქართველი ხალხისთვის) მე-18 მე-19 სს. ამ პროცესის ერთგვარი დაჯამება და დაგვირგვინება იყო სწორედ 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ხელშეკრულება (ტრაქტატი) აღმოსავლეთ საქართველოსა (ქართლ-კახეთი) და რუსეთს შორის (დამპყრობელი რუსეთი დაპყრობილ საქართველოს 200 წელზე მეტხანს „აზეიმებდა" ამ აქტს ს.ბ.). ერეკლე მეორის მიერ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯს ჰყავს როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგეც. ისტორიულ მეცნიერებაში დიდხანს გაბატონებული იყო ცალსახა აზრი, რომ „დიდ ბოროტებასა" და „პატარა ბოროტებას" შორის ერეკლე მეორემ აირჩია მეორე გზა. ფაქტი კი ჯიუტია: რუსეთი მოვიდა საქართველოში, ერთმორწმუნე ერის მფარველის საფარველით (სინამდვილეში კი როგორც დამპყრობელი—ს.ბ., და არასოდეს მოსვლია აზრად საქართველოსათვის გაჭირვებისა და ძნელბედობის ჟამს აღმოეჩინა რეალური დახმარება.

ოდითგანვე ათასი ჯურის დამპყრობლები (პართიელები, ირანელები, რომაელები, არაბები, თურქ-სელჯუკები, მონღოლები, სპარსელები და ოსმალები) მოდიოდნენ ცეცხლითა და მახვილით, თავს ესხმოდნენ საქართველოს, პერმანენტულად არბევდნენ, ანგრევდნენ კულტურის ძეგლებს, ძარცვავდნენ მოსახლეობას, მაგრამ მიდიოდნენ და აქ არ რჩებოდნენ; ერთადერთი გამონაკლისი გახლავთ დამპყრობელი რუსეთი, რომელიც მოვიდა საქართველოში ქრისტიანი მფარველის ტანსაცმელში გადაცმული. მაგრამ იგი ბოროტი გულითა და მზაკვრული ზრახვით შეპყრობილი, არც ამჟამად ფიქრობს დატოვოს ეს ქვეყანა, თუმცა რუსეთს დიდი ხანია რაც დაუმკვიდრდა ოკუპანტის სახელი და სტატუსი. ქართველი ერი კატეგორიულად მოითხოვს (გამონაკლისია მხოლოდ შევარდნაძის თვითმარქვია ხელისუფლება—ს.ბ.) მათი ე.წ. სამშვიდობო ძალების გაყვანას საქართველოდან. სწორედ ამას ესადაგება შოთა რუსთაველის

გენიალური გამონათქვამი: „მტერი მოყვარედ მოსული, მტერზედაც უარესია“.

ისტორიულად ცნობილია, რომ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, ალექსანდრე პირველმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას, რაც თავისთავად დასაწყისი იყო საქართველოს სხვა კუთხეების დაპყრობისა, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდა.

კავკასიის ხალხთა სრული დაპყრობა-გაძარცვის მზაკვრულ იდეას ატარებდნენ თავიანთს პროგრამებში დეკაბრისტებიც (მაგ., პავლე პესტელი). ამ გზაზე დამდგარმა რუსეთმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ბოლო მოუღო კიდეც კავკასიელთა თავისუფლებას. თავისუფლების მოყვარე ქართველი ერი არასდროს შეგუებია დამპყრობლის მონურ უღელს და 117-წლიანი გმირული ბრძოლების შედეგად მოიპოვა კიდეც (1918 წ. 26 მაისი) დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება, მაგრამ სამი წლის შემდეგ (1921 წ. 25 თებერვალი) რუსეთის იმპერიული ძალების მიერ იგი გაუქმებულ იქნა, რაშიც ლომის წილი უდევთ ქართველ რენეგატებს ი. ბ. სტალინსა და ს. ორჯონიკიძეს (დამპყრობელი ყოველთვის მარჯვედ იყენებდა გამანქურთებულ ქართველებს ქართველების წინააღმდეგ—ს.ბ.)

70 წლის განმავლობაში გმინავდა და სულიერადაც იტანჯებოდა ქართველი ერი საბჭოთა იმპერიაში შემავალ სხვა ერებთან ერთად ჩრდილოელი „თეთრი დათვის“ სისხლიან კლანჭებში.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში დიდი ილიას მეთაურობით და მე-20 საუკუნის 70-იან 80-იან წლებში კი ამ მოძრაობის პატრიარქის ზვიად გამსახურდიას და სულმნათი მერაბ კოსტავას თაოსნობით მძლავრად აზვირთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამის დასტურია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია და შემდგომში მომხდარი ისტორიული მოვლენები. ამ მოძრაობის სული და გული გახლდათ ახალგაზრდობა, რომელსაც ამოძრავებდა ერისა და მამულისადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოგვცა ბოროტების იმპერიასთან უკომპრომისო ბრძოლის ბრწყინვალე და სწორუპოვარი

მაგალითები ზვიად გამსახურდიასა და სულმნათ მერაბ კოსტავას თაოსნობით.

ქართველი ერის სანუკვარ ოცნებას თავისუფლების მიღწევისა და დამკვიდრების შესახებ ფრთები შეესხა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როცა მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შედეგად, ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული ძალები და ეროვნული მთავრობა. ამას მოჰყვა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და მის საფუძველზე მიღებული 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი და საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის საფუძველზეც ქვეყნის მოსახლეობის 87%-მა საქართველოს პრეზიდენტად აირჩია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი და მებაირახტრე ბ-ნი ზვიად გამსახურდია.

დამსხვრეული საბჭოთა იმპერიის ბნელ ძალებს მოსვენება დაეკარგათ ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა კავკასიაში, ბალტიისპირეთში... ავისმზრახველი ორთავიანი არწივი სიცრუისა და ბოროტების ქსელს ქსოვდა, კრემლში თავს უყრიდა სატანურ ძალებს თავისუფლებამოპოვებული ერების ხელახლა დასაპყრობად და დასათრგუნად. ამის დასტურია საქართველოში დატრიალებული ავბედითი ამბები.

1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვარში ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში დაიწყო და ვანდალური მეთოდებით განხორციელდა კრემლის მიერ დიდი ხნის წინათ დაგეგმილი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება, რომლის მიზანი იყო კანონიერი ხელისუფლების დამხობა და საქართველოს დამოუკიდებლობის დასამარება. ბოროტმა და ბნელმა ძალებმა იმპერიის ემისრისა და რენეგატის ე. შევარდნაძის, გამანქურთებული ქართველების:—თ. სიგუას, თ. კიტოვანის, ჯ. იოსელიანისა და იუდასადმი სულმიყიდული წითელი ინტელიგენციის:—ხელით მოახერხეს იარაღით დაემხოთ ეროვნული ხელისუფლება. საქართველოში დამყარდა სამხედრო დიქტატურა და დაკანონდა აუტანელი პოლიციური რეჟიმი., რომლის აშკარა გამოხატულებაა: ძალადობა, ტერორი, შანტაჟი, კორუფცია, სახელმწიფო აპარატის გამყიდველობა, უხნეობა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მანკიერებანი.

საქართველოში იარაღის ძალით, სისხლითა და ტერორით დამკვიდრდა თვითმარქვია ხელისუფლება უზურპატორისა და დიქტატორის, ე. შევარდნაძის მეთაურობით, რომელიც ხელდასხმულია კრემლის მიერ. ამჟამად საქართველო არის მარიონეტული ქვეყანა, რომელსაც მართავს (უფრო სწორად ტანჯავს და იმონებს!.) უკანონო, თვითმარქვია ხელისუფლება, რამეთუ იგი ატარებს ანტიეროვნულ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია თავისუფალი აზროვნებისა და ქრისტიანული სულის ჩაკვლა ქართველ ერში. საუბედუროდ, ასე აღმოჩნდა მრავალტანჯული საქართველო უკვე მერამდენედ გაყიდული და ამირანივით ბორკილდადებული რუსებისა და გამანქურთებული ქართველების მიერ, რენეგატი ქართველების გონებაშეზღუდულობისა და ბოროტების წყალობით.

უნებლიედ მახსენდება ერთი ეპიზოდი კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენიდან", სადაც ტყეში მომაკვდავი მეფე გიორგი ეუბნება პიპას: „...ჩვენი უბედურებაც ეგაა პიპა, მოღალატენი მუდამ სჭარბობდნენ ერთგულებსა და თანამდგომებს, საკუთარი თავისა და ქვეყნის მოღალატენი... მთელმა ერმა თუ გამარჯვება არ ისურვა მაკედონელიც ვერ გაამარჯ ვებინებს".

რენეგატ ე. შევარდნაძისა და ერის მოღალატე ხუნტის საქართველოში რვაწლიანი მოღვაწეობის „ბრწყინვალე" შედეგია: **დანგრეული ეკონომიკა, გაყიდულ-გასხვისებული საქართველოს ძირძველი კუთხეები** (ცხუმ-აფხაზეთი, სამაჩაბლო), **საკუთარი საცხოვრისიდან განდევნილი 350 ათასი ლტოლვილი, ლუკმა-პურის საშოვნელად, უსახსრობისა და უსამართლობის ნიადაგზე *გადახვეწილი 1 მლნ. შვიდასი ათასი ადამიანი, დაკნინებულგადაგ- ვარებული ზნეობა და სხვ.***

ე. შევარდნაძის კისერზეა უმძიმესი ცოდო-ბრალი საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენებისა, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, როგორც აფხაზეთიდან ლტოლვილმა პირმა, მინდა ხაზი გავუსვა მხოლოდ ერთ მომენტს აფხაზეთში მომხდარ ძმათამკვლელ ომთან დაკავშირებით.

1992-93 წ.წ. 14 აგვისტოდან 27 სექტემბრამდე საქართველოს შემადგენელ ძირძველ კუთხეში ცხუმ-აფხაზეთში მიმდინარეობდა კრემლის მიერ ინსპირირებული ძმათამკვლელი ომი, რომელიც

საინფორმაციო საშუალებების მიერ მოინათლა ეთნოკონფლიქტის ნიადაგზე წარმოშობილ საქართველო-აფხაზეთის ომად. სინამდვილეში კი ეს იყო რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელი ომი, რომელსაც უნდა მიეცეს სწორი კვალიფიკაცია და ისტორიულ მეცნიერებაში დაფიქსირდეს რუსეთ-საქართველოს ომის სახელით. დაგომისში, სოჭში და მოსკოვში დადებული მზაკვრული გარიგებები, სწორედ ამის პირუთვნელი მოწმე და დადასტურებაა.

ამ ომში „უმაღლესი მთავარსარდალი" ე. შევარდნაძე ხალხს „ვაუკაცურ" სიტყვას აძლევდა, რომ აფხაზეთში ომის კერას ჩააქრობდა და ნანატრ მშვიდობას დაამკვიდრებდა. მოხდა კი პირიქით, ომი სამარცხვინოდ წაგებულ იქნა, ხოლო მოსახლეობა კი დეპორტირებული. ამჯერად, (როგორც ყოველთვის—ს.ბ.) მარიონეტი ე. შევარდნაძე გაუბედურებულ ხალხს წარმოუდგა როგორც ორსახოვანი იანუსი. მოხდა ის, რა საშიშროებაზეც თავის დროზე გვაფრთხილებდა და წინასწარმეტყველებდა ბატონი ზ. გამსახურდია (დაიკარგა არა მარტო ცხუმ-აფხაზეთი, არამედ სამაჩაბლოც). ე. შევარდნაძის უსუსურმა ხელისუფლებამ განახორციელა საქართველოში კრემლის ოდინდელი ოცნება „საქართველო უქართველებოდ". ეს იყო ქართული გენოფონდის უმოწყალო განადგურება. ამით მან გადააჭარბა საქართველოს დაუძინებელ მოსისხარ მტრებს: მურვან-ყრუსა და ჯალალ ედ-დინს, თემურ-ლენგსა და ჩინგიზ ყაენს, შაჰ-აბას პირველსა და ალა-მაჰმად ხანს...

პირდაპირ საკვირველია, რომ თვითმარქვია ხელისუფლებამ წაგებულ ომში გაუმართლებლად დააწესა ვახტანგ გორგასლის ორდენი (ეს დიდი წინაპრის სახელის შელახვაა მხოლოდ—ს.ბ.) და იგი უხვად დაურიგა მათ, რომელთა უმრავლესობაც დღეს ციხეში იხდის სასჯელს, ასევე გაუმართლებლად მიენიჭათ უმაღლესი სამხედრო წოდებები (პოლკოვნიკი, გენერალი) იმ პირთ, რომლებიც არაფრით იმსახურებდნენ ამას. სწორელდ ეს გახლავთ დანაშაული ერისა და ქვეყნის წინაშე, არამედ ესაა ერთგვარი ცინიზმი მათ მიმართ. აქ უკვე ნათლად იკვეთება ნამდვილი სახე იმისა, თუ ვინ ვინ არის!

მრავალჭირნახული საქართველოს მოსახლეობა დღეს მისულია სიღატაკის პირამდე, (უფრო სწორად უფსკრულის პირამდე, რამეთუ: არ უბრუნებენ თავის საკუთარ საცხოვრის კუთხეს, მოსამსახურეებს

არ აძლევენ ისედაც მათხოვრულ ხელფასს, მოხუცებსა და ინვალიდებს კი პენსიას, არ აწარმოებენ გამათხოვრებული მოსახლეობის მიერ სხვადასხვა ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციას, ურცხვად ითვისებენ საზღვარგარეთიდან ლტოლვილებისათვის გამოგზავნილ მატერიალურ დახმარებათა უდიდეს ნაწილს და სხვ. ყოველივე ამის გამო მოსახლეობა უსაზღვროდ უკმაყოფილოა და აშკარად გამოხატავს თავის გულისწყრომასა და პროტესტს საქართველოში არსებული ანტიეროვნული, კრიმინალური რეჟიმის მიმართ.

არსებული კატასტროფული მდგომარეობის დარეგულირების და ჩიხიდან გამოსვლის ნაცვლად, ე. შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების ჯალათები ვერაგულად, რკინის ხელკეტებით და ე.წ. ნაგაზებით დასდევენ და ურცხვად „უმასპინძლდებიან" იმათ, ვინც გაბედავს სიმართლის თქმას და იმაზე მაღლა დადგომას, რაც განსაზღვრულია ე.წ. პრეზიდენტის ე. შევარდნაძის სკიპტრით.

თვითმარქვია, უკანონო ხელისუფლებამ, რომელსაც ხელი აქვს გასვრილი თანამემამულეთა უმანკო სისხლში, ყოველივე ზემოთთქმულის გამო პასუხი უნდა აგოს კანონის მთელი ძიმკაცრით, ღვთისა და გაუბედურებული ხალხის წინაშე.

იარაღის ძალით მოსული ე. შევარდნაძის უსუსური ხელისუფლება გამალებით ემზადება მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. ხუნტის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (პრესა, ტელევიზია, რადიო...) პომპეზურად უწევენ პოპულარიზაციას ამ ამ უკანონო არჩევნებს, რითაც ეწევიან ერის წინაშე აშკარა დემაგოგიას, და ცდილობენ ერთხელ კიდევ გამოუვალსა და გამოუსწორებელ შეცდომაში შეიყვანონ მასები. ისინი დიდი რიხით აცხადებენ, რომ მომავალ არჩევნებში გარანტირებული ექნებათ სრული გამარჯვება. მხატვრულად რომ ვთქვათ, „ისინი დავობენ იმ დათვის ტყავზე, რომელიც ჯერ არ მოუკლავთ" (ნამდვილად სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!..). სწორედ ესაა ერის აბუჩად აგდება, თვალებში ნაცრის შეყრა. უფრო მეტიც: სულში ჩაფურთხებაც.

ქართველი ერი ოდითგანვე ცნობილია, როგორც თავისუფლებისმოყვარე და დაუმონებელი. თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მას უამრავი შინაური თუ გარეშე მტერი დაუმარცხებია და მონობის უღელს არ შეგუებია. საქართველოში

ღღესაც გრძელდება უკომპრომისო ბრძოლა უკანონო ხელისუფლების წინააღმდეგ. ერი ერთგული რჩება რუსთველის ღრმააზროვანი აფორიზმისა: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

თვითმარქვია უკანონო ხელისუფლებას ვერ ძალუძს: **საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ეკონომიკური კატასტროფიდან ქვეყნის გამოყვანა, ქრისტიანული და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება** და მართვა, რამეთუ იგი უკანონოა და უსუსურია ზნეობრივად, იურიდიულად, პოლიტიკურად და ამდენად რეალური საფუძველი არ გააჩნია.

ე. შევარდნაძის სამხედრო-პოლიციურ-კრიმინალური რეჟიმი მოქმედი ვულკანის თავზე დგას, მის თავზე კი „დამოკლეს მახვილი“ ჩამოკიდებული (ე.ი. მესიის მახვილი—ს.ბ.), ეს ძლევამოსილი ძალები უსათუოდ დაამხობენ საქართველოში სატანის უფლებამოსილებასა და ბოროტებას, რამეთუ მე-5 საუკუნის სახელგანთქმული ფილოსოფოსის, პეტრე იბერის, თქმით: „ბოროტება არ არსია, ხოლო სიკეთე არსის მქონეა“ რუსთველიც ხომ გენიალურად ღაღადებს და გვმოძღვრავს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

იარაღის ძალით დამკვიდრებულ თვითმარქვია ხელისუფლებას, ალბათ, პგონია, რომ ეროვნული ძალები ერთობ მცირეა და იგი ვერ შეძლებს მის დამხობას. ასე ტრაფარეტულად მოაზროვნეებს მინდა შევახსენო ის ჭეშმარიტება, რომ ურიცხვ მტერთა წინააღმდეგ თავდადებულ ბრძოლაში სამი პიროვნების (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი) გმირულმა შემართებამ დაამხო ბოროტების სიმბოლო—ქაჯეთის ციხე.

ქართველი ერი ბოროტებას ქედს არ მოუხრის და არ დაემონება. იგი არ იელის ე. შევარდნაძის (ცრუ გიორგის—ს. ბ.) მიერ ნაჩვენები გზით, არ გაპყვება ბარაბას გზას, რამეთუ ერის სამოქმედო და საბრძოლო ორიენტირი გადის ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას იდეაზე, ვინაიდან იგი არის ჭეშმარიტი, ქრისტესმიერი გზა. ამ უკომპრომისო ბრძოლაში ჩვენ გვაერთიანებს ლეგენდარული კოლხური კოშკი—თავისუფლების სიმბოლო და ციტადელი, ზვიადის მიერ აქ ჩამოყალიბებულ-დასაბუთებული საერთო იბერიულ-კავკასიური სახლის

მშენებლობის გენიალური იდეა, რომელსაც დღეს არნახული და გასაოცარი წარმატებით და ვაჟკაცობით ახორციელებენ ჩრდილოეთ კავკასიის, ჩეჩნეთისა და დაღესტნის, თავისუფლებისმოყვარე ხალხები. ქართველი ერი და კოლხური კოშკის მოშიმშილეთა აქციის წევრები მიესალმებიან და მორალურ თანადგომას უცხადებენ მათს გმირულ შემართებასა და ვაჟკაცურ ბრძოლას ბოროტებისა და ძალადობის წინააღმდეგ.

კოლხურ კოშკში მიმდინარე მოშიმშილეთა აქციის მონაწილეთა სახელით ასე მივმართავ სრულიად საქართველოს შეგნებულ და სამართლიანობისმოყვარე ხალხს: მეგობრებო, დანო და ძმანო! შემოუერთდით ტირანიის წინააღმდეგ ჩვენს სამართლიან ბრძოლას, გვეყო უმოქმედობა, მცონარობა და საღათასეული ძილი, რომელსაც დიდი ილია ასე დასტიროდა: „ო. ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება". უკვე დროა გამოერკვიოთ და გააცნობიეროთ ის, თუ რა საშიშროება ელის ერსა და სამშობლოს. თქვენ უნდა იხსნათ იგი საშინელი კირთებისაგან, მონობისა და გადაგვარებისაგან. მონა და მონობა საზიზღარი მცნებაა თავისთავად, ხოლო ქართველი მონა—ორჯერ უფრო საზიზღარი. როგორც ბ-ნი ზვიადი იტყოდა ხოლმე; „ქართლოსიანნო, ნუ გახდებით მონები კაცთა!"

უფლის შეწევნითა და წმინდა გიორგის თანადგომით, უნეტარესი მარიამ ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს ლოცვა-კურთხევით ჩვენ ჭეშმარიტად დავამარცხებთ ბოროტებას (სატანას), მოვიპოვებთ გამარჯვებას და ეროვნული ხელისუფლების აღდგენის შემდეგ ღვთიმსმშობლის წილხვედრი საქართველო (იბერია) კვლავ გაბრწყინდება.

### სანდრო გაფილია

*„კოლხური კოშკი" (თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი), 16-21 სექტემბერი, 1999 წ., №2, გვ. 8-11.*

# მჯერა, ასეა

*(ექსპრომტად ბ-ნ ს. გადილიას)*

ქვენს ლექსებში რწმენა ზეობს,
მხიბლავს მისი ნათება,
თვით სტროფებში იქარგება
თქვენი სატრფოს ხატება.

ნუთუ თქვენმა სიყვარულმა
სხვაგან ჰპოვა სავალი?!
სხვისი სულის სანთლად იქცა
ის მზე ამომავალი?

მჯერა, თქვენი მოლოდინი
კვლავ იქცევა ზვირთებად;
მოვა სათნო... რომ განკურნოს
თქვენი სულის კირთება.

*ნელი გელანტია,*
*პედაგოგი.*

# დავიბრუნებთ, რაც დავკარგეთ!

*ბ-ნ სანდრო გადილიას*

ერვინ შეძლებს აფხაზეთის წართმევას,
აფხაზეთით ჩვენ ერთნი ვართ მთლიანად,
მჯერა მალე მზე ამოვა, დათბება,
მოშუშდება გულთა ჩვენთა იარა!

ჩვენ რწმენა და ჯილაგი გვაქვს ისეთი,
არ გვჭირდება ერთმანეთის გაცნობა,
ცხუმის გზაზე დაღლილ მოძმეს გიცქერდი
და ვლოცავდი ქვეყნად კაი კაცობას!

ომგამოვლილს მე ღვიძლი ძმა გიწოდე,
ერთმანეთის ჭირი გავიზიარეთ...
დავიბრუნებთ, რაც დავკარგეთ, იცოდე,
მოვიშუშებთ მარილწყლიან იარებს!

*გურამ ახალაია,*
*(„საქართველო იყოს თავისუფალი“, თბ., 1995, გვ. 16-17).*

# უსამართლობასთან მორკინალი რაინდი

ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში არცთუ იშვიათად გაიგონებთ: „დუხჭირმა ცხოვრებამ შეცვალა ადამიანები.“ ამას ვერ დავეთანხმები, რამეთუ ჭეშმარიტ მამულიშვილებს ვერც დუხჭირმა ცხოვრებამ და ვერც აუტანელმა ტანჯვა-წამებამ შეუცვალა მამულისა და ერისათვის თავგანწირვის სულისკვეთება.

მაშ, რა ხდება, რამ შეცვალა ადამიანი და ისიც ქართველი?! განსაკუთრებით მარქსიზმ-ლენინიზმის ბოლოდროინდელმა ე. წ. მოდერნიზებულმა უღვთო იდეოლოგიამ, რომელმაც ადამიანს წაართვა სულიერი ფასეულობები, ხოლო მავანთა და მავანთა მატერიალური კეთილდღეობა (განცხრომით ცხოვრება) წამოსწია წინა პლანზე. როგორც დიდმა ილიამ ბრძანა, სულიერ ფასეულობათა სამი ძირითადი საუნჯის—მამული, ენა სარწმუნოების—დაკარგვა ადამიანს ოთხფეხა ცხოველად აქცევს, ასეთ ცხოველთა საკრებულოს კი ნახირი ჰქვია.

განცხრომით მცხოვრებ მავანთა და მავანთა ბოროტებით ნამოქმედარი უფრო ჩანს, ვიდრე უმრავლესობათა მიერ ჩუმად და დაუმადლებლად ნაკეთები სიკეთე. საბედნიეროდ, ბოროტებასა და ბოროტთა ნამოქმედარს უმოკლესი დრო აქვს, ვინაიდან სიკეთის მთესველს უფალი იფარავს და, რაც მთავარია, ეხმარება ბოროტთა და ბოროტების დათრგუნვაში. ბოროტების დათრგუნვა და სიკეთის გამარჯვება მაშინ არის მიღწევადი, როდესაც კეთილნი იწყებენ ბოროტთა მხილებას. ეს საწინდარია ბოროტების წინააღმდეგ სიკეთის აღზევებისა და მისი საბოლოო დამარცხებისა.

დიდი არმიის—ერის უდიდესი ნაწილის—ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად მიმაჩნია ბ-ნი სანდრო გადილია თავისი ოჯახის წევრებთან ერთად. მათ ძვალ-რბილში აქვთ გამჯ

დარი უსაზღვრო სიყვარული პედაგოგის პროფესიისა. ამიტომაც ბ-ნი სანდრო გადილია, აფხაზეთიდან დევნილი და ათას ჭირვარამგამოვლილი, დინჯად დააბიჯებს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის—სენაკის—ქუჩებში. ის დადის დინჯ ად და წელგამართული, რამეთუ მან მთელი თავისი ცხოვრების გზა კეთილსინდისიერად განვლო. მას, როგორც აფხაზ სეპარატისტთაგან დევნილს, ტანჯვა-წამების ათი წლის განმავლობაშიც წამითაც არ დაუყრია ფარ-ხმალი და მედგრად ებრძოდა და ებრძვის ფარისევლებს, ცრუ პატრიოტებსა და მლიქვნელებს. იგი ურჩხულთან, ანუ უსამართლობასთან მებრძოლი რაინდია. უნებლიედ გვახსენდება (ამ მომენტთან მიმართებაში) მარტინ ლუთერის განაცხადი: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

ბ-ნ ს. გადილიას ლექსების კრებულებში „კოლხის სულის ნაჟური“ და „რაინდულო საქართველოვ, აღდექ!“ ვერ შეხვდებით ვერც ერთ შიშნარევ ფრაზას. ამბობს სიმართლეს და არ კარგავს იმედსა და რწმენას იმისას, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში აუცილებლად აღდგება კანონიერება, იმ ეროვნული იდეებითა და მრწამსის სულისკვეთებით, როგორიც ეს საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას ჰქონდა ჩამოყალიბებული.

ბ-ნ სანდროს უღრმეს მადლობას ვუხდი, როგორც ბოროტებასთან უკომპრომისოდ მებრძოლ პიროვნებას.

რაც შეეხება მის ლექსთა მეორე კრებულს, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ბ-ნი ჟორა სორდია ისეთ დადებით შეფასებას აძლევს, რომ ვერაფერს დავამატებ.

*დიმა სინჯარაძე,*
*ექიმი, საქართველოს*
*ჟურნალისტთა*
*ფედერაციის წევრი.*

# რწმენა

ამ ავბედით გეგმური გადასახლების ჟამს (1949 წ.) დოშაყელები (მარტვილის რაიონი) მთლიანად გადაასახლეს აფხაზეთში, კერძოდ, სოფელ შრომაში. გადასახლებულთა შორის იყო იულონ გადილიას ოჯახი. სოფ. შრომაში დამკვიდრდა მისი ოთხი ვაჟი: *აბესალომი, ბაგრატი, ვახტანგი და სანდრო*, რომელთა შორის უმცროსი სანდრო მესამე კლასის მოსწავლე იყო. სანდროს დღემდე ტკბილ მოგონებად დარჩა ის დღეები, როცა ლებარდეს ჰავით გალაღებული ფეხშიშველა დარბოდა კოწიის ულამაზეს მთაგორებზე, დღეს კი აფხაზეთია მისი მოუშუშებელი ტკივილი: ვერა და ვერ შერიგებია საქართველოში იარაღის ძალით მოსულ ხელისუფლებას, რომელსაც დღემდე არათუ ვერ მოუგვარებია ერთიანობის საკითხი, არამედ თავისი ინერტულობითა და დროის გაუმართლებელი გაწელვით თითქოს შეჩვევის პოლიტიკას ამკვიდრებს გაუბედურებულ მოსახლეობაში.

ბ-ნი სანდრო არის საქართველოს ადამიანის უფლებათა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის სენაკის რაიონის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ფონდის სამეგრელოს სამხარეო ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე.

სანდრო გადილია ამჟამად ცხოვრობს სენაკში, მუშაობს საშუალო სკოლაში (აფხაზეთიდან დევნილთა სკოლა) ისტორიის მასწავლებლად.

ბ-ნმა სანდრომ 1962 წელს დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1979 წელს კი—ამავე უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მას, როგორც მაძიებელს, ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმი საქართველოს ისტორიაში. არის აფხაზეთის დამსახურებული და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულია: წერს ლექსებს და ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებში.

მთავარი მაინც ისაა, რომ ბ-ნ სანდროს ოჯახი პედაგოგთა ოჯახია. სხვათა შორის, ოთხი ძმიდან მხოლოდ ერთი, ბაგრატ გადილია, იყო განსხვავებული პროფესიისა (აგრონომი). აბესალომი ფილოლოგიის

მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტია, ლექციებს კითხულობს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. ვახტანგი ბიოლოგია, 15 წლის განმაელობაში ბრძანდებოდა შრომის საშუალო სკოლის დირექტორი, ამჟამად პენსიაზეა. ცხოვრობს ქ. თბილისში.

ბ-ნ სანდროს სამი შვილიდან თებრონე (ხათუნა) და თეიმურაზი (ბაჩანა) პედაგოგები არიან. თებრონემ წარჩინებით დაამთავრა სოხუმის ცოტნე დადიანის სახელობის ჰუმანიტარული ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ჰყავს მეუღლე თენგიზ კვარაცხელია და შვილები: ლიკა და ლერი. თეიმურაზმა დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სოხუმის ფილიალის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი ფიზკულტურის განხრით, თორნიკე კი ეკონომისტია (დაამთავრა აკად. ა. კუჭუხიძის სახელობის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი).

გადილიების ოჯახისთვის პედაგოგის პროფესია სულიერი მოწოდებით შერჩეული არის, რაც ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ქ-ნმა ი. ჯალაღონიამ, ბ-ნ სანდროს მეუღლემ, დაამთავრა თბილისის სამედიცინო სასწავლებელი (წლების განმავლობაში მუშაობდა აფხაზეთის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ბავშვთა ქირურგიის მედდად), შემდეგ კი—ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი და ამჟამად ქ. სენაკში, აფხაზეთიდან დევნილთა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელია.

დიახ, ცხოვრობს სენაკში ბ-ნი სანდრო გადილიას შესანიშნავი ოჯახი, რომლის საეიზიტო ბარათია კეთილსინდისიერება, წმინდა ეროვნული სულისკავეთება და რწმენა იმისა, რომ საქართველოში აუცილებლად აღდგება კანონიერება, სამართალი გაიმარჯვებს უსამართლობაზე, კეთილი—ბოროტზე და კვლავ ერთიანი ძალით იგუგუნებს ჰანგი „აუჩხბედნიერის," „ლილეოსი" და მრავალჟამიერისა.

*გული ქირცხალია,*

*(წიგნიდან: ლეილა ლემონჯავა-ხოშტარია, „სამეგრელოო ჩემო...", I., გამომცემლობა შურობუმუ", ქუთაისი, 2000 წ., გვ. 158-160).*

## სანდრო გადილია – 65

სანდრო იულონის ძე გადილიას დაბადების 65-ე წელი შეუსრულდა.

დაიბადა 1939 წლის 2 აპრილს მარტვილის რაიონის სოფ. კიწიაში.

1946 წელს შევიდა კიწიის საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობდა 1949 წლამდე. 1949 წლიდან სწავლა განაგრძო სოხუმის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლაში, რომლის სრული კურსი დაასრულა ვერცხლის მედალზე 1957 წ. საშუალო სკოლაში მას ბევრი ცნობილი პიროვნება ასწავლიდა, მათ შორის: ნიკოლოზ ხოფია—პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი (მათემატიკოსი); აბესალომ გადილია—აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ლექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; შალვა სიგუა—აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი; ვენერა მანია—აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი და სხვ.

1957 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1962 წელს. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი და საზოგადოებრივ- სასარგებლო შრომითს საქმიანობაში. 1958 წ. როგორც მოხალისე, იმყოფებოდა ყამირზე, ყაზახეთის რესპუბლიკაში, სადაც მონაწილეობდა ყამირი მიწების ათვისებაში. აქ მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდა

|სრკ პრეზიდიუმის მიერ დაწესებული მედლით „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ (1958 წ.).

ს. გადილია 1962-1993 წლებში მუშაობდა სოხუმის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლის ისტორია-საზოგადოებათმცოდ- ნეობის მასწავლებლად, შეთავსებით, 1974-1978 წლებში სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში ისტორია-სამართალმცოდნეობას ასწავლიდა.

მომავალი თაობის აღზრდაში გაწეული უანგარო ღვაწლისათვის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 1982 წელს მიენიჭა |„მასწავლებელ-მეთოდისტის“ წოდება, ხოლო 1990 წელს—აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

1978 წელს ს. ი. გადილიამ, როგორც მკვლევარ-მაძიებელმა, ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული გამოცდები, საქართველოს ისტორიის სპეციალობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

1978-1980 წლებში დაამთავრა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სახალხო განათლების ისტორია აფხაზეთში 1921-1931 წწ. (სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისტორის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ა. კუპრავა).

1980-1981 წლებში შეთავსებით მუშაობდა ქ. სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში, ფილოსოფიის კათედრაზე, ეთიკისა და ესთეტიკის საგნის ლექტორად.

აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების შემდეგ (1993 წლიდან დღემდე) მოღვაწეობს ქ. სენაკში, აფხაზეთიდან დევნილთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ისტორია-სამართალმცოდნეობის მასწავლებლად.

1993 წლის აპრილში ს. გადილია მიიწვიეს საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის სენაკის ფაკულტეტზე ლექტორად, სადაც კითხულობდა „ფილოსოფიის საფუძვლებს".

საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 1997 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით ს. გადილია აირჩიეს საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის დოცენტის თანამდებობაზე, ხალო 2002 წლის 1 მარტს—პროფესორის წოდებაზე.

1998 წლის ოქტომბერში, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული ატესტაციის შედეგების მიხედვით, საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა უმაღლესი საკვალიფიკაციო კატეგორია.

რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა ს. გადილიას მეთოდიკური ხასიათის სტატიები ისტორიის სწავლების პრობლემურ საკითხებზე. მეცნიერული სტატიების ნაწილი ბოლო წლებში, დაიბეჭდა სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის (რექტორი *ჯ. ცააკა*) სამეცნიერო შრომების კრებულებში. თავისი ნაღვაწი მას სისტემატურად გააქვს პედაგოგიურ სამსჯავროზე: ხშირად მონაწილეობს რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვებში, კონფერენციებზე. ქართულ ცენტრალურ პრესაში წლების მანძილზე სისტემატურად იბეჭდებოდა მისი მეთოდური ხასიათის

წერილები მოსწავლე-ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდაზე, ოჯახისა და სკოლის როლზე პიროვნების ფორმირების საქმეში და ა. შ.

ბატონი სანდროს მოსწავლეები და სტუდენტები ყოველწლიურად მონაწილეობენ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითს ოლიმპიადაზე, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე და გარკვეულ წარჩატებებსაც აღწევენ.

ნიშანდობლივია, რომ ის მთელ თავის შემოქმედებით ძალებს, ცოდნას, ენერგიასა და გამოცდილებას ახმარს მოსწავლეთა აღზრდასა და ცხოვრებისათვის მომზადებას. მან თავი გამოიჩინა, როგორც ქართული უმაღლესი სკოლის ბედით სისხლხორცეულად დაინტერესებულმა, საგნის საუკეთესო სპეციალისტმა, ერუდირებულმა და დახელოვნებულმა პედაგოგმა. მან თავისი თავდადებით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, განსწავლულობითა და გულისხმიერებით ყველას პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. იგი 42 წელია, რაც უმწიკვლოდ ემსახურება მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საშვილიშვილო საქმეს.

ბ-ნი სანდრო სიამოვნებით 'უზიარებს თავის გამოცდილებას ახალბედა პედაგოგებს. ეამაყება, რომ ბევრი აღზრდილი ჰყავს, ბევრს შეაყვარა კიდეც თავისი პროფესია. მის მიერ ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე აღზრდილ მოწაფეთა და სტუდენტთა ლაშქარი ორი ათას კაცს აღემატება. ეს არის ერის სადიდებლად დანთებული ორი ათასი ცოდნის ლამპარი...

იგი, ჭეშმარიტად, ახალგაზრდობის მეგობარია, მუდამ მათ შორის ტრიალებს, ცხოვრობს მათი ცხოვრებით, არის უფაქიზესი გულისა და განცდის პიროვნება, გულისხმიერი, სიკეთით სავსე, შეუვალი და პრინციპული.

ს. ი. გადილია გამოირჩევა პედაგოგიური თავმდაბლობით, მონდობილი საქმის კეთილსინდისიერი შესრულებით.

მისი ნაშრომი: „როგორ ვიყენებ დოკუმენტურ მასალებსა და მხატვრულ ლიტერატურას საქართველოს ისტორიის სწავლებისას საშუალო სკოლაში", მოწონებულია კომისიის მიერ და, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, წარდგენილია მასწავლებელთა 39-ე რესპუბლიკურ პედკითხვაზე ქ. თბილისში.

ბ-ნი სანდრო პოეტურ შემოქმედებაშიც ნიჭმომადლებულია: ლექსები მისი სულიერი სამყაროს განუყოფელი ნაწილია. იგი უმღერის სიკეთესა და სიცოცხლეს, სინათლესა და რწმენას. ეს ლექსები, როგორც მშვენიერების საგალობელი, წარმატებით იბეჭდებოდა სტუდენტობის პერიოდიდან დღემდე და ამჟამად კი—ქვეყნდება რესპუბლიკის სხვადასხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. 2002 წ. დაიბეჭდა მისი ლექსების პირველი კრებული „კოლხის სულის ნაჟური". ხოლო წელს (2004 წ.) დაიბეჭდა პოეტის ლექსებისა და წერილების მეორე კრებული „რაინდულო სქართველოვ, აღდექ".

ბატონ სანდროს მუდამ ამშვენებს ჯანსაღი და სტუმართმოყვარე ოჯახი. ჰყავს სამი შვილი:

თებრონე (ხათუნა)—პედაგოგი, თეიმურაზი—უნივერსიტეტ დამთავრებული (ფიზიკური კულტურის სპეციალობით), თორნიკე—ეკონომისტი.

ღვთის მადლით დადის ქალაქში მთასავით შეეერცხლილი კაცი, რომელსაც დააქვს გულით ზღვა სიყვარული და ათასი საზრუნავი...

65 წელი გასულა მოძღვრისა და პოეტის შემოქმედებით წვასა და დაგვაში...

ბ-ნ სანდრო გადილიას, ახალგაზრდობის აღზრდაში დამაშვრალ მოღვაწეს, გულწრფთელად ვულოცავთ ღირსსახსოვარ თარიღს, და ვუსურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს, ულევ წარმატებებს პედაგოგიურსა და სამეცნიერო მოღვაწეობაში, მშობელი ერისა და მისთვის საფიცარი მამულის საკეთილდღეოდ.

დაე აღსრულებოდეს მას სხვებთან ერთად სანუკვარი ოცნება ქვეყნად სიმართლის, ჭეშმარიტად დამკვიდრებისა და მშობლიურ მხარეში, აფხაზეთში, მალე დაბრუნებისა, ისევ და ისევ კეთილსინდისიერად, მუხლჩაუხრელად ეზიდოს პედაგოგის, მეცნიერ-მკვლევარის, პოეზიისა, ერისა და სარწმუნოებისადმი მსახურების საპატიო უღელი!

**ბორის დავითაია,**
*საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საკადემიკოს ა. კუჭუხიძის სახელობის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სენაკის ფაკულტეტის ლექტორი, პროფესორი.*

## გულწრფელად გილოცავთ, ბ-ნო სანდრო

ღიდ პატივად მიმაჩნია მოგესალმოთ აქ, თქვენი 65-ე წლისთავის იუბილეზე და ხაზგასმით აღვნიშნო თქვენდამი განსაკუთრებული სითბო და სიყვარული.

65-ე წლის კვარცხლბეკზე ასულხართ, მაგრამ სიბერე ჯერ კიდევ შორსაა.

თქვენ ბრძანდებით მაღალი და სპეტაკი სულის მამულიშვილი, ამავე დროს ნიჭიერი პოეტიც. თქვენი პოეზია თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ერისა და სამშობლოს სიყვარულით. თავად პოეზია ხომ უბრწყინვალესი წუთების მატიანეა.

თქვენ მძიმე ჯვარიკით ატარებთ ქვეყნისა და ხალხის ტკივილს. ეს ძალუმად იგრძნობა ყოველ ლექსში. ქართველი მკითხველის ცნობიერებაში თქვენ დამკვიდრდით, როგორც უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ რაინდულად მებრძოლი პიროვნება, რომელიც მუხლჩაუხრელად ეზიდება პოეზიის მძიმე და საპატიო ჭაპანს. თქვენი იდეალი იყო და არის ზვიად გამსახურდიას მიერ მოპოვებული თავისუფალი საქართველო.

თუკი ვინმეს ეთქმის, რომ მკითხველის გული იპოვა, ეთქმის თქვენს პოეზიას, რომელიც მალამოდ ედება მათს ტკივილს და „ნანასავით" ესალბუნება მათს ფიქრებს.

დაე, ღვთით კურთხეულ ქართულ მიწას მარადჟამს ეფინებოდეს მადლი და სურნელი თქვენი პოეზიისა და თქვენს შემოქმედებას არასდროს მოკლებოდეს ღირსეული შემფასებელი და თაყვანისმცემელი. გეჯერა, რომ მუდამ იხმიანებს თქვენი პოეტური ჩანგი.

კიდევ ერთხელ გულწრფელად გილოცავთ დამსახურებულ იუბილეს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ერისა და მამულის საკეთილდღეოდ. მარადჟამს სილამაზე ეფინოს თქვენს სათუთ გულსა და სპეტაკ ჭაღარას.

**დავით შონია,**

*აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროს*
*მეთოდისტი, უმაღლესი კატეგორიის*
*მასწავლებელი.*

*2.04.2004 წ.,*
*ქ. თბილისი.*

# ავტორის გულისთქმა

პოეზიის მუზა ყმაწვილობის ასაკში მოულოდნელდად მეწვია. ღმერთმა თავიდანვე დამანათლა მასთან ვაჟკაცურად შეჭიდების უნარი.

პოეზია, ვითარცა კოსმოსი, ბოლომდე ამოუცნობია თავისი სიღრმითა და იდუმალებით. იგი თავად უზადო ბედნიერებაა, მაგრამ უმძიმესი ტვირთი და პასუხისმგებლობაც გახლავთ. მისი ჯადოსნური სამყარო საოცარ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სულიერ განწყობასა და ზნეობრივს განსპეტაკებაზე.

უზომო ბედნიერებას განვიცდი, როცა მტრედის გუნდივით მოფრენილი აზრები ფურცელზე გადამაქვს და ტაეპებად ვძერწავ, რათა ძვირფას მკითხველ საზოგადოებას მივაწოდო იგი ცხოვრების ლაბირინთში ღრმად ჩასახედად.

ჩემი ღრმა რწმენით, მწერლობაში უმთავრესია გულწრფელობა, რომელიც უეჭველად, ნამდვილ მამაკაცთა კრედოა.

ვწერ იმაზე, რასაც ვხედავ თვალებით, აღვიქვამ და განვიცდი წმიდა სულით. ყოველთვის ვცდილობ მასში (ლექსში) იყოს ასახული უტყუარი რეალობა (რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს იგი!..), ანუ ავსახო სიმართლე (და მეტი არაფერი გარდა სიმართლისა!). ასეთია ჩემი ამბოხი სულის უდრეკი ნება ცხოვრებისეულ მახინჯ მხარეებთან, უსამართლობასა და ბოროტებასთან უკომპრომისო ჭიდილში. დავით გურამიშვილიც ხომ ამ პლატფორმაზე იდგა, როცა ამბობდა: „მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად? ვერას ვუქებ საძაგელთა უფერულთა პირსაფერად“. საზოგადოების ნაკლსა და წყლულს დაფარვა და მიფუჩეჩება კი არ უნდა (როგორც ეს უმრავლესობას დასჩემდა დღეს!..), არამედ მხილება და მკურნალობა სჭირდება. როცა საშკარაოზე გამომაქვს ადამიანთა ღირსების შემლახველი ფაქტები, შეიძლება მავანმა და მავანმა განქიქებად და სიძულვილადაც კი ჩამითვალოს ყოველივე ეს, რის გამოც სულმნათ ილიას ნაზრევს დავესესხები:

„ჩემზედ ამბობენ: ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია.

ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს-
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.

ჩემი ლექსები ცრემლნარევ აღსარებას ჰგავს. მასში ჩაქსოვილია ჩემი სათაყვანებელი ერისა და ქვეყნის მძიმე წარსული, ტკივილიანი ფიქრები მათზე და იმედიანი რწმენა მომავლისა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნარეკლიანი ცხოვრების 65 წელი ტკბილსიზმარივით (შეუმჩნევლად) მიიწურა, ჯერაც არ გამნელებია პოეზიასთან ვაჟკაცურად შეჭიდებისა და გულწრფელი სიტყვის თქმის უნარ-სურვილი. ეს ისეთი ანდამატია, რომელიც საოცარი ძალით მიზიდავს და ჰერკულესივით ძალ-ღონით მავსებს ხოლმე.

ასეთია ჩემი პოეტური სამყაროს წინააღმდეგობრივი წიაღსვლა და ხიბლი.პოეზიაში რთული გზა პოეტმა, ბ-ნმა ხუტა ბერულავამ დამილოცა, ჩემი ლექსების პირველ კრებულსაც („კოლხის სულის ნაჟური“, მთ. რედაქტორი *ხ. ბერულავა*, რედაქტორი დოც. *ჟ. სორდია*) სწორედ მან მისცა ფართო გზა მკითხველთა საზოგადოებისაკენ. ასე შევაღე ქართული მწერლობის კარიბჭე.

ამჯერადაც გადავწყვიტე ჩემი ნაფიქრ-ნაზრევი და გულით განცდილი მეორე კრებულში—„რაინდულო საქართველოვ, აღდექ!“ (რედაქტორი დოც. *ჟ. სორდია*)—წარმომედგინა.

ჩემი ნაფიქრ-ნაზრევი დროის მცირე მონაკვეთში შექმნილი არ გახლავთ. იგი წლების მანძილზე დიდი რუდუნებითა და ძალისხმევით გაწეული შრომის შედეგია, რომელშიც არეკლილია არა მარტო იოტისოდენა სიხარული, არამედ, უფრო მეტიც, დაკოდილი გულის სატკივარი, იმ ზღვა გულისა, რომელიც დღითიდღე უნუგეშოდ ილევა და იწრიტება ცხოვრების ულმობელი ბედისწერისა გამო.

ვფიქრობ, ლექსების ორივე კრებული („კოლხის სულის ნაჟური“ და „რაინდულო საქართველოვ, აღდექ!“) მკითხველ საზოგადოებას შეეხმიანება საღი აზროვნებით და ცხოველმყოფელ ძალას შესძენს მათს ცინცხალ გონებასა და სიცოცხლეს. ამაზე დიდი ილიას ბრძნული ფრაზებით ერთმნიშვნელოვნად ასე ვიტყვით: „ახლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია, ფულზედაც დიდი ბაზარი

აქეს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია."

კეთილო მკითხველო! წაიკითხე იგი, რამეთუ, სხვას რომ თავი გავანებოთ მასში ზოგი საკუთარ თავს ამოიცნობთ, ზოგი თანამედროვესაც, მაგრამ ეს ლოგიკური ჭეშმარიტება ნუ გაგანაწყენებთ!..

პლატონი მიგვანიშნებდა: „კარგი წიგნი ავტორისა ის უკვდავი ბავშვია, რომელიც თავის მშობელს მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებს" ღმერთმა ქნას, რომ ეს გამონათქვამი ჩემს წინგსაც მოერგოს!.

თხუთმეტიოდე წლის წინათ საქართველოში შემოკრული გლოვის ზარი (1989 წ. 9 აპრილი!) ადრინდელზე კიდევ უფრო შემზარავად ქვითინებს და მრისხანებს..

დაე ეს იყოს ჩვენი ეროვნული გამოფხიზლების მაუწყებელი მერცხალი!.. და, აგრეთვე, საშურისძიებო ქართველი ერის შინა და გარეშე მტერთა ავი ზრახვების მიმართ... გადამთიელთ ნუ გადავათელინებთ და ამოვაძირკვინებთ თავს! რომ „ძმადნაფიც" მავანთა და მავანთა „ძმური სიყვარულისა" თუ დაუნდობლობის გამო „წითელ წიგნში" შესატანი არ გავხდეთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მკვიდრი, სამი ათასი წლის ისტორიის მქონე ერი, რომ აკაკიმ საფლავიდანაც გულამოსკვნით არ ამოგვაძახოს „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!.."

წინაპართა დაღვრილი უმანკო სისხლი გვაფრთხილებს და გვეძახის ცოცხალთ: —მოეგეთ გონს, ქართველებო!—რაინდულო საქართველოვ, აღდექ!

მართლაც, აღდექ საქართველოვ, „ქუდზე კაცის" დაძახილზე.

ღმერთმა ქნას, რომ ეს სიტყვები, ვითარცა მოწოდება შვილივით გაითავისოთ და გონებაში ღრმად ჩაიჭედოთ განსახორციელებლად. დაე იგი იყოს თქვენი საღი გონების—გულისა და სულის ერთგვარი განსაწმენდელ-განმას- პეტაკებელი.

მოკრძალებითა და პატივისცემით,
სანდრო გადილია.
20. 07 2004 წ.

# ავტორის გოლოთქმა

წინამდებარე კრებულის ავტორი თავის სასიამოვნო მოვალეობად მიიჩნევს, უღრმესი მადლიერების გრძნობითა და უდიდესი პატივისცემით მადლობა მოახსენოს თხემით ტერფამდე უმწიკვლო მართლმადიდებელ ქრისტიანებს, სრულიად საქართველოში აღიარებულ უანგარო მეცენატებს — ქ-ნ **ნატო ალექსანდრეს ასულ დვალიშვილსა**, მედიცინის მეცნიერების უნიჭიერეს და ღვაწლმოსილ მუშაკს, ფარმაცევტს, უმაღლესი კატეგორიის პროვიზორს. ქ. სენაკის შპს ფარმაცევტული ფირმა **„ფარმაკონის“** დირექტორს და მის ქალიშვილს, **ეკა მურმანის ასულ ჯალაღონიას**, მედიცინის დარგის ახალგაზრდა მზარდ სპეციალისტს, სათნოებითა და სიკეთით აღსავსეს, ინტელექტუალური ნიჭით მადლმოსილ პიროვნებას, კარდიოლოგ - რეზიდენტს, ქ. სენაკის შპს ფარმაცევტული ფირმა **„ვიტაფარმის“** დირექტორს — წიგნის გამოცემაში განეული ქველმოქმედებისათვის.

ღმერთმა უმრავლოს მრავალტანჯულ ჩვენს ერსა და ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს ასეთი უანგარო ქველმოქმედნი და სპეტაკი სულის მამულიშვილნი!

ს.გადილია
19 იანვარი, 2005 ნ
ნათლისღება

# ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 3

## თავი I

## ცრემლი ანუ საწუთროს ნაღვლიანი ექო

ცრემლი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 14
მოწატრება ძმისა - - - - - - - - - - - - - - - - - 15
უღვთოა სიკვდილი შენი - - - - - - - - - - - - 16
ღალატი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 17
სინანული - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 18
ბოროტება ღვთის გმობაა - - - - - - - - - - - - 18
უმეცარ სჯულმდებელს - - - - - - - - - - - - 19
გასაუბრება დიოგენესთან - - - - - - - - - - 20
ანტიქრისტე ტახტზე - - - - - - - - - - - - - - 21
„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე...“ - - - - - - - 23
ვაი, ჩემო საქართველოვ! - - - - - - - - - - - 25
ჟამი წარღვნისა - - - - - - - - - - - - - - - - 26
ცოდვის კალო
ანუ „მგლების ხორუმი“ - - - - - - - - - - - 27

როდემდის?! - - - - - - - - - - - - - - - - - - 29
„ბანცალას“ ნამოღვაწარი - - - - - - - - - 30
აჰავაი, ჩქინი მინჯეს! - - - - - - - - - - - 31
ორღობის ინსტიტუტები - - - - - - - - - - 32
ვაი, სირცხვილო! - - - - - - - - - - - - - 35
მსუსხავი სტრიქონები
პოლიტიკანებს! - - - - 36
თუკი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 38

## თავი II

სასოება ანუ რწმენა რწმენისა
მკითხველისადმი - - - - - - - - - - - - - - - 39
„ქრისტე არს ჩვენთან!“ - - - - - - - - - - - - 40
აღდექ! - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 41
უფალო გვიხსენ! - - - - - - - - - - - - - - - - 43
ვედრება უფალს - - - - - - - - - - - - - - - - 44
მიშამ იტვირთა მაცხოვრის ჯვარი - - - - - - 45
„სამართალმა პური ჭამა“ - - - - - - - - - - - 48
წრფელი გულით - - - - - - - - - - - - - - - 50
გილოცავ... - - - - - - - - - - - - - - - - - - 51

რაინდულო საქართველოვ, აღდექ! - - - - - - 52
სამადლობელი - - - - - - - - - - - - - - - - - - - 54

## თავი III

### საუდიტორიო სიტყვები

ღვთით მოვლენილი
ჭეშმარიტი რაინდი - - - - - 55
ჩვენი სამოქმედო
ორიენტირი - - - - -- - - - - - - - 68
უსამართლობა-მოუშუშებელი იარა - - - - 74
ღირს ამაზე დაფიქრება! - - - - - -- - - - - - 82
მადლი მშობლიური ენისა და მისი უანგარო
მსახურისა, *ანუ შტრიხები არნ. ჩიქობავას*
*ცხოვრებასა და სამეცნიერო-საზოგადოებრივს*
*მოღვაწეობაზე* - - - - - - 87

## თავი IV

### პედაგოგიკურ-მეთოდიკური პუბლიკაციები

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საკითხი და

მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის - - - - - 95
ფიქრები ახალგაზრდობის პროფორიენტაციასა და
მის ნათელ მომავალზე - - - - - - - - - - - 100

## თავი V

### საგაზეთო წერილები

საქართველოსა და ერის ხსნა ერთიანობასა და
უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაშია - - 106

## თავი VI

### მეგობართა წრე ს. გადილიაზე

მჯერა, ასეა - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 115
დავიბრუნებთ, რაც დავკარგეთ - - - - - 116
უსამართლობასთან მორკინალი რაინდი - - - 117
რწმენა - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 119
სანდრო გადილია—65 - - - - - - - - - - - - - 121
გულწრფელად გილოცავთ
ბატონო სანდრო - - - - - - - - - - - - - - - - 125

# თავი VII

## ბ ო ლ ო თ ქ მ ა

ავტორის გულისთქმა - - - - - - - - - - - - - 128
სარჩევი - - - - - - - - - - - - - 131